


652 / 2
1985

ISSN 0134 3459



ՀԱՅԱՍՏԱՆ

40
652 / 2



1985

1



ქრონოსი

გ ა მ ო ც ე მ ი ს

27-ე

წელი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი
საპარტფალოს მფარლთა კავშირისა, და აზარის განყოფილების ორგანო

მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
მოძაფალი, ძვირფასი ბედი...
ლაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
დმოხსველეთით და დასავლეთით.

გ. ტაბიძე

1

1983

ცანზარი
თეგერვალი



გ ა თ უ მ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

კოეზია, პროზა

ჯემალ ქათამაძე. მშვიდობით გველოს. ლექსი	3
სერგო კლდიაშვილი. აზირებუ- ლი კაცი. მოთხრობა	4
ზერა რომანაძე. ლექსები	9
ნესტორ მაღაზონია. ავტობიოგრა- ფია, ჩვენი პუბლიკაცია	11
სოსო აბაშიძე. ლექსები	15
ბადრი თევზაძე. ლექსები	17

ნარკვევი

ვალერი რიღლინსკი. ჩემი კუბა	20
-----------------------------	----

ასალი თარგმანები

სერგეი ესენინი. ქარბუქი. ლექსი თარგმნა გიორგი სალუქვაძემ	27
ტრავენი, მკედრების გემი, რომა- ნის თავები, გერმანულიდან თა- რგმნა ირინე ვოლკოვამ	29

გამაჯვების 40

წლისთავისათვის

აკაკი ქურიძე. სანგარში დაწერი- ლი ლექსები	35
--	----

დავით ნაცვალაძე, მოგონებათა
ფურცლები 37
მურმან მშველიძე, გვიამბობს
ფრონტული გაზეთი 42

კვალი ნათელი

რამაზ სურმანიძე, ღვაწლი აბდულ
მიქელაძისა 45

ასალგაზრდობა — იმედი სკალის

ლევან კალანდარიშვილი, ზნეობ-
რივი აღზრდა უპირველესი
ამოცანაა 55
ნოდარ ბასილაძე, ჰუმანიზმის
პედაგოგიკა 58

ფერილები

თეიმურაზ გვანცელაძე, აფხაზი
ხალხის დიდი შვილი 64
ლადო შარაშიძე, „ვესტუმრე ბა-
თუმს, მაგრამ“... 67
შოთა ბარამიძე, იროდიონ ევლო-
შვილის საღამოზე 69
კახაბერ სურგულაძე, ბურგუნდიე-
ლი მეკობრეები ბათუმში 72

ჩვენი თანამატალაშელები

მიხეილ მშვიდლობაძე, ავთანდილ
ქორიძე 77

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

შოთა ნიჟარაძე, საინტერესო წიგნი 80

მედუზა

ალექსანდრე სამსონია, ინტერვიუ
მატჩის წინ. მოთხრობა 85
გია ბაღოშვილი, მუხრან კობალა-
ძე, საახალწლო მილოცვები 91
გასულ ორ თვეში 93

მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სამსონია
გერმანული
სარედაქციო კოლეგია: იმედი

აზიზ ახვლედიანი,
გიორგი ბაჩიაშვილი,
ზურაბ გორგილაძე,
მამია გარსიანიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
შოთა ჯორიძე,
დავით თედორაძე,
გიორგი სალუშვაძე,
ჯემალ მათაყაძე,
ალექსანდრე ჩხანიძე,
ფრიდონ ხალვაში,
დავით ხახუბაიშვილი,
ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუ-
მი, ენგელსის ქ. № 21. ტელ.
3-33-71.

გადაეცა წარმოებას 3.12.84, ხელმოწე-
რილია დასაბეჭდად 18.12.84, საბეჭდო
თაბახი 6, საგამომცემლო 5, შეკვეთის
№ 4193, ემ 00778, ქალაქის ზომა
60×90¹/₁₆, ტირაჟი 5.000

საქართველოს სსრ გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ეკონომიკის სა-
ქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის
ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერ-
თიანება, ბათუმი ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузин-
ской ССР по делам издательств,
полиграфии и книжной торговли.
Полиграфическое производственное
объединение Аджарской АССР,
Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

მშვიდობით გველოს



მზე და მადლი შენ, ახალო წელო,
დაგვიბედე ბარაქა და ზვაგი,
მშვიდობით და სიყვარულით გველოს,
არ მოაკლო ყანებს დილის ცვარი.

მშობა გედოს გულში ნათელ დარად
და სიკეთე მარადიულ მიზნად,
იმედის და ფიქრის გასახარად
იშრიალე გაზაფხულის წიგნად.

ნუ მოაკლებ სიხარულს და სიბოლს
გლეხის კერას, დედის ლამაზ თვალებს,
მშვიდობიან დღეებს შენგან ვითხოვ,
ჩვილის აკვანს თავი ანაცვალე.

ნუ შემოსავ, ნუ შემოსავ შავად
ცას ნათელს და მშობლის სახეს ნათელს,
არ გვენახოს ომის ცხელი ლავა,
აგვაშორე შურის კორიანტელს.

დაუბედე მამულს მხრების გაშლა,
კიდით-კიდე სულ დიდება თესე
და თუ სადმე მტრობის ჭია გაჩნდა,
გეზვეწები, ძირში ამოფესვე!

გაიტანე შორს სიკეთის ლელო,
დაამიწე ყველა ავის მდომი,
დე, ყვაოდე, საქართველოვ, ჩვენო,
შვილთა შენთა პატიოსან შრომით.



ახირეშყვი კასი

ამ რამდენიმე წლის წინათ ბატონმა სერგო კლდიაშვილმა ჟურნალ „ჭოროხისათვის“ გადმომცა თავისი ერთი ძველი რვეული. მითხრა, წაიკითხეთ ეს მოთხრობა, თუ მოგეწონოთ, დასტამბეთო. რატომღაც იმხანად ვერ მოხერხდა ამ ნაწარმოების გამოქვეყნება. ახლა კი სიამოვნებით ვასრულებ ჩვენი საყვარელი მწერლის სურვილს.

ფ. ხალვაში

თითქმის ფოლკლორული ხასიათის ეს პატარა ამბავი დიდი ხნის წინათ გავიგონე. მაშინვე რომ ჩამეწერა, რა თქმა უნდა, აჯობებდა. ალბათ, არაერთი სახასიათო გამოთქმა და ეპიზოდიც დავიწყებული მაქვს და აქ არ შემიტანია. ამით კი, ცხადია, გავაფერძკრთალე ამბავი და შევზღუდე ის სიღრმე და სიგანე, რომელიც მას უნდა ჰქონოდა. ახლა რაღას იზამ, იშულებული ვარ ისე გავიხსენო, როგორადაც მეხსიერებას შერჩა.

ეს უპრეტენზიო იგავი ერთმა ხნიერმა პედაგოგმა მიაღებო. რა დავმალო და, ის კაცი, ცოტა არ იყოს, ახირებული ხასიათის გახლდათ და ფანტაზიორიც იყო. მარწმუნებდა, ყმაწვილობის ასაკში პაპაჩემისაგან გავიგონეო. მე კი ეჭვი მეპარება, რომ მისი შეთხზულია.

იქნებ საჭირო იყოს და ამიტომ ცოტა რაიმეს მაინც მოვახსენებთ თვით იმ პედაგოგის შესახებ. ცხოვრობდა ის ჩვენს დედაქალაქში, თავის მომდევნო დასთან. ეს იმიტომ, რომ ხანშესული ქვრივი მამაკაცის მართოდ ცხოვრება უპატრონო ძაღლის ყოფნას ჰგავს, თუ მან ვისმე და სადმე არ შეაფარა თავი. მას იქ ერთი ოთახი ჰქონდა მიჩენალი. ოთახი პატარა იყო და სავსე საკვირველი, უცნაური ნივთებით. სულ რაღაც ნიღბები და რაღაც კაბალისტური წარწერებით აჭრელებული კედელი. კუთხეში თავის ქალაც ჰქონდა თაროზე დადგმული. შეხვიდოდი თუ არა ოთახში, უმაღლვე იქიდან გამოისვლა მოგინდებოდა. თვითონ პატრონს კი ყველაზე უფრო აქ

ყოფნა ეხალისებოდა. ის, მგონი, კიდევაც ელაპარაკებოდა ამ გულისშემზარავ ნივთებს და ამით თავს ირთობდა.

ეს კიდევ არაფერი, მოხუცს ხასიათიც თავისებური ჰქონდა. ხანდახან იმასაც ცდილობდა, რომ მაინცდამაინც ობროდ, ეშმაკ პიროვნებად მოეჩვენებინა თავი სხვის წინაშე; მაგრამ ეს არც თუ ყოველთვის ეხერხებოდა. იმიტომ არ ეხერხებოდა, რომ სინამდვილეში ძალიან კეთილი და ბავშვავით გულმართალი იყო.

რადგან თავი ვერ შევიკავე და ზოგი რამ ისეთი ვთქვი მის შესახებ, რაც არ უნდა შეთქვა, ამასაც გავამხელ: ტყუილიც უყვარდა ხოლმე. აი, მაგალითად. ერთხელ სხვაგვარად ამიხსნა მიზეზი, თუ რატომ აიღო ხელი მასწავლებლობაზე, მეორედ კი სულ სხვანაირად.

ნამდვილად როგორ იყო, ახლა ამას ვინ გაარკვევს. ეს საიდუმლო მან თან წაიღო სამარეში. ეს კი ნამდვილად გამიგონია მრავლისაგან: ადამიანის დიდი მოსიყვარულე იყო, სიცოცხლის თითოეულ წუთს შეხაროდა და სულ იმაზე ზრუნავდა, რომ თავისი და სხვისი ცხოვრება უფრო უკეთესი გამხდარიყო...

შემძლო სხვაც ბევრი რამ შეთქვა იმ უცნაური კაცის გამო, მაგრამ ამჯერად ესეც უნდა ვიკმარო. უკეთესია, ის ზღაპარი გავიხსენო, მისგან რომ გავიგონე. აი ისიც:

„მრავალი ბრძენი ცხოვრობდა ქვეყანაზე და ერთი მათგანი ვინმე ბაქარი იყო.

მთელი თავისი სიცოცხლე ბაქარმა იმაზე ფიქრში გაატარა, რომ ცხოვრების საიდუმლო გამოეცნო და ამით ბედნიერება მიენიჭებია ხალხისათვის.

ნატრობდა ამის გაგებას და ვინაიდან სწამდა, რომ ამ საიდუმლოს გაუმჟღავნებდა ბრძენთა ნაწერი, უამრავი ძველი ფოლიანტი ჰქონდა წაკითხული.

მაგრამ ისე განვლეს წლებმა და ისე გაჭაღარავდა ბაქარი, რომ ვერსად მიაგნო მას, რისი მიგნება აგრე გულით სწადდა.

ერთხანს მაინც არ კარგავდა იმედს, რომ მიაღწევდა საწადელს და სადმე, ერთ რომელიმე ფოლიანტში, იმ საიდუმლოების ამომხსნელ სტრიქონებს წააწყდებოდა.

ამ იმედში გაიარა კიდევ დიდმა დრომ. იმდენმა, რომ ღრმად მოხუცდა და სიკვდილის მოახლოება იგრძნო. მაშინ ბაქარმა, დიდად დაღონებულმა, რომ ვეღარ მოესწრებოდა თავისი ოცნების შესრულებას, დასტოვა ქალაქი და დაადგა გზას, რომელმაც მრავალი დღის შემდეგ ერთ უკაცრიელ, უღრან ტყეში მიიყვანა. დაღლილი, გასავათებული ჩამოჯდა აქ ხის ქვეშ და სასოწარკვეთილმა ამოიოხრა:

— ჩემს ცხოვრებას ფუჭად ვთვლი, — ადამიანი რომ არსად იყო, ზეს შესწივლა ბაქარმა. — ამდენი ვიღვაწე, უთვალავი ფოლიანტი გადავფურც-

ლე და მაინც ვერსად ამოვიკითხე საიდუმლოს ამოხსნელი სიტყვები და ვერაფრით გავახარე მოყვასი... ადამიანის სიცოცხლე ისე ხანმოკლეა, რომ მე კი არა, ვერავინ მოასწრებს, ყველა ფოლიანტის მეათასედი ნაწილიც წაიკითხოს და გამოიცნოს ის საიდუმლო... ვაი, ჩემო უბედურო თავო, სულ რამდენიმე დღის სიცოცხლე დამრჩა და ვხედავ, ამაოდ ჩაუვლია მთელს ჩემ ცხოვრებას...

დიდხანს იჯდა თავდახრილი, მღუპარე, დამწუხრებული და აგერ, როდის, ისევ შესტირა ხეს:

— მე რომ კიდევ ერთი იმდენი მეცოცხლა, რამდენიც აქამდე, მაშინ იქნებ მომესწრო ოცნების შესრულება... კიდევ მრავალი ბრძენის ნაწერს წავიკითხავდი და გავიგებდი, თუ რას ესწრაფვის ადამიანი, რა ანიჭებს სიხარულს, რა ასევდიანებს და საბოლოოდ რისი მოპოვება სურს... მაგრამ ვაი, რომ ჩემი უკანასკნელი დღეც მოვიდა და ჩემთვის ყველაფერი გაუკებარი დარჩა!

ასე ამოიგმინა თუ არა, ტყის შუაგულიდან ბანჯგვლიანი პატარა ჭინკა გამოხტა და ბაქარის წინ დადგა.

— შენ გინდა დიდხანს იცოცხო? — ჰკითხა ჭინკამ. — კეთილი, შეგისრულებ მაგ სურვილს!

ჭინკა ისევ შეხტა ტყის სიღრმეში, დაკრიფა ბუჩქებზე რაღაც წითელი ნაყოფი, მოუტანა ბაქარს და უთხრა: შეჭამ თუ არა ამას, მოგენიჭება უკვდავება და მერე ის დროც დადგება შენთვის, როცა ცხოვრების მთელ სიბრძნეს გაიგებო...

გახარებულმა ბაქარმა დალოცა ჭინკა, იგემა ნაყოფი და უმაღლე ისევ ახალგაზრდა ვაჟკაცად იქცა.

გამხნეებული, ბედნიერი დაბრუნდა შინ და შედგა თუ არა ფეხი თავის ოთახში, მაშინვე ფოლიანტების კითხვას შეუდგა.

* * *

დღეები დღეებს მისდევდნენ, წელიწადები წელიწადებს, ბაქარი კი თავის მაგიდას უჯდა და ფურცლავდა ხელთნაწერებს.

ბაქარმა მართლაც უკვე იმდენხანს იცოცხლა, რომ მისი შვილიშვილები, შემდეგ შვილთაშვილებიც მოხუცდნენ და ბოლოს მიწას მიეპარნენ. აღარც ერთი ძველი ნაცნობი და მეგობარი აღარ ჭაჭანებდა დედამიწაზე.

რამდენიმე საუკუნემ განვლო ისევ. ბაქარი ხედავდა, როგორ აშენდა ახალი ქალაქები, მერმედ ესენიც დაინგრა და მათ ნაცვლად სხვა უფრო დიდები აღმოცენდა. იცვლებოდა ბუნება, მდინარეებიც სხვა კალაპოტით მიედინებოდა, ბევრი ძველი ვარსკვლავი ჩაქრა და ახალი გაბრწყინდა ცაში, ადამიანთა თაობები თაობებს ენაცვლებოდნენ, ისინი თავდაუშოგა-

ვად შრომობდნენ, აშენებდნენ, ანგრევდნენ. ისევ აშენებდნენ და ისევ ანგრევდნენ, მუდამ ახლის ძიებით იყვნენ გართული, ებრძოდნენ ბოროტებას და თვითონვე ჩადიდნენ ბოროტებას და მაინც არ იქნა, ვერ ეღირსნენ მშვიდ ცხოვრებას.

ბრძენი ბაქარი ისევ და ისევ იძენდა ძველად და ახლად დაწერილ წიგნებს, ცდილობდა არცერთი ფოლიანტი არ გამორჩენოდა წაუკითხავი და ყოველთვის იმ იმედით იყო, რომ სადმე იპოვიდა სანატრელ სტრიქონებს.

მაგრამ რაც მეტ ხანს ცოცხლობდა, მით უფრო მატულობდა ახალი, ჯერ წაუკითხავი წიგნების რიცხვი. ბოლოს იმდენი დაგროვდა, რომ ბაქარი არა თუ წაკითხვას, თვალის გადავლებასაც ვერ ასწრებდა.

დიდხანს ფიქრობდა ბაქარი იმაზე, თუ როგორ დაეღწია თავი ამ განსაცდელისაგან და ბოლოს მიხვდა, რომ ამოი იყო ყველა ცდა.

— ამოდენა ხელთნაწერი და დაბეჭდილიც გადავიკითხე იმ საიდუმლოს ძებნაში, დაუსვენებლად დღესაც ვფურცლავ და ჩავკირკიტებ წიგნებს, ძველ ათასებს სხვა ახალი ათასი ემატება ყოველდღიურად, უკვე იმდენი დაგროვდა, რამდენიც ზღვის ნაპირზე დაყრილი ქვიშაა. სწავლულები კი ისევ ეცილებიან ერთმანეთს, დაობენ, უარყოფენ ერთიმეორეს და ყველას თავისი, საკუთარი სიძარტლე სწამს მხოლოდ... როგორც ჩანს, ვერასოდეს დავეწევი ცხოვრებას და ამრიგად, შეუცნობელი უნდა დარჩეს ის საიდუმლო!

გაუმწარდა სიცოცხლე ბაქარს, სასოწარკვეთილებამ შეიპყრო და, აი, ერთ დღეს, როცა მწუხარება ძალზე მოერია, გავიდა ქალაქიდან, ისევ მივიდა უღრან ტყეში და იზმო ჭინკა.

— შენ, თურმე, ბოროტად დამცინე და დამსაჯე მე, — უთხრა საყვედურით. — ჩემი პირველი ცხოვრების წლებში მე ისე მიმაჩნდა, რომ განუყოფელი ნაწილი ვიყავი ჩემი დროისა და იმ გარემოსი, სადაც ვცხოვრობდი. შენი წყალობით მე დაგვარვე ყოველგვარი კავშირი იმ დროსთან და ვეზიარე უკვდავებას. მაგრამ ეს უკვდავება საწამებლად იქცა ჩემთვის, რადგან მე იმ ცთომილს დავემსგავსე, რომელიც სამყაროს უსასრულობაში უგზო-უკვლოდ დაბოროტდებოდა... მხოლოდ ახლა მივხვდი და გავიგე მე, რომ ბუნება ნამდვილი ბრძენი ყოფილა, როცა განსაზღვრული დრო და გარემო მოგვიჩინა... რამდენიმე საუკუნე გაგრძელდა ჩემი სიცოცხლე და რას მივალწიე? ახლა მე მცირე წყალობას მოვიტხოვ შენგან: თუ შეგიძლია, თუ ამის ძალა შეგწევს, დამიბრუნე ის ჩემი პირველი დრო და გარემო... დამიბრუნე ისე, რომ ჩემ გვერდით იყვნენ იმ თაობის ადამიანები, ვისთანაც ერთად ვიზრდებოდი, ვშრომობდი, ვებრძოდი ბოროტებას და შეეზაროდი კეთილს...

ჭინკა იქვე იდგა და უსმენდა.

— მაგრამ თუ შენ საამისო ძალა არ შეგწევს, — ხმას აუმაღლა

ბაქარმა, — დაგწყევლი შენ და იმ ბოროტ ნაყოფს, რომელმაც გამაუბედურა. რად მინდა მართო მე ვიყო უკვდავი! მე უარს ვამბობ ასეთ უკვდავებაზე და მოვითხოვ ახლა ისეთი ნაყოფი მომცე, რომელიც ჩვეულებრივ ადამიანობას დამიბრუნებს!

ჭინკამ შეუსრულა ეს უკანასკნელი სურვილი. ბაქარმა მაშინვე მიიღო ნაყოფი და სულიც იქვე დალია.

აი, ეს მიაბო იმ ჩვენმა ნაცნობმა მოხუცმა. რა მორალი გააჩნია ამ ზღაპარს? აბა, რა ვიცი! იქნებ ის, რომ ყველაზე უკეთესი დრო ის არის, რომელშიაც ცხოვრობ, იღვწი და მხარში გიდგანან მეგობრები...

იქნებ სხვა რაიმე აზრიც ჰქონდეს, მაგრამ გულახდილად გეტყვით, რა არის სხვა, ჯერჯერობით არ ვიცი.

ვიცი მხოლოდ, რომ ეს ზღაპარი მიაბითურია, გულუბრყვილია. მაშ რა მრჯიდა, რომ გამოვაქვეყნე? მხოლოდ იმიტომ, რომ მთქმელი პატიოსანი იყო და მის ხსოვნას პატივი ვეცი.

ჰო, მართლა, კინალამ დამავიწყდა ის, რისი თქმა დასაწყისშივე მინდოდა: ნუ უძრახავთ იმ კეთილშობილ მეზღაპრეს, თუ ეს მარტივი ამბავი მოგასმენიათ, ყველა თქვენ გულწრფელად უყვარდით მას. დიახ, ასე იყო და თუნდაც ამიტომ აპატიეთ. ყოველ შემთხვევაში, ნუ გაუწყრებით. ნუ გაუწყრებით თუნდაც იმიტომ, რომ ამაოდ ჩაივლის ეგ გაწყრომა. ამაოდ იმიტომ, რომ მან არ იცოდა, რა იყო შიში. ის კეთილი გულის პატრონი და უცოდველი იყო და, აბა, როდის ყოფილა, რომ ასეთ კაცს ვინმეს შიში ჰქონდა! პირიქით, ავსა და ბოროტს ეშინია კეთილისა და ამიტომაც, რომ ყოველთვის უყევს.



გამიღეთ კარი!

მომაქვს ტკივილი
პირველი ფიფქის,
პირველი ცრემლის...
გამიღეთ კარი!
თორემ დადნება უმანკო ფიფქი,
დამივარდება ცრემლის წვეთი ცოდვილ მიწაზე
და უფრო მწარე ტკივილებად აღმოცენდება.
გამიღეთ კარი!
ჩაბხედეთ თვალებში: ჯერ კიდევ აზრებს,
სიტყვებს და ბგერებს,
პირველ სიზმრებით დაფეთებულებს,
ახალშობილის ახლავთ სურნელი.
ახლავთ სიმორცხვე გაუშლელ კვირტის,
პერე იდუმალი ვნებით აღვსილი
ქალწულებით რომ აფეთქდება.
გამიღეთ კარი!
დამამახსოვრეთ სითბო თქვენი გულების
და ეს სიმორცხვე დამაძლევინეთ!
მოვედი თქვენთან.
თქვენს მონასტერთან ვდგავარ ახლა,
ვით ოფელაა
და განაჩენის მოლოდინში შიშით ვკანკალებ.
გამიღეთ კარი!
მომაქვს ტკივილი პირველი ცრემლის,
პირველი ფიფქის...
გამიღეთ კარი!

უშენოდ

ისევ ბინდია.
ისევ ბინდია,
ისევ ბინდია დაუსაბამო და უსასრულო
უშენოდ!
კელაჯაც ვეხები გიტარის სიმებს.

ისევ ტირიან,
ისევ ტირიან,
ვერ ავაჟღერე სასიხარულოდ
უშენოდ!
მიმასვენებენ ხსოვნის ტევრებში
მოგონებებით დაზურგული სველი ნოტები
და ისე შევეჩვიე შემოღამების
პირველ სიმღერებს,
როგორც შენს ბკერდთან პარველ შეხებას
პირველ განშორებას,
უშენოდ!
კენესაა მაინც, დედავ, ჩემი სიმღერა,
კენესაა მხოლოდ,
რომ ამაოა თუნდაც თავი
წარმოვიდგინო ცისფერ სიზმრებში
უშენოდ!

ღიღილო

მოაბიჯებდა ღიღ ქალაქში
უცხო ბილიკით.
მოაცილებდა სიმარტოვე
— ერთგული ძაღლი.
ფესვზე ეკიდა თავმომწონე
ხეთა ქილიკი,
ბალახ-ბულახის სასოკვეთილს
უსმენდა ძახილს.
როცა იპოვა სათავისო
სამყოფ-ალაგი,
როცა ცისფერი შეაფრქვია
მოწყენილ მზის სხივს,

შემოეხვივნენ ბანოვანნი
მთელი ქალაქის.
ხეებმა თავი დაუხარეს
ღიღილოს მიწყვი.
და იყო იგი წუთისოფლით
დაღლილი ისე...
და გვერდით ედგა მარტოობა
— ერთგული ძაღლი.
და მაინც ისევ,
და მაინც ისევ,
ბალახ-ბულახის სასოკვეთილს
უსმენდა ძახილს.



ნესტორ მაღაზონია

სებობობობობობ

ერთი წელი შესრულდა ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნესტორ მაღაზონიას გარდაცვალებიდან. მისი „ავტობიოგრაფია“ გათვალისწინებული იყო „მოგონებათა წიგნისათვის“, რომელიც ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდებოდა.

- გლახუნა მაღაზონიას მეშვიდე ბიჭი შეეძინა...
- კაცი ვარო მაგან უნდა თქვას... შვიდი ბიჭი და ერთი ციცა!
- ციცა, თუ გინდა, ათი იყოს, გაათხოვ და მორჩა, მარა ბიჭები?..

ყველას ხომ სამოსახლო უნდა!..

თუმცა მაშინ მრავალშვილიანობა საკმაოდ, ხშირი მოვლენა იყო, მაგრამ ვაჟები! და, ალბათ, სწორედ ამიტომ ჩემს ამქვეყნად მოსვლას ასე შეხვედრიან ჩემი მეზობლები. ჩემს მომდევნო მერვე ბიჭზე ხომ სულ წოლად გაგიჟდებოდნენ!...

— „რაცხა ღმერთმა თხა დაბადა, რქებიც მან მოუკაკუტა“. — ამ ანდაზით უბასუხნია მამაჩემს.

და მართლაც, ორი ვაჟი, ჩვილობისას რომ გამოგვეკვლებოდა, თორემ დანარჩენი ექვსი და ერთი გოგოც უნაკლოდ გამოვიზარდეთ ამ უკიდურესად ღარიბი გლეხის ოჯახში. როგორც მშობლები, ისე გაზრდილი შვილების უმრავლესობა ოთხმოცზე მეტი წლისანი გაეზნით.

შვილები ტიპიური მაღაზონიები ვიყავით — შავგრემანი, მხიარული, მომღერალ-მოცეკვავე. მხოლოდ ორნი — ალექსანდრე და მე — დედულეთისაკენ, ურუშაძეებისაკენ ვიყავით — წითური, მაგრამ თვალშავი.

მამა მოუღლეელი, ამტანი მშრომელი გლეხი იყო და სოფელში ბეიან კაცად ითვლებოდა, კარგი სმენა და ხმა ჰქონდა. სიმღერა უყვარდა და შვილებიც ასეთი ვიყავით. ყანას რომ შევესეოდით და ნადურს გაუაჩაღებდით, მეზობლებს სათქმელად ჰქონდათ — ასეთი ოჯახი უნდაო! საკვირველი ის იყო, რომ დას ბანი ჰქონდა და დედაჩემი ზემრობით იტყოდა ხოლმე — ბიჭად წამოწყებული იყო და შეცდომით დაიბადა ქალადო. მე კრიმან-

ჭული კარგად მეხერხებოდა, მაგრამ ხშირად დამწყები ვიყავი. საქმე ისაა, რომ ორპირი სიმღერის დროს გაშაირება იცოდნენ ჩვენში. აქ კი დამწყები მთავარი იყო. მას სახელდახელოდ უნდა შეეთხზა შაირი და ჩამორთმეულ მეორე პირ სიმღერაში ეთქვა. საჭირო იყო გზადაგზა პასუხის მომზადება, რომ დროიანად დაწყებულიყო სიმღერაც და შაირიც. თუ ამას ვერ მოახერხებდი, დამარცხებულად ჩაითვლებოდი. ამიტომ ხშირად, თითქმის ყოველთვის, მე მაწყებიანებდნენ როგორც ენაკვიმატს და სიტყვამოსწრებულს. (შაირი საქებიც იყო, მაგრამ უფრო მეტად სალანძღავი). მაგრამ იშვიათად ეწყინებოდა ვინმეს; ხუმრობად ითვლებოდა.

ვიზრდებოდა ბავშვები მძიმე შრომაში და სასტიკ სიღარიბეში, მაგრამ მხიარულად, სიცილ-თამაშით, ერთმანეთის სიყვარულში, პატივისცემა და დახმარებაში (ბევრი შვილის აღზრდა ხომ გაცილებით უფრო ადვილი და შედეგიანია, ვიდრე დედისერთასი). ორი უფროსი ძმა — მიხეილი და ალექსანდრე მოჯამაგირებოდნენ და ოჯახს ამით ეხმარებოდნენ. ყველაზე უმცროსებს — მე და პოლიაქტორს — მეტი შეღავათი და აღერსი გვიწევდა.

დედა — ეკატერინე (ეკა) გიორგი ურუშაძის ასული — გამრჯე ქალი იყო. მასი უნარის წყალობით ოჯახი (სადაც საკმარისი ჯორჯოც არ იყო) არ იმშეოდა, ხოლო სტუმრებთან და დღესასწაულებზე ყველაფერი დაზოგილი და შემონახული ჰქონდა. მას კაცის საქმეც ემარჯვებოდა — კაფვა, ღობვა, შეშის ჩეხვა და სხვ. სიმღერაც იცოდა. მაგრამ უფრო ლექსები უყვარდა. უამრავი ხალხური ლექსი იცოდა, თან ხშირად თვითონაც თხზავდა, საამისოდ მხოლოდ მაშინ იცლიდა, როცა ავად იყო და იწვა. ციება მაშინ სოფლად ჩვეულებრივი ამბავი იყო და ჩვენსას ძალიან ხშირად იბუდებდა. გვაციებდა ყველას... (ახლა ციების ხომ ჭაჭანებაც არ არის). განაციები დედა ძლიერ მეცოდებოდა. მაგრამ მაინც მახარებდა მისი დაწოლა: წყალსაც ვალევინებდი, საბნებითაც ვბუდრავდი: ციებიანი მაღალსიცხიანია და მაინც სიცივით კანკალებს, ნამეტნავად კი დაუსრულებელი წყურვილიც იცის. მოძვობინდებოდა და მის სიმღერას ვისმენდი სახელდახელოდ თქმული ან გაგონილ ხალხური ლექსებით.

ჰოიდა ჰაა,
შენ რომ წიგნი მოგეწერა,
ჰოიდა ჰაა,
წევიკითხე რახარუხად,
ჰოიდა ჰაა,
ფაშის სარტყელი გეთხოვა,
ჰოიდა ჰაა,
მე ვინ მომცა ასე უხვად,
ჰოიდა ჰაა,

შენ რომ სარტყლად შემოგწდობა,
მე მეყოფა ახალუხად...



მერე ცივ წყალს მივურბენინებდი, იგი ხარბად მოსვამდა და განაგრძობდა
მოზღა იმავე მოტივზე.

სიმინდის და ხახვის ფორვი,
ლამაზ ქალებს მივუჩოჩდი.
ლამაზებმა ისე მცემეს,
ჩამინტრიეს გულის ჩონჩხი.
ღევიბიჯე ორი ჯოხი,

ისევ ჩემს ცოლს მივუჩოჩდი.
ვეხეწე და ვემუდარე
ბოდიშით და მუხლის ჩოქვით,
მარა ცოლმა მიბინია,
მომაცოლა პაშოლ ჩორთი..

და ასე დაუსრულებლად მღეროდა ავადმყოფი.

საბრალო დედა! მეასე წელში გარდაიცვალა და კბილიც არ აკლდა!
მამაჩემმა კი ოთხმოცს ძლივს გადააცილა.

დავამთავრე ჩემი სოფლის, მამათის, ორკლასიანი სასწავლებელი.
ყველა საგანი თითქმის ერთნაირად მეხერხებოდა. განსაკუთრებით კი წაგ-
ნის კითხვა მიყვარდა. უკანასკნელ კლასში (განყოფილებას ვუწოდებდით)
905 წლის რევოლუციამ მომიხსრო. მახსოვს, მამამ რომ ძველისძველი
სატყვარი გახეხა, ჭალანგარით გალესა და ნასაკირალზე წავიდა. ჩემ ფიშ-
ტოსაც (ხის ჯოხზე ვაკრავდით დაცლილ ვაზნას) გაუხვრეტიდა თავდაღმა
ჩამოკიდებული სურათი ნიკოლოზ მეორისა.

სწავლის გაგრძელებაზე ფიქრიც არ შემეძლო. შეგირდად მიმაბარეს
ოზურგეთში (ახლა მახარაძე) გიგოლო გედევანიძის სახარაზოში. მალე
შემთხვევით აღმოჩნდა ადგილი ოზურგეთის სამეურნეო სკოლის პანსიონ-
ში. ჩემი სოფლის მამასახლისის პეტრე კილაძეს გაეგო და შუამდგომლობა
გამომიგზავნა. სახარაზოდან გავიპარე და იმ პანსიონატში მოვეწყვე,
დღისით საქალაქო სასწავლებელში ვსწავლობდი, საღამოს — სამეურნეო
სკოლაში, ხოლო ბინა და კვება პანსიონში მეძლეოდა.

1907 წელს მოწაფეები გავიფიცეთ საქალაქო სასწავლებელში, სახა-
რაზოში აღარ მიმესვლებოდა და მე ქუჩაში აღმოვჩნდი. დავბრუნდი სოფე-
ლში, ვმუშაობდი სკოლის დამლაგებელ-დარაჯად და სასოფლო კანცელა-
რიის დამტარებელ-მიკრიკად.

მამამ მირჩია მუშაობისათვის სწავლაც შემეთავსებინა და დახმარება
შემპირდა. ამის მეტი მე რა მინდოდა! მუშაობასთან ერთად დავიწყე ადგი-
ლობრივ მასწავლებლებთან (ივანე ხაზალია და მოსე სამსონია) მზადება
სამასწავლებლო სემინარიაში შესასვლელი გამოცდებისათვის. სამი წლის
მუშაობისა და მზადების შემდეგ ჩინებულად ჩავაბარე გამოცდა ხონის (ახ-
ლა წულუკიძე) საოსტატო სემინარიაში, და მიმიღეს პანსიონში სახელმ-
წიფო ხარჯზე.

1914 წელი. პირველი მსოფლიო ომი. სემინარიიდან ჯარში გამიწ-

ვიეს. ვმსახურობდი ქალაქ ტამბოვში. მერე გერმანიის ფრონტი. ვარშავა, სოხაჩოვი. 1915 წელს მდინარე ბზურაზე დავიჭერი. ცარსკოე ხელო (ახლა პუშკინი): პოსპიტალი. იქიდან თვენახევრის გამოსაჯამრთელბელი შვებულება სამშობლოში. მერე ბათუმი. 221-ე სათადარიგო პატალიონი. მერე თურქეთის ფრონტი, ართვინი, იალო-მელო.

თებერვლის რევოლუციამ ბათუმში ჩამობრუნებულს მომიწრო. დემობილიზაცია. ისევ სემინარია. მამისა და უმცროსი ძმის გარდაცვალება. ძმები ცალკე სახლობდნენ. დაი გათხოვილი იყო. ოჯახს მარტო დედა შერჩა. იძულებული გავხდი, მიმეტოვებინა სემინარია.

მასწავლებლობა დავიწყე სოფელ აცანაში 1919 წლის იანვარში. ვმუშაობდი მამათის სკოლაში. 1925 წლის აგვისტოში გადავედი ბათუმში აღმზრდელ მასწავლებლად ინდუსტრიულ ტექნიკუმში და მის პანსიონში.

1931 წელს გადამიყვანეს აჭარის განათლების მუშაკთა პროფკავშირის გამგეობაში მდივნად, შემდეგ თავმჯდომარედ.

1933 წელს გადამიყვანეს ხულოში — რაიონული გაზეთის რედაქტორად. ვმუშაობდი აჭარის განათლების კომისარიატში კადრების განყოფილების გამგედ, საოლქო მთავლიტის უფროსად, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ დამის რედაქტორად, მთარგმნელად, სტილისტად. მერე აჭარის სახელმწიფო გამომცემლობაში რედაქტორად, ღირექტორად.

წერა და ხევა ადრე დავიწყე, ჯერ კიდევ სამეურნეო სკოლაში. მაინც ჩემი პირველი ლექსი (რა თქმა უნდა, დაუწერელი) იყო თქმული თაყა ლომაძეზე:

ჩემო ბიძია თაყაო,
შეგიხვევია თავ-ყბაო.

ამ გლეხს, რომელმაც შემდეგ სახარაზოს შეგირდად გამახელისხელა, ჩვეულებად ჰქონდა—ავდარში თუ ღარში, სიცივეში თუ სიცხეში ყაბალახით შეებურა თავ-კისერი. სწორედ ამაზე ვთქვი ეს ორი სტრიქონი. მამამ სასტიკად დამტუქსა — რა შენი სალექსოა ამხელა კაციო!... დედამ კი მომიწონა და მომიადურსა. მე მაშინ რვისაც არ ვიყავი და, ცხადია, არც სკოლაში დავდიოდი.

ჩემი ლექსი პირველად დაიბეჭდა 1921 წლის გაზაფხულზე გაზეთებში — „გურიის კომუნარში“ და „ტრიბუნაში“. პირველი ლექსთა კრებული გამოიცა ბათუმში 1938 წელს, დაბეჭდა აჭარის სახელმწიფო გამომცემლობაში. ეს იყო „პატაკი ოქტომბერს“.

შემდეგ სხვადასხვა დროს დღემდე გამოცემულია სამი ათეული წიგნი და ბროშურა, მათ შორის 14 საბავშვო. ერთი მოსკოვში გამოვიდა „მზე ტოტზე“ და სამი თბილისში.

თოლია

სულ ნაწვიმარია, —
 ზღვათა გამეტება,
 დელვა უთვლელი და
 დაღლა მოჰყოლია,
 ახლა კვიპაროსთან
 ჯდება და ისვენებს,
 დღეთა გარდასულთა
 იხსენებს თოლია.
 აფრები ცისფერი
 და ქარში ნაფენი,
 მათთან სამძო გზები
 გავლო და გალია,
 ეგონა ყოველი
 ვრცელი და ნათელი,
 ეგონა —
 ცრემლისთვის არავის სცალია.
 ქარები.
 ქარები საითკენ მიჰქრიან?
 თოლიას,
 ვინც მოჰკლა, იგი დაიტირებს,
 ქარი სურვილი და
 ოცნების ქალია...
 ალერსს აჰყოლა,
 ტალღას აჰყოლია, —
 არის ბედნიერი პატარა თოლია,
 სევდას აჰყოლია,
 ტკივილს აჰყოლია, —
 არის უბედური პატარა თოლია...
 ო, არის ამ წუთში იგი
 ყველაფერი
 სიმღერა —
 სიკვდილის ნისლით შენაფერი
 სიმღერა —

სიცოცხლით მარადდღე ნათელი,
 ღმერთი ყოვლისშემძლე —
 სამყაროს მზარველი,
 ერთი უსასო პატარა

ფრინველი...

თვალი საღიმელე და ცრემლი
 ცხარეა

და როგორც არასდროს
 ახლა

ცოცხალია,
 და როგორც არასდროს
 უფრო

ცოცხალია,
 რადგანაც სიკვდილი
 ახლოა ძალიან.

. . .
 მასთან ქარია და ქარში
 კვიპაროსი,
 გლოვა ზარია და შველა
 არავისი.

●
 ნუ მისურვებ — ორთავ მხარზე
 ორი ანგელოზი მეჯდეს,
 ერთი ეშმაკ უნდა იყოს,
 წამოსკუპებული ბეჭზე.
 მათი უცნაური რია,
 ჯერაც უნახავი საზე,
 რომლის მომეწევა ტყვია,
 შენც იმ მხრიდან დამინახე.

საით გაგეჰცე ცივსა და ღაღარს,
ქარის ფეხებით ცრემლებში
ჩავლილს,

შენ უასაკო იყავი სადა,
თუ გამოცანა გაუსვლელ
ყავლით.

ვერც მე ამოვხსნი
შენს რეზუს მარადს,
მიეც მოთმენა, რომ არ
გამრიგოს,

ჯანდაბას,
თუკი მეწვევი მწარედ,
ოღონდ ტრფიალის სახელით
იყოს.

ზ ა რ ი

ჟამიდან ჟამად ისიტყვებდა
მისი გუგუნნი:

დიდთა ძეობებს,
რჩეულთ ქორწილს
ომს და ფორიაქს.
კამათელივით უნდო სოფელმა,
ვით მორჩილება,
ყელს შეაბა სიჩუმის ენა
და უგუნება ჟანგიანი თვალის
ნათელი,

რომ გაუჭვრიტოს გაბურძნულ
ლობეს

და ბალახის ჯარს,
ბილიკის წიაღ რომ ეშურება
ჯოუტად და სვენებ-სვენებით.
გამითენდაო, —
ასეც ფიქრობს არაიშვიათ,

ცნობისმოყვარის მიშვერილ
თითებს

გაითვლის თითქოს ზარბაზანის
მრისხანე ლულას,
სადაც ჩიტებმა ბუდე ააგეს,
შორი ცდისა და თმენისაგან
დაღალულებმა.
ხანდახან კიდევ
ფოთოლცვენას მიაყურალებს
და თვინიერი ნატვრის გადაღმა
ტკივილს ვერ ამბობს

ხმააწეულად.

შემოდგომის პირს შეაცოცდება
სხეულს ქარი
და აღჩნდება რწმენა:
იქნებ ნაჩვევი გზით მოეახლოს
ნაცნობი ხელი და... გააღვიძოს.

თოვლი

საში ღღე თოვლა,
მე ჩემს ქალაქში
არ მომსწრებია ამგვარი თოვა.
მე, შეჩვეული ჭერსა და სითბოს,
აღარ ვეძებდი ქუჩაში ღიმილს...
და ახლა თოვლა უკვე სზვათათვის,
მე კი ვიწექი და ვიზსენებდი,
როგორ მიყვარდა ოდესღაც იგი.
ბაგევახსნილი ვსვდებოდი ფიფქებს
და თითო ფიფქი — თითო ზღაპარი
თითო სიყვარულს სტოვებდა ჩემთან.
და მოდიოდა თოვლი იმედად,
და მიდიოდა, იკარგებოდა
მუსიკასავით,
ჩაქროლებული ავტომანქანიდან რომ
ჩაგეგერება და გაგეცევა.
ახლა კი თოვლა,
მე კი არაფერს არ მოველოდი
და ეს ქუჩებიც
სზვათათვის ენთო თეთრი სინათლით.
გარეთ კი თოვლა და მაქვზებდა.
მე შემრცხვა... შემრცხვა
და გამოვედი,
თეთრად ელავდა და ანათებდა
და არ ქრებოდა ელვა.
„შენერდი, წამო!“ —
თითქოს უფალს ებრძანებინა.
ქუჩა ისე ქათქათებდა თოვლისგან,
როგორც სანაპირო პლაჟზე
ახალჩამოსული ტურისტების სზეულები.
ვიღაც ვიღაცას ესროდა გუნდას,
ვიღაც კიოდა და კისკისებდა,
ბაეშეები თეთრი მარმარილოთი
აქანდაკებდნენ ჩიბუხიან ბერიკაცს.

ვილაც ქალაქში პურს დაეძებდა,
ეცემოდა და ვილაცებს ლანძღავდა,
მერე ამყად მიჰქონდა პური
და უხაროდა.

ვილაც გოგონებმა გუნდა მესროლეს...
ქუჩის კუთხესთან უქულო ახმახს
ოთხი კაფანდარა ეჭიდებოდა,
ახმახი იცინოდა და იგერიებდა,
აჯობეს ბოლოს, წააქციეს და
სველი, ქათქათა პირსახოცით
მოსწმინდეს პირი.

პირსახოცი თვალსა და ხელს შუა გაქრა.
ახმახი გვერდზე გადაგორდა და იცინოდა,
მე მოვდიოდი და ვფიქრობდი,
რომ ქვეყანაზე კვლავ შეიძლება,
რომ გაიცინო ირონიის და გესლის გარეშე,
რომ გაცივებულ ადამიანებს
კვლავაც გაათბობს თოვლის მირონი.
მე ძველებურად მიყვარდა იგი
და ჩუმად ვწუხდი:
გაზაფხულდება,
რა ეშველება უთოვლო ქალაქს.



არ შემიძლია... ვერ შევურიგდი,
რომ სიყვარული,
მარადისობის ფრთებმომსხვრეული,
წამების წამთა ნაფლეთებად გადაქცეული
ბორგავს აქ, შიგნით,
და აქეთ-იქით ეხეთქება,
ვით მოკვეთილი ათასი თავი
ათასი მამლის.
ვერ იქნა, წრე ვერ შემოვუხაზე.
ვერც გაცოცხლდება და ვერც ისვენებს
და აქეთ-იქით ეხეთქება ათასი თავი...
შენ კი, ბათუმო,
ამ იანვარში

რატომ მატყუებ მაღალი მზით,
ზოწმენდილი ცით,
ჯანათებული ხეივანებით
და ზღვით, რომელიც ისე ლურჯია,
როგორც დამწვები პოეტისთვის
ოცნების სახე.

სანაპიროსთან თოვლისფერი სოკოების
ქვეშ

ყავას სვამენ და იგონებენ ბერიკაცები. —
პალტოებით და ლაბადებით შემოსილები.
იტალიური სიმღერებით სავსე ბულვარით
ვერ მომატყუებ
და სიყვარული.

წამების წამთა ნაფლეთებად გადაქცეული,
ბორგავს აქ, შივნიტ
და აქეთ-იქით ეხეთქება.

ზომ შეიძლება, ამ ხეივანში

ერთად გვევლო და
გაღვიდილი ჩემი საკინძი
იქნება კიდევ შეატყუნდა
ეინში ჩემნაირს.

„გაზაფხულდაო“

ზაფხული მაინც ყოფილიყო.

სოკოების ქვეშ მაგიდებს

სამოსშემოცლილი წვეილები რომ

მოუსხდებიან.

სულელებიც რომ შემოიძარცვავენ სამოსს,

ბედნიერებაზე რომ მღერის იტალიელი,

იქნება მაშინ სიყვარული.

წამებულ წამთა ნაფლეთებად გადაქცეული,

აქეთ-იქეთ რომ ეხეთქება.

იქნებ გაცოცხლდეს


და ათასი მამლის ყივილიტ

შეგეხშიანო ყოველ განთიადს.



ნარკვევები

ზემო კუჩქა



მეზღვაურს შთაბეჭდილებას. რა გამოუღევს, მაგრამ კუბის რევოლუცია მაინც განსაკუთრებულად შემომჩნა მენსიერებაში.

რამდენიმე წლის განმავლობაში ზღვის ბილიკი დროადრო რესპუბლიკის რომელიმე ნავსადგურში შემეყვანდა და მომეცემოდა ბედნიერი საშუალება ეავცნობოდი ახალი ცხოვრების მშენებლობას, შემედარებინა ერთმანეთისათვის წინათ ნანახი და ახლა დანახული, შემეფასებინა ქვეყნის აღმასვლის მასშტაბები.

ახლა სწორად მაგონდება თავისუფლების კუნძული, რომელსაც სიანლოვისა და სიყვარულის გამო ჩემი კუბა ვუწოდებ.

* * *

ამსანაგებთან ერთად მოწიწებით ვიდექი მონკადის ყოფილი ყაზარმის შენობის წინ და ერთმანეთს ვადარებდი წიგნებში ამოკითხულ აღწერილობას და საკუთარი თვალით დანახულ დიდებულებას.

1963 წლის 26 ივლისის აღრიან დილას მამაცთა ჯგუფი ფიდელ კასტროს მეთაურობით შეიჭრა ამ ყაზარმაში და ეს დღე ღირსშესანიშნავ თარიღად ჩაიწერა კუბის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. ამ თარიღიდან იწყებს დროისა და მოვლენების გამოთვლას კუბის რევოლუცია, რომელმაც ექვსი წლის შემდეგ გაიმარჯვა.

ერთმა ჩვენგანმა, ენსანურის მცოდნემ, გადმოგვითარგმნა შენობის ფრონტონზე ამოკვეთილი შთაბეჭედავი წარწერა: „პირველი სკოლაქცეულის ყაზარმა“.

ბევრისმთქმელია ეს ლაკონური წარწერა. იგი მისხამა მაგალითად ევლინება ქვეყნიერებას. ახლა ამ კედლებში 26 ივლისის სახელობის სასკოლო ქალაქია მოთავსებული.

სოლო შორიახლო ჩქეფდა დიდი და ღამაში ქალაქის ცხოვრება. მისი მცხოვრებნი გულისხმად გვილიმოდნენ და დაუფარავი სიამაყით შემოგვცქეროდნენ.

კუბისა და მისი დედაქალაქის ჰავანას შესახებ პირველად ორმოცდაათიან წლებში შევიტყვე რამდენადმე უჩვეულო პირობებში. მაშინდელ ბიჭებს გვიყვარდა საზღვაო ვაჭლის გემმისადგომზე ვარბენა და სამგზავრო გემის შეხედვრა. ხომალდის შემოსვლამდე დიდი ხნით ადრე გავივლიდით ხოლმე და ერთმანეთს ვეჭიბრებოდი თვალის სიმკვირცხლეში, ვცდილობდით ყველაზე ადრე დაგველანდა პორიზონტზე დამახასიათებელი სილუეტი. სხვებზე უფრო თბომაველი „საქართველო“ მხიბლავდა, მიუ-

ხედავდა იმისა, რომ სიდიდით (ამას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბიჭებისათვის) ოჯახამორჩებოდა „როსიას“, „ამდირალ ნასიმოვსა“ და სხვა ამგვარ გემებს.

„საქართველოზე“ სწორად უკრავდნენ კუბურ სიმღერას. შუბრით შეესცქეროდათ მატროსებს, რომლებიც სიმღერის პანწუ მკვირცხლად გადაისვრიდნენ და ამოიღებდნენ ბავირობის ბოლოებს. მაშინ გვაფიწყებოდა, რომ თბილისელი ყირიმ-კავკასიის ზავზე გადიოდა მხოლოდ, ნავსადგურიდან ნავსადგურამდე, ასე გვეჩვენებოდა, თითქმის თეთრი ზომილდრ ეს-ეს არის შორეული ჰავანიდან დაბრუნდა, იმ ქალაქიდან, შორეული ტროიკული ზღვების მარგალიტად, მიუწვდომელ და ამით კიდევ უფრო მოზიზღებელ თეთრ ქალაქად რომ გვეჩვენებოდა ჩვენს ბავშვურ წარმოდგენაში. ამ წუთებში აღმდგომი ბავირობები და დამეფლებოდა ბედნიერი წინათგანსვლა: ჯერ ყველაფერი წინ არის, ყველაფერი ასრულდება, გაივლის დრო და მეც გავივლი ჰავანის წაბთ მოგვნილ ქუჩებში.

ზღვასა და გემს ბავშვობიდანვე შევფარებული ბევრი ბათუმელი ყმაწვილი ოცნებაში საზღვაოსნო სასწავლებლის აუდიტორიაში მივიყვანა. შორეულ ნაოსნობაში მოგვგონებდით სკოლაში ნასწავლ გეოგრაფიას და წარმოსახვით აღმოვაჩინდით ჩვენი პლანეტის სხვადასხვა ქვეყნებს, და აქამდე რამდენადმე აბსტრაქტული მცნება „საზღვარგარეთი“ კონკრეტულ, რეალურ შინაარს შეიძენდა.

თუმცა ის პირველი რომანტიკული წარმოდგენა, ბავშვობაში სამზავრო ვაგზლის ბაქანზე რომ შენეჭქნა კუბაზე, სულაც არ გამქარწყლებია. პირიქით, მეგობარი მეზღვაურების ნაამბობით შევსებული, იგი მაშაღებდა ამ ქვეყნის აღმავროვანებელი აღქმისათვის. მხოლოდ იმის დროდინდა დამჩინებოდა, თუ როდის მომიყვანდა ზღვის ბილიკი კუნძულამდე.

და მალე ეს დროც დადგა.

წინასაღმართო პრაქტიკის დროს, 1962 წლის ოქტომბრის წვიმიან დილას, ბათუმიდან კუბის ნაპირებისაკენ მივემგზავრებოდი—ჰავანისაკენ! შეხვედრა ქალაქთან, რომლის შესახებ თითქმის უკვე ყველაფერი ვიცოდი, საოცრად მალელებდა.

ახალგაზრდა მეზღვაურებმა, რომლებსაც ჯერ არ ენახათ თავისუფლების კუნძული, პოლიტექნიკის დროს შეკითხვებით შეიკლეს კაპიტნის პირველი თანაშემწე. ყველა შეკითხვაზე შეუპოვებელი იყო პასუხის გაცემა.

ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის ძნელი დრო იდგა. კარიბის კრიზისმა მსოფლიო თერმობატორი კატასტროფის უფსკრულთან დაყენა. მაგრამ ამ მშფოთვარე დღეებში განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა კუბელი ხალხის უმაგალითო გმირობა, მისი მზადყოფნა — ბოლომდე დაეცვა საკუთარი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ჰავანაში მისვლას სამიოდე დღე გვოკლდა. ცაში გამოჩნდა პირველი ამერიკული თვითმფრინავი, ერთი იმათაგანი, კუბის ვრცელი აკვატორიის ირგვლივ რომ დათარეშობდა.

თვითმფრინავი ოქენის თავზე ჩამოწოლილი ტყვიისფერი ღრუბლებიდან გამოძვრა, ჩვენს გემს კიჩოს მხრიდან ზედ ანძის წვერთან გადაუარა, მერე სიმაღლე აიღო ახალი შემოვლისათვის და წყლის თავზე პროპელერით აწვირთებული კვალი დატოვა.

დახუთული დილა იყო. ჰორიზონტს იქით გამოჩნდა ჰავანის ცათამბჟენები. ჩვენი მიზნოვების კვალბაზე ქალაქი სულ უფრო ამოიმართებოდა წყლიდან, სულ უფრო იზრდებოდა და მალე ჰორიზონტი დაფარა... უეცრად, თითქმის ამომაგალი მზის მცხუნვარებას ვერ გაუძლო, ტყვიისფერი ღრუბელი აღმოსავლეთით გაიბარა და ყურეს დილის აღისფერი ალიონი მოეფინა.

მეზღვაურებს არ უყვართ მზის ასე მეწაშულად ამოსვლა, ქარი და შტორმიანი ამინდი იცისო. მაგრამ ამჟერად ეს სულაც არ მალელებდა. განა იმიტომ, რომ ნავსადგური ზევე ახლო იყო და ბინოკლში კარგად მოჩანდა ძველი ციხესიმაგრე და ჰავანის შუ-

ქურა, ნავსადგურში შესასვლელს რომ დარაჯობდა ალიონის აღმსდერი ანარეკლი სიმ-
ბოლურად მომანოვნებდა იმ რევოლუციურ რომანტიკას, რომლითაც ცხოვრობდა
რევოლუციური კუბის დედაქალაქი. კუბელთა მეხსიერებაში წარუშლელად დგოვდა ის
გმირული დღეები, როცა აჯანყებულთა არმიამ, სახალხო მოლაშქრეთა რაზმების მხ-
ნაწილობით, გაანადგურა ამერიკული იარაღით კბილებამდე შეიარაღებული დაქირავე-
ბული ჯარისკაცები.

ნავთობსაზიდი გემების მისადგომები უკაცრიელი მოჩანდა, მარტო წინ-უკან მოარუ-
ლი გუშაგის ფიგურა მოჩანდა. ხმელეთიდან გულდაგულ იცავდნენ გემმისადგომს, მა-
გრამ წყალქვეშა დივერსანტების ტერორისტული აქტის სამიშროება გამოირიცხული არ
იყო და გემის ძრავი მცირე უკანა სვლით გუგუნებდა. წყალქვეშა დივერსანტი თუ ახ-
ლა გემს კიჩოდან მოეპარებოდა, მბრუნავ ხრახნში მოექცეოდა, ხოლო თუ ცხვირიდან
შემოუვლიდა, ამავე ხრახნიდან წამოსული მძლავრი წყლის ჭავლი არ მიუშვებდა. ამგვარად
ტანკერი თვითონ იცავდა წყალქვეშა ნაწილს.

მეორე დღეს, ადრიან დილით, ვახტიდან რომ გამოვიცვალე, გემბანზე ავედი. ცაზე ერ-
თი მეორის მიყოლებით ქრებოდა ვარსკვლავები და აღმოსავლეთით ჰორიზონტი თანდა-
თან ნათლდებოდა, განთიადის მომასწავებელი თეთრი ნისლით იმოსებოდა.

ქიშთან კაპიტნის მეორე თანაშემწე იდგა, უესტით მომიხმო, უჩუმრად მომიახლოვ-
დით, მივედი. მკვეთრად განათებულ მისადგომზე სამხედრო ფორმაში გამოწყობილი
შავგრემანი სიმპათიური ქალიშვილი იდგა.

საგულდაგულოდ მორგებული ფორმა არ უკარგავდა მას ქალურობას, პირიქით,
მომეჩვენა, როგორღაც ხაზს უსვამდა კიდევაც ამას. გაპრიალებული ფეხსაცმელი,
ოდნავ მკერდზე მოქცეული ბერეტი სხვა ტანსაცმელთან ჰარმონიაში განსაკუთრებულ
ბეწს სძენდა. ქალიშვილი ჩვენ ვერ გვხვდავდა. იგი თანაბრად დაბიჯებდა გემის გახწვ-
რივ, თითქმის რომელიმე მელოდიის შენელებული რიტმისათვის აუწყვია ფენიო. ნაბი-
ჯის ტაქტში აიქნევდა და ჩამოუშვებდა იდაყვში მოხრილ ხელებს. მკერდზე მქრალად
მოლაპლაპე ავტომატი ეკიდა.

შორიდან მოახლოებული ავტომანქანის ხმა მოისმა. ქალიშვილი უმაღლესი შეიცვალა.
ავტომატი ქამრით ზურგზე მოიგდო. მან ქაღალს სიმკაცრის ელფერი შესძინა. მკვეთრად
შებრუნდა და მანქანის შესახვედრად წავიდა.

შეიარაღებული დაცვის გარდა გემმისადგომზე არაფერი მეტყველებდა სამხედრო
მდგომარეობაზე. ეთერში იღვრებოდა ტემპერამენტისანი სამხრეთ-ამერიკული მუსიკა,
მზიარულ რუმბებსა სცვლიდა გიტარების ვირტუოზული აკომპანემენტით შესრულებუ-
ლი სიმღერები... სამხედრო მდგომარეობის დროსაც კუბელები ინარჩუნებდნენ სიმშვი-
დეს და რევოლუციის საბოლოო გამარჯვების რწმენას.

რამდენიმეჯერ ზღვაში დიქტორის რბილი, ოდნავ ხრინწიანი ბარიტონი აუწყებდა
ახალ ამბებს და როგორც წესი მთავრდებოდა ფიცხვით საუბრით სიტყვებით: „სამშობლო
ან სიკვდილი! ჩვენ გავიმარჯვებთ!“.

მეორედ სამი წლის შემდეგ მოვხვდი ჰავანაში. ამჯერად ქალაქი მთელი თავისი
ბრწყინვალეობით წარმოგვიდგა. მექსიკის ყურეს რკალად მიჭრილი ქალაქი კეკლუცად
აირეკლებოდა ზღვის ფირუზისფერ სივრცეში.

ჰავანის სხვადასხვა სტილის ლამაზი შენობები, პირდაპირი და ფართო აივნებში,
მდიდრული ჩრდილიანი პარკები — განუმეორებლად თავისებურს სდიდა მთელ ქა-
ლაქს. მთელს ამ არქიტექტურაში თვალნათლივ იგრძნობოდა ქვეყნის მიერ განვლილი
ისტორიული ეტაპები.

ახალი, თანამედროვე ჰავანის ცენტრს რევოლუციის მოედნისაკენ გადაუნაცვლებათ
ჰავანელები აქ მოდიან ეროვნული დღესასწაულებისა და საუბრით მოვლენების დღეებ-
ში. მოედნის მთავარი ღირსშესანიშნავობაა თოვლივით ქათქათა კუბური მარმარილო-

თი მოპირკეთებული მაღალი ობელისკი და ძეგლი — თვრამეტმეტრიან კვარცხლბეკზე
შედგმული ხოსე მარტის ფიგურა. მაღალი პოსტამენტიდან იგი გადმოსცქერის თანა-
მემაჟულეებს, რომელთა ბედნიერებასაც შესწირა მთელი სიცოცხლე.

აშერიკული ბლოკადით გამოწვეული მრავალი სიძნელის მიუხედავად, კუბა მორევ-
წარმატებებს აღწევდა სოციალისტურ აღმშენებლობაში და დამსახურებულად ამაყობ-
და კიდეც მიღწეულით. კუბელები არამარტო გვიამბობდნენ ამ მიღწევებზე, არამედ
გვიჩვენებდნენ კიდეც. საექსკურსიოდ მიგვიწვიეს სახელგანთქმულ ფაბრიკა „კორო-
ნაში“, სადაც მსოფლიოში ცნობილ სიგარეტებს ამზადებენ.

ჩვენი ქვეყნის თამბაქოს მწვევლებში, სხვადასხვა მიზეზით, სიგარა პოპულარული
არ არის და ზღვისიქითა საკირველებად რჩება. ამიტომ ყველაფერი, რაც ფაბრიკაში
ვხახეთ და მოვისმინეთ, დიდი სიახლე იყო ჩვენთვის. გამოირკვა, მაგალითად, რომ სი-
გარა ისე მრავალნაირი ყოფილა, როგორც სიგარეტები. ფაბრიკის კატალოგში, ნისი
ასორტიმენტი სამ ათას აჭარბებდა. კუბური სიგარის მთავარი ღირსება, რა თქმა
უხდა, თამბაქოს ხარისხია. ამ თანაქოს, მწვევლთა ჯრით, განსაკუთრებული
თვისებები აქვს და ამაში თქვენც აღვილად დარწმუნდებით „ჰავანისა“ და „კო-
რონის“ არმატს რომ იგრძნობთ. ამ თვისებებს, თურმე, ადგილობრივი ნიადაგი და
ჰავა ანიჭებს და ამის წყალობით კუბური სიგარა ყოველგვარი სარეკლამო ხარჯების გა-
რეშე იმარჯვებს საერთაშორისო ბაზრის კონკურენციაში.

შემოვიარეთ რამდენიმე საამქრო. გრძელ მაგიდებთან თამბაქოს ფურცლებს სიგა-
რებად გრაგნიდნენ. მომუშავეთა უმრავლესობა ქალებია. რევოლუციამდე მათ აქ არ
ამუშავებდნენ, რევოლუციამ ძირეულად შეცვალა კუბელი ქალის ბედი. იგი მამა-
კაცის თანასწორად გამოაცხადა. რესპუბლიკის მთავრობას ბევრი რთული ამოცანის გა-
დაწყვეტა მოუხდა ქალისთვის შრომის უფლების მისანიჭებლად. ამით მკვეთრად გაუ-
მჯობესდა ქალის მატერიალური მდგომარეობა და შთაუწერა მას რწმენა, რომ იგი სა-
ჭიროა ქვეყნისათვის, მისი დიდი საქმიებისათვის.

საამქროში ჩვენს გამოჩენას მუშა ქალები თავისებური მისალმებით ხვდებოდნენ —
შეთანხმებულად დაკრავდნენ მაგიდას თამბაქოს ფოთლის დასამუშავებელ დანებს.

გიდის განმარტებებს ყურადღებით ვისმენდი. ერთ მაგიდასთან შევჩერდი. შავგრე-
მან ქალიშვილს დიდრონი თვალები და გრძელი წამწამები უმშვენებდა სახეს. მაგი-
დის სანთებელას შუქით განათებული წამწამები გრძელ ჩრდილს ჰფენდა დაწვებზე და
უფრო დაგრძელებული გეჩვენებოდა. ხვეული თმები ალისფერი ბაფთით შეეკრა. გუ-
ნებაში ქალიშვილს კარმენი შევარკვი. მომაგონდა, რომ ის ნადვილი კარმენიც, პროს-
პერ მერიმეს კარმენიც თამბაქოს ფაბრიკაში მუშაობდა. და შერჩეული სახელი უფრო
მომეწონა. ქალიშვილი გვერდში მოდგმული კალათიდან ამოიღებდა თამბაქოს ფოთოლს,
სამართებელივით გაღვსილი დანით უხეშ ძარღვებს ჭრიდა და სიგარად დაახვევდა.

დაინტერესება რომ შემამჩნია, დიდრონი თვალებით ამომხედა, შემათვალისწინა, მუ-
შაობა კი წამითაც არ შეუწყვეტია, თითქმის თითები პატრონის ნება-სურვილს არც კი
ემორჩილებიან და თავისთავად ფუსფუსებენო...

როგორღაც ისე მოხდა, რომ სანტიაგო-დე-კუბაში, შაქრის ლერწმის უხვმოხავლია-
ნობით განთქმული პროვინციის — ორიენტეს მთავარ ქალაქში, ჩვენი დგომა შაქრის —
მოხავლის აღებას დაემთხვა. კაპიტნის პირველი თანაშემწე საოცრად დიდ გამოგონებ-
ლობას იჩენდა და ყოველთვის რაიმეს მოიფიქრებდა თავისუფალი დროს საინტერესოდ
გამოსაყენებლად. ამჯერად მისი მჭრუნველობის წყალობით, შაქრის ლერწმის მოხავ-
ლის აღებაში მივიღეთ მონაწილეობა. ეს კამპანია ამ დროს მთელს ქვეყანას მოიცავს.
ხოლო.

თურმე იმის მსურველი, რომ რაც შეიძლება მეტი გაეგო შაქრის შესახებ, ჩვენს
შორის უფრო ბევრი აღმოჩნდა, ვიდრე პირველ თანაშემწეს ეგონა. პატარა ავტობუსი

მსურველებს ვერ დაიტევდა და თანაშემწემ დაიწყო უფრო ღირსეულთა შერჩევა, რაც არც ისე ადვილი საქმე იყო.

მეორე დღეს, ადრე დილით, ჩვენი ჯგუფი ბუნქნარით შემოფარგულყოფილ ლამაზ გზით შაქრის ლერწმის უკიდურეს წიგის გასწვრივ გაეშურა სახელმწიფო მეურნეობისაკენ. მინდვრის სხედასწვა კუთხეში ამოშავალი მზის სხივებში მკვეთრი შტრიხებით იხატებოდა ლერწმის ასაღები კომბაინების სილუეტები. საბჭოთა და კუბელი სპეციალისტების ერთობლივი ცდილ შექმნილმა კომბაინებმა ასობით ათასი მაჩვენებელი გაათავისუფლა მძიმე ზღლის შრომისაგან, მაგრამ, სამაგიეროდ, მათვე დააქისრა პასუხისმგებლობა მინდვრების მდგომარეობაზე, გადგენა მოახდინა მეურნეობის კულტურის ამოღებაზე და ტექნიკურ აღჭურვილობაზე, მაღლებოდა სოფლის მეურნეობის მუშაკთა კვალიუფაცავიც. ისინი მაჩვენებ კომბაინის შტურვალზე ცვლიდნენ.

მჭრელის საუკუნოვან შრომას რომ გააღვიძებდა კომბაინი, მაჩვენებლის პროცესიას მთლიანი გადამცენება არ ემუქრებოდა, რადგან ლერწმის ისეთ აღვივებშიც თესავდნენ, სადაც კომბაინი ვერ მიუღებოდა, ტრადიციული მაჩვენებლისათვისაც რჩებოდა საქმე.

ავტობუსმა გზატკეცილიდან გადაუხვია, სოფლის შარაზე აჩაყვავდა, ვა მსოფლი მძლავრისათვის ნაცნობი გასახვედრებით გაივლიდა და ლერწმის ყანაში გაჩერდა. თავად სახელმწიფო მეურნეობის დირექტორი შემოგვხვდა, ორმოცდაათი წლის შავ-გრემანი მამაკაცი იყო, დაღლილ სახეზე კეთილი დიმილი უთამაშებდა.

წარმოგვიდგინეს მაღალი ათლტური აღნაგობის ჭაბუკი და გვითხრეს თქვენი პრიგადირი იქნებაო. ჭაბუკს სახეს უფდაშები და წვერი უმშვენებდა და, ამუღავნებდა მის სწრაფვას, გარეგნულად დამსავსებოდა ფიდელ კასტროს. გაღვივლ მკერდზე კუნთები მოუჩანდა, ხალათის მოკლე საყელო ვერ ფარავდა მძლავრ, იდეალური სელებს. ჭაბუკს ალბერტო ერქვა. მან ჩამოგვიარა და სითითოდ ჩამოგვართვა ხელი. ჩვენს სახელს რომ გაიგონებდა, რუსულად გვეტყოდა: „მონარული ვარ“, ამ სიტყვებს სწორად და მკაფიოდ გამოთქვამდა და მივხვდით, რომ რუსული კარგად იცოდა. ალბერტოს რუსული ენის შესწავლა დაუწყია ჩვენს სპეციალისტებთან ლერწმის ასაღები კომბაინის გამოცდაზე რომ მუშაობდნენ. ამიტომ გამოვეცხადეთ ჩვენთან სამუშაოდ.

დირექტორმა წარმატება გვიხურვა და ალბერტო დარიგა, მეზღვაურები არ გადაიღოლან, სშირ-სშირად გამოაცხადე შესვენება, და, ღმერთმა ნუ ქნას, არავინ დაგვიმარცხდესო.

მოუფერწლად ველოდით, როდის მოგვიდებოდა საქმეს წელს. ავირჩიეთ მაჩვენებლები — გრძელი, მძიმე და კარგად გაღვსილი დასები, მივიღეთ ალბერტოს კონსულტაცია და ყანაში გავედით.

შაქრის ლერწმა გარეგნულად სიმინდს ჰგავს: ღეროვ ისეთი აქვს, ფოთლებიც და ფოჩებიც. ღერო ძირთან უნდა გადაჭრა, ფოთლები აცალო და ორ-სამ ნაჭრად გადაკვეთო სიგრძის მიხედვით.

თავდაპირველად საშუალო ადვილი და გასართობიც კი მეჩვენა. დავარტყამდი მაჩვენებ, სასიამოვნო სრქილით გადაიჭრებოდა ლერწმის ღერო და ნაჭერ-ნაჭერ ზვინად ვაგროვებდი. თანდათან გშორდებოდი იმ ადვილს, საიდანაც მუშაობა დავიწყე და აწარტი მიპყრობდა. მოღუენებულმა კუნთებმა დატვირთვა რომ იგრძნეს, მთელი ტანი ფიზიკური შრომის სიხალისით აშვებო.

ცვლილობი ალბერტოსათვის მიმებაძა და უნებლიეთ ტემში ავყევო, მაგრამ მალე მივხვდი, რომ მიუჩვევლისათვის არც ისე ადვილი იქნებოდა მუშაობა. მაჩენი დამძიმდა და მზეც, აქამდე საამოდ მეაღერსებოდა ზურგზე, ახლა აგრესიულად მაცხუნებდა, დაღლილობა ძლიერდებოდა. სახეზე ოფლი ჩამომედვარა, თვალებში ოფლი ჩამომედვინთა. ლერწმა გაუძლიანდა მაჩვენებ და რამდენიმეჯერ ბასრიდანა უკუაგლო კიდევაც, თითქოს რეზინა დაეცაო.

„შევისვენოთ“! — გამოაცხადა ბრიგადირმა, სწორედ რომ დროზე გვეშველა.

ალბერტო ნელ-ნელა გაიზნია წელში და ამით გვიჩვენა, მეც მალევე დავდგალეთ. ჭილის სიმბრერო მოიხადა, სახე მოიწმინდა, თუმცა სულაც არ გაოფლიანებოდა. ამა-
ბათ, იმიტომ ცდილობდა ასე ძალუმაღ, ჩვენ რომ არ შეგვრცხვენოდა, მომჩვენებოდა
რომ დავემსგავსეთ.

წრეში ჩამოვჯექით, თამბაქო გავაბოღეთ. ალბერტოს ამხანაგებაც შემოგვიერთ-
ნენ, იქვე მახლობლად რომ მუშაობდნენ.

გრესა, რადიო და ტელევიზია კუბელებს ვრცელ ინფორმაციას აწვდიან ჩვენი ქვეყ-
ნის ცხოვრებაზე. ეს იგრძნობოდა ბიჭების შეკითხვებში. ინტერესი მაინც დიდი იყო
და რამდენიმე დღეც რომ დავრჩენილიყავით, მაინც ვერ მოვაწერებდით ყველა მათ
შეკითხვას პასუხის ვაცემას.

ნაცნობი რუსული და ესპანური სიტყვების სიმცირე მწარეებს ხელს არ უშლიდა
გულითად საუბარში. უცბები და ნაიკა საუკეთესოდ გვესმარებოდა ერთბაშად ბარი-
კალების გადალახვაში.

შესვენების შემდეგ ჩემთვის უფრო შესაფერი მუშაობის ტემპი ავირჩიე და საქმე-
ში აქტიურად ჩავედი. ალბერტომ შემდეგი შესვენება რომ გამოაცხადა, ისეთ დაღლას
ალარ გვგრძნობდა. სამუშაო დღის ბოლოს დირექტორი მოვიდა, შევატყვეთ: ჩვენი ნა-
მუშევართ რამდენადმე გაცდებული და კმაყოფილი დარჩა.

მოვიდა ავტობუსიც. დადლილენი, მაგრამ კმაყოფილნი ვბრუნდებოდით გემზე.
ალბერტოს და მის მეგობრებს დიდხანს ვუქნევდით ხელს, სანამ ავტობუსმა სწორი
გზიდან არ გადაუხვია.

კუბაში ყოველი შემდგომი ჩახვლა კუბანთა ცხოვრებას რაიმე ახალი მხრით
წარმოგვიდგენდა. თავისუფალი საღისის ნებიოთა და გონებით ნაშენები აწყობის სიღამაზე
ჩრდილავენ კუნძულ-კურორტის ბუნებრივ მშვენიერებას, უცხოელებს კუბის მთავარ
ღირებულად რომ მიაჩნდათ ადამიანადან. ახლა მეგობრულ მზერას უფრო იპყრობდა ახალ
მშენებლობათა პანორამა, რომლებზეც დიდი ისტორიული ცვლილებები შეეტანა ტრა-
გიკულ კუბურ ბეიზაშში, შალაზიების ვიტირებში გამოფენილი იყო ადგილობრივი
წარმოების საქონელი, რომელსაც წინათ არც კი ამზადებდნენ.

კუბაში გაჩნდა საკუთარი თევზსაჭერი ფლოტიც, შენდებოდა ახალი ნავმისადგომე-
ბი, თანამედროვე საწყობები და მაცივრები. ნავსადგურებში ხუდ უფრო სწრაფად
შედოიდან საფაქრო გემები, რომლებსაც ამაზე კუბის სახელმწიფო ალამი აქონდათ
აღმართული. განსაკუთრებით დიდი ცვლილებები იგრძნობოდა იმ გემებისადგომებთან,
რომლებზეც კუბის ექსპორტის მთავარი პროდუქტი — შაქარი იტვირთებოდა.

რევოლუციამდე ნავსადგურის კარიბჭესთან გაშუდმებით იდგნენ სამუშაოს მაძიებე-
ლნი. ისე უჭირდათ, ბირობებს არც კი კითხულობდნენ, იმიტომ, თუ ვინმე სამუშაოს
იშოვებდა, იმის შიშით, არ გამოგდონო, კრინტსაც ეგლარ დასძრავდა აუტანელ ბირობე-
ბზე.

სასაღსო ხელისუფლების დროს მტვირთავების უფლებებზე მწრუნელობა პროფ-
კავშირმა იკისრა. მათი შრომის გადავიდების მიზნით ნავსადგურში დაინერგა სატვი-
როლო ოპერაციების შექანისავია. ქარახებიდან მოზიდული შაქარი ბუნკერებში იყრება,
ტრანსპორტიორის ლენტით შედის პნევმატურ მოწყობილობაში და უწყვეტ ნაკადად
ჩაიყრება ტრიუმში. ამის შედეგად ძალზე გადიდდა შრომის ნაყოფიერება. თუ წინათ
ორი-სამი კვირა უნდებოდათ გემის დატვირთვას, ახლა ორ-სამ დღეში და უფრო მა-
ლევ ასწრებენ საქმეს.

ყველაზე უფრო საოცარი ის იყო, რომ მექანიკების მთელს ამ კომპლექსს ადვილად
მართავდა ერთი კაცი, ყოფილი მტვირთავი.

კუბაზე რომ ლაპარაკობ, არ შეიძლება არ თქვა ზღვაზეც, ირგვლივ რომ შემოქლო-

მია კუნძულის და ერთნაირად ლამაზია როგორც კარგ ამინდშიც, როცა მისი ფირუზის-ფერი მოლივლივე ზედაპირი საბანაოდ გაცდუნებს, ასევე უამინდობის მერეც, ათას-ფრად რომ აკიაფდება.

უჩვეულოდ ლამაზი, ალერსიანი და წლის უმეტეს დროს თბილი ზღვა სწორედ ის ადგილი იყო, სადაც ძალიან ხშირად ვახტისაგან თავისუფალ დროს ვატარებდით. ის, ვინც ზღვას დაშვებობდა და წყალქვეშა ნადირობა უყვარს, ღირსეულად შეაფასებს კუნძულის ზღვის ფაუნისა და ფლორის სიმდიდრეს.

ერთხელ წყალქვეშ ნილაბით დავცურავდი ნელ-ნელა და მზით განათებულ წყლის სივრცეს ვათვალიერებდი. ქვიშიანი ფსკერი ოაზისივით მოჩანდა წყალმცენარეების მწვანე მანტიით დაფარულ ადგილებს შორის. დავინახე, წვრილი თევზის გუნდმა როგორ იქცია მხარი და მისკენ გავეშურე, ვიფიქრე, ალბათ, დიდი თევზი მოსდევს-მეთქი, შუა-გზაზე ჩემი ყურადღება მიიპყრო უჩვეულო ფორმის ნათელმა საგანმა. მისი დიდი ნაწილი ხილით იყო დაფარული. წყლის სიღრმე ოთხ მეტრამდე იქნებოდა. დიდი ნიჟარა აღმოჩნდა, სილა, რომ გადაიცალა, ათასფერად აბჭყვიალდა.

ადგილობრივმა ბიჭებმა, რომლებმაც მირჩიეს, სად დამეწვრა თევზი, თევზის ნაცვლად ნიჟარა რომ ამოვიტანე, გარს შემომეხვივნენ, შემაქეს, საუკეთესო ეგზემპლარი შეგხვედრიაო...

მრავალი წლის შემდეგ, როცა ჩემმა გზებმა ხმელეთზე გადმოინაცვლა და ზღაპრული კუნძული გეოგრაფიულად კვლავ ისევე დამშორდა, როგორც ჩემს ბავშვობაში იყო შორეული, ნიჟარა ჩემს საწერ მაგიდას ამშვენებს და მახსენებს, რომ ყველაფერი ის სიზმარი კი არ ყოფილა, არამედ ნამდვილად მოხდა.

ეს ნიჟარა ყოველთვის მაგონებს იმ საღამოს, უკანასკნელი რეისით რომ მოვემგზავრებოდი კუბის ნაპირებიდან.

საღამომ სამომ სიმშვიდით შეცვალა დღის ფორაქი, მაგრამ სიგრილე არ მოჰყოლია. ჩვენმა გემმა მიატოვა მისადგომი და ყურის გასწვრივ ნელ-ნელა მიცურავს ოკეანის სივრცისაკენ. ჩამავალი მზის სხივებში ლურჯად გამოკრთის სანაპიროზე გამწკრივებული პალმების კონტურები. ყველაფერი უძრავად გაჩინდლა მოახლოებული ღამის მოლოდინში.

ბინდი კი სწრაფად ეშვება. ერთბაშად იძირება ყველაფერი ჩამოწოლილ წყვდიადში, უკვე ზღვაც აღარ მოჩანს, მხოლოდ მისი თანაბარი შრიალი ისმის საღდაც შორს, ნაპირთან.

თბომაველი ყურეს ტოვებს და სვლას უმატებს.

დიდხან არ ვცილდები გემბანს. ვტკბები ცაზე მობნეული ზღაპრულად დიდი ვარსკვლავების სილამაზით, ჯადოქრული ბრწყინვალეობით რომ მოუქარავს ტროპიკული ცის შავი ხვედრი.

ოთხწამიანი პაუზებით ეცემა გემს შუქურას მძლავრი სხივები და ჭერ კიდევ გვაკავშირებს ნაპირთან. თუმცა ნათება სულ უფრო ფერმკრთალდება, მალე უკანასკნელად ჩაგვიკრავს თვალს და გამოგვემშვიდობება, ჰორიზონტს მიეფარება.

ამოდის მთვარე და ვერცხლისფერ სინათლეს გადმოღვრის ირგვლივ.

ბედნიერებასა და აღორძინებას გისურვებ, ამაყო ქალაქო!

ახალ, დიდ წარმატებებს გისურვებ, შრომისმოყვარე ხალხო!



სიკვდილი ესენი

მარგუმი

დღეებო, დართეთ
თქვენი ნართი
ძველებურ ნართად.
ცოცხალი სული ისეთია,
ვერ შეცვლის ღმერთიც.
საერთო ენას ვერ ვპოულობ
საკუთარ თავთან
და საყვარელი ჩემი თავიც
უცხოა ჩემთვის.

კითხვა მინდა და
წიგნი უცებ გამივარდება.
ვიწყებ მთქნარებას
და ჩავთვლებ ბოლოს.
გარეთ კი ქარი
ქვითინებს და აღარ წყნარდება,
თითქოს ვიღაცას
წინასწარ გლოვობს.

დგას გაქუცული ნეკერჩხალი.
კენწერო შავი,
ხმაჩახლენილი
წარსულზე ჰყვება.
თითქოს ბოძია სამარცხვინო,
საცქერლად ავი,
ან შეებად, ანდა
სახრობელად თუ გამოდგება.

ხელები ზურგზე
უნდა შემეიკრან
ყველაზე ადრე.

რადგან მშობელი მხარე
ჩემი ზრინწით შევიკალ,
აღარ ვაძინე
და სნეული სიმღერა ვკადრე.

მამლებს ვერ ვიტან,
სინსილაც კი გაწყდეს იმათი.
ვამბობ:
ნეტავი შემადლებინა —
სუყველა მამალს გამოვშიგნავდი,
რომ ღამდამობით აღარ
ეყვივლათ.

დამავიწყდა, რომ
ახირება მეც მქონდა მამლის
და გავყიოდი ჩემს მხარეში
მზის ამოსვლამდის.
აღარ მახსოვდა ანდერძი მამის,
გული სავულებს აღარ მქონდა
ლექსების დარდით.

ჰყვივის ქარბუქი,
თითქოს უნდა ტახტით დაკლან—
გაღესილ დანას
სწყურია სისხლი.
მგონი, ეშმაკიც
დაკარგავს გზა-კვალს
ისე სქელი და
ცივია ნისლი.

მთვარე
ძალღებმა შეჭამეს ნეტა?

ცაზე ამდენ სანს
რად არ ჩანს აბა?
ფთილიდან ძაფი
გამოაქვს დედას
თანაც ჯარასთან
საუბარს აბამს.

ყურს უგდებს კატა
დაფრუებული,
სკამლოგინიდან გადმოჰკიდა
გოროზი თავი.
მეზობლები ზომ
შიშისაგან გაბრუებული,
ამბობენ —
ბუა და თანაც შავი.

თვლემამ წამიღო
და გამიქრო ფერები ბაცი,
თვალი დავხუჭე
და გაცოცხლდა
ზღაპარი კვალად:
ჯერ კატამ თათით
მიჩვენა ბრანწი
და მერე დედა მომეჩვენა
კუდიან ქალად.

არ ვიცი ,
აგად უარ თუ არა,
ოღონდ კი არი —
თავს ვეღარ ვართმევ
ფიქრების გროვას,

ყურებში მესმის
მესაფლავის ბარის ჟღერიალი
და შორეული სამრეკლოს
გლოვა.

ვხედავ,
კუბოში ჩამაწვინეს,
მკვდარი ვარ თითქოს.
ალილუიით
დიაკვანი თავს დამტრიალებს.
ჩემს ქუთუთოებს
ვიხუტავ თვითონ,
ვიღებ სპილენძის შაურიანებს.

საფლავის პირზე მესაფლავე
ბაწრით მიმღვარი,
შაურიანებს ამაცლის ჩქარა,
რედგან გაითბოს უნდა ჯიგარი—
მიწას დამაყრის
და მაშინვე
გადაკრავს არაყს.

ხმამაღლა იტყვის:
„უცნაური იყო თავიდან,
მოუსვენარი
და გიჟის ვრთი...
მაგრამ არ იქნა,
„კაპიტალიდან“
ვერ წაიკითხა
ვერც სუთი გვერდი“.

თარგმნა გიორგი სალუქვაძე.



მკვდრების გემი

(ანუ ამბავი ამერიკელი მეზღვაურისა)

ვინ არის ტრავენი? ამის თაობაზე უამრავი ვერსია არსებობდა. ერთი აცხადებდნენ, ტრავენი მწერალთა ჯგუფის ფსევდონიმიაო, სხვანი უარყოფდნენ მის არსებობას, მაგრამ ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ ტრავენი საიდუმლოებით მთვლილი პიროვნება იყო...

იყო, რადგან იგი გარდაიცვალა მეხიკოში 1969 წელს და მისმა ქვრივმა რომა ვლენე ლუპანმა მეორედ და ამჯერად ეპემიუტანლად დააბრუნა, რომ ტრავენი და გერმანელი მსახიობი რეტ მარუტი ერთი და იგივე პიროვნებაა. მან პირველი მსოფლიო ომის დროს დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. 1926 წელს ტრავენი პირველად მოეგვინა მკითხველ საზოგადოებას რომანით „მკვდრების გემი“. რომანის გმირია ამერიკელი მეზღვაური, რომელიც ანტვერპენში ჩამორჩა თავის გემს „ტრუსკალოზას“, სადაც იგი გემბანის მუშა, მღებავი იყო.

უსაბუთოდ და უფულოდ იარჩენილი დაბნეული, ნავსადგურში პოლიტიკოსს გადაეყრება, რომელიც მას საბუთებს მოსთხოვს. აქედან იწყება მისი დაუსრულებელი ხეტიალი ქვეყნიდან ქვეყანაში; ამ ხეტიალის დროს კი ის უამრავი ფანტაზიების გმირი გახდება.

ერთ-ერთ წიგნის კორპორაციის ტრავენიმ შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „ყველა ჩემს ნაწარმოებში იმდენი ჩემი სისხლი და ხორცია ჩანთხეული, რომ ნათლად ჩანს ჩემი პიროვნება. ამის გამო მსურდა, რომ ჩემს მაგიერ მომავალში გაეჰყავთ: ენც მე არ მიცნობს, დაე ჩემი წიგნები წაიკითხოს“.

აბეჭდავთ რომანის რამდენიმე თავს.

I

ნიუ ორლეანის გემით „ტრუსკალოზა“ ჩვენ ანტვერპენში ბამბა ჩამოვიტანეთ და ახლა შინ უტვირთოდ ვბრუნდებით.

„ტრუსკალოზა“ შენაწიშნავი გემი იყო: ამერიკაში აგებული, I კლასის სატრავარეტო გემი, რომლის სუდმივი ჩაწერის ადგილი ნიუ ორლეანის ნავსადგური იყო.

ო, შენ მომდიმარო, მზიანო ქალაქო ნიუ-ორლეანო! როგორ არ ჰგევხარ შენ გათლილი პურიტანელეზითა და ჩითვის გაკოტრებული ვაჭრებით სავსე ჩრდილოეთის ფხიზელ ქალაქებს!

ან რა კაიუტები ჰქონდა ეკიპაჟს! გემთმშენებლებს ერთხელაც დაებადათ აზრი, რომ ეკიპაჟი მხოლოდ მუშა ხელი როდია.

ჰმელაფერი სუფთა, გაქათმებული: აბაზანა, თეთრეული, გემრიელი და უხვი სანოვაგე, სუფთა თევზები, დანა-ჩანგლები და კოვზები. გემზე იყვნენ ზანგი ბიჭები, რომლებსაც კაიუტების მოვლა-პატრონობა ევალებოდათ, რომ ეკიპაჟი ჭანსალი და ხალსიანი უოფილიყო. გემის კამახიამ, როგორც სჩანს აღმოაჩინა გალოთებულ ეკიპაჟთან შედარებით ხალსიანი ეკიპაჟი უფრო შემოსავლისუნარიანიაო.

მეორე ოფიცერი? არა, მე ამ ბეხრეკ გემზე გემბანის მუშა ვიყავი. საქმე ის

გახლავთ, რომ მატროსების რაოდენობა გემებზე საგრძნობლად შემცირდა და თანამედროვე გემიც ხომ მოცუტრავე მანქანაა მხოლოდ, ამ მანქანას კი ბევრი მატროსი აღარ სჭირდება. ამ მოცუტრავე მანქანას სჭირდება მხოლოდ მუშა და ინჟინერი, შიპერიც და კაპიტანიც დღეს ინჟინრები არიან და მესაქვეც კი მემანქანეა. **თავისუფალი აზრის** აზრიანი გემების რომანტიკა წარსულს ჩაბარდა, მე კი მგონია, რომ ინჟინრები ტოკიო საერთოდ არ არსებობდა და საზღვაო ამბების შემთხვევების ფანტაზია იყო მხოლოდ. ამ ყაღბმა ამბებმა კი უამრავი ახალგაზრდა იმსხვერპლა. და თუ კი ეს რომანტიკა მთხვევით არსებობდა, იგი მხოლოდ კაპიტნების და მესაქვეებისთვის იქნებოდა. ეკიპაჟის რომანტიკა ყოველდღიური არაადამიანური შრომა იყო მუდამ. რომანების გმირებად კაპიტნები გვევლინებიან და მუშახელის მადიდებელი საგალობელი ჭერ არ დაწერილა და თუ შეიქმნება, ალბათ, ისიც ისეთივე მძიმე და აუტანელი იქნება. ღიას, სერ

მე მუშა გახლდით მხოლოდ. ვაკეთებდი ყველაფერს რაც გასაკეთებელი იყო, უფრო სწორედ კი, მე მღებავი ვიყავი. მოცუტრავე მანქანა თავად მიდის და აქ მუდამ არის რაიმე შესაკეთებელი, რაც შემდგომ უნდა შეიღებოს! ჰოდა, მეც დიდიდან საღამომდე ვღებავდი. ამ საქმიანობით გართულს, ერთხელ დამებადა აზრი, რომ კაცობრიობა ორ ნაწილად იყოფა: ერთი მათგანი მუშაობს, მეორე კი საღებავს ამზადებს; და ამ უკანასკნელის მიმართ უდიდესი მადლიერების გრძნობით განვიმსჯელებ, რადგან ისინი რომ აჩანყდნენ და საღებავის კეთებაზე უარი სთქვან, რაღა აკეთოს მერე გემბანის მუშა? მას ხომ უქმად ყოფნაში ფულს არ გადაუხდიან.

ხელფასი დიდიან ვერ ვიტყვით, მაგრამ თუ 25 წლის მანძილზე ვიმუშავებ და ყოველ ცენტს დავზოგავ, 25 წლის მერე გავხდები საზოგადოების საშუალო კლასის ქვედაფენის წარმომადგენელი, და სიამაყით ვიტყვი, მაღლობა ღმერთს, შავი დღისათვისაც მაქვს ზოგი რამ შენახული. ეს ფენა კი სახელმწიფოს ფუნდამენტს შეადგენს და ამრიგად მე საზოგადოებისათვის ძვირფასი ადამიანი გავხდები; ამისთვის 25 წლის მანძილზე თავდაუზოგავი შრომა და მომჭირნეობაა საჭირო.

მე ვერ ვიტან ანტეგრებს, საღაც მრავლადაა საეჭვო მეზღვაურები და სხვა მსგავსი ხალხი, და ამიტომ არ მინდოდა ქალაქში გასვლა. მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი ჩვენს სურვილს როდი ესიამოვნება ხოლმე!

როგორც მოგახსენეთ, ჩვენ უტირთოდ ვბრუნდებოდით და ბოლო საღამოს ეკიპაჟი ქალაქში გავიდა. გემზე მე და ოფიცერი დავრჩით. წიგნის კითხვა და ძილი საშინლად მომბეზრდა, აღარ ვიცოდი, რა მეღონა. საზეიმო საღამო დღის 12 საათზე მოვაწყვეთ, მერე საფუშაგოებიც დანაწილდა და ეკიპაჟი ქალაქს გავიდა, ამის მიზეზი და მიზეზი შემდეგი გახლდათ: ყველას სურდა თან წაეღო ცოტაოდენი ის, რაც ჩვენთან მშრალი კანონის გამო არ იშოვება.

მე ხან გემბანის მოაჯირს ვაწყდებოდი, ხან კაიუტაში ვბრუნდებოდი. საღამო ხანი იყო და ნავსადგურის ამ ნაწილში ადამიანი არ ჰქანებდა, აქ მხოლოდ ამწეები და საბაჟო ჩიხურები იყო.

უეცრად ფეხქვეშ მყარი მიწის შეგრძნების, ქუჩაში გავლის, ადამიანის ხილვის დაულოკებელი სურვილი დამებადა.

„თქვენ აღრე უნდა მოსულიყავით“, — მითხრა ოფიცერმა, — ახლა მე ფული არა მაქვს“.

„მე კი ავანსად 20 დოლარი მჭირდება“.

„მოგცემთ ხუთს, მეტი არა მაქვს“.

„მე 20 მჭირდება, თორემ ავად გავხდები და მერე ვინ შეღებავს, ხომ ვერ შეტყვით?“

„10 — ეს ჩემი საბოლოო სიტუცაა, 10 ან არაფერი, და მე ნიკელის ფულს ვერ მოგცემთ, არა მაქვს“.

„კეთილი, იყოს 10. ეს გაუგონარი ტერორია ჩემს მიმართ, მაგრამ რა გეწყობა“.

„ქვეთარს ხელი მოაწერეთ, სიაში კი ხვალ ჩაგწერთ, ახლა არ მცალია“.

მე მივიღე ჩემი 10 დოლარი, მეტი არც მინდოდა, მაგრამ 10 რომ შეთქვა მ-ს მომცემდნენ, არც მჭირდებოდა, იმიტომ, რომ როდესაც ქალაქში გაღიზარ, ის თან-ხა, რაც გქონდა, აღარ გიბრუნდება.

„არ დათვრეთ, აქ ცუდი ადგილია“. — მითხრა ოფიცერმა.

ეს წარმოუდგენელი შეფურაცხოდა იყო. შვიპერი და კაპიტანი სულ ლოთობენ, მე კი დაღევას მიკრძალავენ, ამაზე არც მიფიქრია, ან რა საჭიროა ეს სისულელე?

„არა. — მშრალად მივუხე, — მე ამ შხამს არ ვეკარები და კარგად ვიცი, რა შევალბა უცხოეთში ჩემი სამშობლოს წინაშე“. ღიახ, სერ. მე მშრალი კანონისა მწამს, მერწმუნეთ.

შორს ბენრეკი გემიდან!

II

ზაფხულის მწუხრი იდგა. კმაყოფილი დავხეტებოდი ქუჩებში და ვერ წარმო-მედგინა, რომ ქვეყანაზე ყოფილიყო ადამიანი, ვისაც ეს საჩუქრო არ მოსწონებოდა. ვათვალიერებდი ვიტრინებს და ადამიანებს, მშვენიერ ქალებსა და გოგონებს და ყველაფერ ლამაზს. სხვას არ ვამჩნევდი უბრალოდ.

ახე ხეტილით მივუახლოვდი მოოქროვილ ფასადიან სახლს. ფართოდ გახსნილი კარი თითქოს გეპატიუებოდა: „შემოდი, მეგობარო, სავარძელში მოხერხებულად მოთავსდი და წამით მაინც დაივიწყე საზრუნავი“.

მე, საერთოდ, არ გამაჩნია არავითარი საზრუნავი, მაგრამ რაოდენ ჰუმანურია, შესთავაზო ადამიანს: საზრუნავი დაივიწყეო. სახლში უამრავი მზიარული და მომ-ღიმარი ადამიანი ირეოდა, სასიამოვნო მუსიკა ჟღერდა... მე შიგ შევედი, რათა მენახა, თუ როგორი იყო ეს სახლი შიგნიდან. შესვლისთანავე ჩემთან მოიჭრა ერთი ახალგაზრდა ჭაბუკი, ცხვირწინ დაჰიდგა ბოთლი და ჭიქა და ინგლისურად მომმარ-თა: „მიირთვით და სხვებივით მოილხინეთო“. ამდენი მზიარული სახეები, მაშინ, როდესაც თვეების მანძილზე მოლივლივე წყლის და საღებავების მეტს არაფერს სე-ღავ... უკვე არაფერზე ფიქრი არ მსურდა..

მე მშრალ კანონს ვგმობ, რადგან იგი ჩვენ ცთუნების წინაშე გვაუძღურებს; საერთოდ, ყოველი კანონი, ბუნების ძირითად კანონს რომ უპირისპირდება, ძალზედ გვაუსტებს და გვაუძღურებს.

სასიამოვნო ბურანში გახვეული გვიან ღამით ლაშაში გოგონას ოთახში აღმოვჩინდი და ვკითხე: „კეთილი, მაგრამ ხომ ვერ მეტყუით, რომელი საათია ახლა?“

„ოჰ, ლამაზო ჭაბუკო, ნუ დაარღვევ ამ სიამოვნებას, იყავ ნამდვილი კავადერი, და ნუ მიმატოვებ ამ შუალამევს მარტო; გარშემო უამრავი ბოროტმოქმედი დაეხ-ტება, მათ ჩემი მოკვლაც შეუძლიათ“.

ო, ამერიკელმა ახალგაზრდა მამაკაცმა პირველი ამოსუნთქვიდან იცის, თუ რო-გორ უნდა მოიქცეს ქალთა საზოგადოებაში და, თუნდაც სიცოცხლის ფასად, უნდა შე-ასრულოს ქალის ნებისმიერი თხოვნა.

ჰოდა, რა გეწყობოდა: დილით კი, როდესაც ნავსადგურში გავედი, „ტუშკა-ლოზის“ კვადიც კი აღარსად იყო, იგი უჩემოდ წახულიყო მშობლიურ ნიუ-ორლე-ანში...

მე მინახავს დაობლებული ბავშვები, წყალდიდობისა და სანძრის გამო უსახლ-

კაროდ დარჩენილი ადამიანები, უმეგობროდ დარჩენილი ცხოველი თუ ფრინველი, ეს ყოველივე ძალზედ სევდის მომგვრელი სანახაობაა; მაგრამ სულ სხვაა უცხოეთში შემთხვევით დარჩენილი მეზღვაური. იგი უცხოეთს შეჩვეულია და სწორედ ნებისმიერ რჩება იქ, მაგრამ მაშინ მას დასაღწიებელი არა აქვს რა. მაგრამ როდესაც მას იქვეა არ დაუცადა, მასში უსაწყობო უთვისტომოს გრძნობა იღვძება.

გემმა უმისობა შეძლო, თუმცა გუშინ იგი გემს ძალიან სჭირდებოდა და ისიც გემის საკეთილდღეოდ იღვწოდა. ამ შემთხვევაში იგი ჩინში დაჰყარდა ნავის ტახტს, და ზღვაშიაც თავი რომ დახრჩოს, მას არაფერ დაუწყებდა ძებნას.

საოცარია, ეფიქრობდი მე, ნავსადგურში ყუთზე ჩამომჯდარი, და ტალღების მიზოხვლას ვაკვირდებოდი. უცერად ერთი მცნება გამახსენდა: „ბოროტებაშიც ეძიე სიკეთე და ბოროტება შეისვენ გაქრებაო“.

ჯანდაბას ის ტილი „ტუსკალოზა“, ქვეყანაზე გემს რა გამოუვს, ოკიანეც ასე უკიდევანოა. ნეტა, რამდენი გემია მსოფლიოში? ნახევარი მილიონი მაინც იქნება და წუთუ არც ერთ მათგანს გემზანის მუშა არ დასჭირდება? ანტერპენს ამხელა ნავსადგური აქვს, აქ, ალბათ, შემოდის ის 1,2 მილიონი გემი, საქირია, მოდლიონი და მოთენა. მაგრამ მე სოჲ ვერ დაველოდები, სანამ რომელიმე გემი შემოვა ნავსადგურში და აქაური კაპიტანი გემზე მიმიწვევს. „ტუსკალოზას“ მუსანათურ ღალატს მე წეღანდებურად აღარ ვნადვლობდი.

ვინ იფიქრებდა, რომ მშვენიერ გოგონას ასეთი საქციელი ძალუქდა, თუმცა ისინი ყველა ერთი სჯულის არიან, და სწორედ მათ გააჩნიათ სუფთა ბინა და გემრიელი საქმელი. გემზე ასლა, ალბათ, კვერცხს ან შაშნს მიირთმევნ. მე ჩემს უუუ-ღობას ვწუხნო.

იმ გოგონამ წუხელ თავისი დედოფლის ავადმყოფობის ამბით გული ამიჩუყა და მე ბოლო ცენტამდე ფული მას მივეცი: დედისათვის წაშალი და საქმელი იყიდეთქი. გოგონამ მალეობის სიტყვებით დამაჯილდოვა, და დედამიწის ზურგზე უფრო მეტი ბედნიერების მომგვრელი არაფერია.

ღიან, სერ.

III

იქვე ერთ-ერთ ყუთზე ჩამოვჯექი და გონებაში „ტუსკალოზას“ გზას ვაფუცი: შჯეროდა, რომ იგი ერთ დღეს წყალქვეშა კლდეს შეეჩენებოდა და თითქმის მთელი გეიპაჟი დაიდუმებოდა; ჩემს მოღალატე გემს ასეთ ბედს ვუქადდი. ამ დროს ერი-ცამ მზარზე ხელი დამადო და ფიქრებიდან დედამიწას დამაბრუნა, და რაღაცას ტიტებდა ჩემთვის გაუგებარ ენაზე.

განვრისხდი და შევძახე: „თავი დამანებეთ, თქვენი ყოყინის არაფერი არ გამეგება“.

„თქვენ ინგლისელი ხართ?“

„არა, იანკი ვარ“.

„ამერიკელი?“

„ღიან, და ძალიან დამავალდებ, თუ გამშორდებით, მე თქვენთან არაფერი მაქვს საერთო“.

„მე კი მაქვს, მე პოლიციიდან ვარ“.

„ბედი გქონიათ, კარგი სამუშაო აღვთლია“.

„მეზღვაური ხართ?“

„ღიან, შემთხვევით თქვენ ჩემთვის აღვთლი ხომ არა გაქვთ?“

„რომელი გემიდან ხართ?“



„ტუსკალოზიდან“

„რა ხანია ზღვაში გავიდა.“

„თქვენ ამის სათქმელად მოხვედით?“

„თქვენი საბუთი?“

„რა საბუთი?“

„მეზღვაურის პირადობის მოწმობა.“

„იგი ჩემი კოსტიუმის ჭიბეშია, რომელიც „ტუსკალოზის“ კაიუტის კარადაში გვიღია.“

ახლა ტუსკალოზაზე საუზმის დრო იყო და მე ვცადე წარმომედგინა, თუ რას შეეძლოდა ახლა გემის ეკიპაჟი.

„მეზღვაურის მოწმობა“ — გაიმეორა პოლიციელმა.

„არა მაქვს, იგი გემზე დარჩა.“

პოლიციელმა მთელი მჭევრმეტყველება გამოიყენა, რათა აეხსნა ჩემთვის, თუ რა შედეგი მოსდევს ადამიანს, რომ საბუთი არა აქვს ხოლმე თან. „მომყევით“ — მიზრძანა პოლიც.

„საითგენ?“

„ნახავთ, სადაც მივალთ.“

ამ ადამიანს ზრდილობა აკლდა, თუმცა გემის კაპიტანის შუამავალი ზრდილობიანი მხოლოდ მაშინაა, როდესაც იგი გემისათვის მუშახელს ქიარობს. ვერ წარმომედგინა, რომ ასე მალე აღმოჩნდებოდა გემზე, თურმე მთავარია სასოწარკვეთას არ დაწებდე და ნებისმიერ ვითარებაში მუდამ მოიძებნება გამოხავალი.

ჩვენ მალე მივედით პოლიციაში, და არა გემზე. მე იმწამსვე გამჩხრიკეს და როდესაც ქაღალდის ნაგლეჯი ვერ აღმოაჩინეს, მაინც მკითხეს, თოფი ხომ არა გაქვსო. ნეტა სად უნდა დამემაღა თოფი, ხმალი, ან ტყვიამფრქვევი, თვალის გუგაში ან ცხვირის ნესტოში?

მერე საწერი მაგიდის წინ დამაყენეს. მამაკაცი, რომელიც მაგიდასთან იჯდა, ისე მიყურებდა, თითქოს მისთვის მოსასწავლი მომეზაროს. თარჯიმნის გარეშე ჩვენ ვერაფერს გავხდებოდით და ეს მოვალეობა იკისრა პოლიციელმა, რომელმაც აქ მომიყვანა. საოცარია, როდესაც, მათ ჩვენი ბიჭები საომრად სჭირდებათ, უთარჯიმნოდაც კარგად ესმით, ახლა კი მისი დასაბრუნება აუცილებელი იყო.

მაგიდასთან მჯდომი მღვდელს ჰგავდა, იგი ჯერ მე შემომხედდა, მერე სქელკანიან წიგნში მოთავსებულ სურათებს, ეს ცერემონია საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. მღვდელი არ ჩქარობდა, დრო ჰქონდა და ამ საქმიანობაში ფულს უხდიდნენ.

ბოლოს თავი გაიქნია და წიგნი დახურა. მან ჩემი სურათი ვერ იპოვა, სასწაული იქნებოდა რომ ეპოვა, რამეთუ აღარ მახსოვდა, როდის გადავიღე სურათი უკანასკნელად. დავიდალე, მომწვინდა მათი ნაუბრის მოსმენა და ვთქვი.

„აღდეს არ მისაუზმია, შუია“

„მართალი ბრძანებაა“. — შიბასუხა თარჯიმანმა და ვიწრო სათავსოში შემეყვანა. აქ ავეჯის ნატამალიც არ იყო, მაგრამ სარკმელს რა მოუვიდა? აქ ნამდვილად ბელგიის სახელმწიფო სიმდიდრეა საიმედოდ დაცული, რადგან ამ ვიწრო სარკმელში ვერავინ ვერ შემოვა, დიას, სერ.

ნუთუ ამას საუზმე ჰქვია: ყავა და მარგარინიანი პური. ამ ხალხს ომის იარაღი ჯერ არ მოუშუშებია, თუ კი ომი იმისთვის დასჭირდათ, რომ ეს საუზმე ჰქონებოდათ, კარგად ყოფილა მათი საქმე. ამ ერთ ბეწო სარკმელს საუზმე ალბათ იმიტომ ეწოდება, რომ დილით ადრე შეეძცივიან (გერმანულად „საუზმე“ „ნაადრევი ლუკმაა“.)

ნაშუადღევს ისევ მღვდელთან მიიყვანეს.

„საფრანგეთში გსურთ წასვლა?“
„არა, მათ შესაძლოა მალე ჭარბსკაცები დასჭირდეთ და მე პირველად მიკრავენ თავს საბრძოლველად.“

„გერმანიაზე რას იტყვით?“

„ნეტა ყველაფერი ჩემგან რატომ უნდა გაიგონ-მეთქი“, — გავიფიქრე და ვუპასუხე, რომ გერმანიაში არ წავიდოდი.

„რატომ? იქ თქვენ იოლად მოხვდებით გემზე“.

„არა, ვერ ვიტან გერმანელებს.“

„მაშინ თქვენ ჰოლანდიაში წახვალთ, და ამით ეს საქმე დამთავრებულია“. — გაჰანდო თარჯიმანმა ჩემი განაჩენი.

„მაგრამ მე რომ ჰოლანდიასაც ვერ ვიტან?“

„მე ჩვენ არ გვებნება, თქვენ უარი განაცხადეთ გერმანიაზე, საფრანგეთიც დაიწუნეთ, და ახლა ჰოლანდიას გაემგზავრებით. ჩვენ სხვა მოსაზღვრე ქვეყანა არა გვყავს და არც გვინდა, რომ გვყავდეს. მაღლობელს უნდა იყოთ, რომ ასე იოლად გადარჩით“.

„კი მაგრამ, შეგობარო, მე სულაც არა მსურს ჰოლანდიაში წასვლა, ჰოლანდიელები“...

„წუწარად, საკითხი გადაჭრილია. ფული რამდენი გაქვთ?“

„თქვენ გამიჩნრიკეთ ჯიბეები და კიდეც მეკითხებით?“

„კეთილი, წაიფანეთ საკანში“. — ამ სიტყვებით მღვდელმა თავისი საქმე დაასრულა.

გერმანულიდან თარგმნა ირინე ვოლკოვა



აკაკი ქურიძე

სანგარში დაწერილი ლექსები

შეათე კლასის მოსწავლე იყო აკაკი ქურიძე, როდესაც მოხალისედ წავიდა ფრონტზე, წავიდა და აღარ დაბრუნებულა, ისევე როგორც მისი შუათანა ძმა ვლადიმერი — ბათუმის საგავონო დეპოს ყოფილი მუშა, სამი ძმა ქურიძიდან მხოლოდ უფროსი — იოსები დაუბრუნდა ოჯახს. სწორედ ამ ომგადახდილმა კაცმა გაგვაცნო შინმოუსვლელი ჭაბუკის ლექსები. არაფერი შეგვიცვლია, ეს უპრეტენზიო სტრიქონები დავტოვეთ ისე, როგორც სანგარში დაიწერა...

სამშობლოსათვის

ძვირფას მეგობარს მამია ებრალოძეს

დაღამდი, დანადგლიანდი,
დაკუპრიანდი, არეე,
მე კი შენთან ვარ მარად,
ჩემო ძვირფასო მხარეე.
ღამეა, არ ჩანს ვარსკელავი,
სტვენს და სისინებს ქარი,
კურზანკის პოსტზე ვდგევარ,
მომხედურს დავემებ თვალით.
ცაზე ღრუბლები ილტვის,
არა ჩანს არემარე,
მე არ მასვენებს ფიქრი,
ჩემო ძვირფასო მხარეე,
არ შემიდრკება გული,
თუნდ მტერი ირგვლივ მერტყას,
ძახილით „სამშობლოსთვის“
დავაყრი ტყვიის სეტყვას.

სამშობლოს დაცვა უნდა,
მტერს უნდა მოხედეს წიხლი,
თვალი დახუჭოს სვავმა,
ჩაკედეს საკუთარ სისხლში.
ვერ მოვისვენებ ბრძოლით,
ვიდრე წუხს ჩემი მიწა,
ვიდრე ესევა მტერი
მარად ჩემს დასაფიცარს.
თუ დავეცემი ველად,
ველარ ვიხილო არე,
არ დამიღონდე, დედაე,
და შენც, ძვირფასო მხარეე,
სთქვით, რომ იცავდა მედგრად
მშობლიურ არემარეს,
სამშობლოსათვის მოკვდა,
ჩემო სამშობლო მხარეე!

პალმებმა ბაღში ჩურჩულს უმატეს,
 მთვარემ დაკონა მიწა ალერსით,
 ფერიავე, ჩემო, გელოდა გული,
 მწუხარე ტრფობით ამონაკენესი.
 — იმზიარულე! — ჩამძახის ვიღაც,
 მიჯნურის ალი სხვებსაც სდებია,
 საგრამ რა იცის იმ ხმამ, რომ მკერდში
 გული კი არა, ფიქრის მთებია,
 თითქოს მიდამოც დაფიქრებულა,
 ირგელივ გრძნობების ბობოქრებაა,
 ისე წაწია ჩემი განცდები,
 რომ სხვა რამ მასთან მოგონებაა.
 ჰოი, მნათობო, სთხოვე ჩემს სატრფოს,
 არ დაიზაროს ეს გზა სავალი,
 ცხოვრება მიჩნდა აქამდე დედად,
 აწ არ გახადოს დედინაცვალი,
 ჰა, ვარსკვლავებმა ციალი იწყეს,
 რომ ეამბოროს შენს ნაფეხურებს,
 ალბათ, ნიავეც შეეთამაშა
 შუბლზე ჩამოშლილ ურჩ თმის სვეულებს,
 აი, გამოჩნდი ხეთა ჩრდილებში,
 ნაწნავი მოლზე ჩანჩქერს სატავდა,
 ვარდის სახიდან შუქი კრთებოდა
 და მოლოდინის წუხილს ფანტავდა,
 ტყვედ ქმნილი ვიდექ, გული კი მგერდა
 ხან ძლიერ, ხანაც სვენებ-სვენებად,
 შენმა ღიმილმა ჩამიდგა სული,
 მოგიახლოვდი ქალთა მშვენებავ,
 ჩვენი შეხვედრის უმანკობას
 ემონებოდნენ ნაზი სხივები,
 იმ პაემანის აღსანიშნავად
 შემოგაბნე ყელზე მკივები,
 სტევენდა ბუღბული მის მელოდიას,
 ხან უსათუთესს, ხან კი მღელვარეს,
 ჩვენ კი ვაწყობდით ცხოვრების გეგმებს
 და შევსაროდით მშობლიურ მხარეს...

მობონებათა ფურცლები

დიდი სამამულო ომის დაწყებიდან საბჭოთა არმიის რიგებში ოცი დღის შემდეგ გამოწვიეს. ამიტომ, კარგად მახსოვს ომის დაწყების პირველი დღეების ბათუმი, მისი ჩაბნელებული ქუჩები, სამხედრო კომისარიატთან შექუჩებული წვევამდელები.

კ. ი. ლენინის მოედანზე დიდ სტენდზე დაეხატათ ევროპის რუკა, იმავე ბოძზე კი მიმაგრებული იყო მძლავრი რეპროდუქტორი, რომელიც ხალხს ომის ვითარებას აუწყებდა, დაღამების შემდეგ ჩვენი ქალაქი უკუნეთს ჰგავდა. სადარბაზოებთან და კიშკრებთან აერწინაღადაკიდებული მორიგეები იდგნენ. მათი მოვალეობა იყო საპაერო განგაშის დაწყების შემთხვევაში! მცხოვრებთა გაფრთხილება და სათანადო ზომების მიღება.

— თქვენ ჯანმრთელობის მიხედვით არასამწყობრო სამხედრო სამსახურს განეკუთვნებით, მაგრამ ახლა ჩვენს ქვეყანას უჭირს და წითელ არმიაში მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლიათ. — მითხრა ექიმმა აკიმოვმა.

— კი, ბატონო, მაგრამ გთხოვთ, ხუთი დღის ვადა მომცეთ, ინსტიტუტის მესამე კურსის დასახურავად, ერთი საგანი მაქვს ჩასაბარებელი! — ეთხოვე კომისიის თავმჯდომარეს.

— არავითარი ხუთი დღე, მოიტა საბუთები და თბილისის მატარებელზე ხელჩანთით სადგურში გამოცხადდი! — მითხრა სამხედრო კომისარიატის განყოფილების გამგემ.

მეორე დღეს დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ქალაქში, სკოლის ეზოში, ცალკე სამოკავშირო ბატალიონის ჯარისკაცთა რიგებში ვიდექი. ქალაქგარეთ, გაშლილ ველზე, ბრძოლისათვის გვამზადებდნენ.

მობილიზებულია რიგებში მეტწილად იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჩვენი რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, ასპირანტები და მეცნიერმუშაკები. 1941 წლის დეკემბერში ჩვენი სამოკავშირო ბატალიონი შეუერთეს სათადარიგო ბრიგადის ერთ-ერთ ლეგიონს, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკიდან ყოველდღე ღებულობდა სამშობლოს დამცველებს, აწრთობდა მათ ბრძოლისათვის და საიერიშო ბატალიონების სახით ისტუმრებდა ფრონტის ხაზზე.

ლეგიონის სამედიცინო ნაწილის უფროსის, მესამე რანგის სამხედრო ექიმის — ნერგაძის მოთხოვნითა და ლეგიონის უფროსის — მანაგაძის ბრძანებით გადამიყვანეს სამედიცინო სამსახურის ნაწილში, სადაც, რუსული ენის ცოდნის შემოწმებას შემდეგ, ვასრულებდი საქმეთა შმართველისა და საგარნიზონო საექიმო კომისიის მდივნის მოვალეობას. პირნათლად რომ მემსახურა. ძალიან მოკლე დროში უნდა დავუფლებოდი სამედიცინო ტერმინებს და ყველა იმ არსებული ფორმებისა და საბუთების შედგენას, რომელსაც ითხოვდნენ შრიგადის სანიტარიული ნაწილის ხელმძღვანელები, უფროსი კი გაზღდათ, სამედიცინო სამსახურის მაიორი ექიმი ლებე-დჰვი. იგი თითქმის ყოველ თვეში დადიოდა ბრიგადაში შემავალი ლეგიონის სანიტარიულ ნაწილებში და ჯულდასმით ამოწმებდა მათ მუშაობას.

ღმებდევნი და ჩემი უშუალო უფროსები და ლეგიონის შტაბის ხელმძღვანელობა კარგი თვალთ მიცქეროდნენ, რადგანაც დავალებას პირნათლად ვასრულებდი.

ლეგიონში დღითიღღ იზრდებოდა მებრძოლთა რიცხვი, რომელსაც ემატებოდა სამხედრო ჰოსპიტლებიდან გამოწერილი, ფრონტზე ნამყოფი ჯარისკაცები და ოფიცრები.

იმ პერიოდში, როცა ფაშისტი დამპყრობლები კავკასიისაკენ მოიჭრებოდნენ, სათადარიგო ბრიგადა იწოდა დივიზიად და გადაყვანილ იქნა საქართველოს ფარგლებს გარეთ. ჩვენი ლეგიონი დაბანაკდა საკურორტო ზონის სოფელში დივიზიას სხვადასხვა ღროს მეთაურობდნენ გლადკოვი, გენერალ-მაიორი ხუბულური და ჩხობაძე.

ზამთარი თავისი სიმკაცრითა და სუსხით ვეერთვდა. ცამდე აზიდული ნაძვების დათოვლილი ტოტები დახრილიყვნენ. ისე ზეავრიელად თოვდა, რომ აღამიანის ფეხას ნაკვალევს უმაღლ ფარავდა. მთის მწვერვალებზე გველივით იკლავებოდა ელვა, რომელიც რამდენიმე წაშში მთელი მრისხანებით დაიქექებდა და მჯილისოდენა სეტყვას წამოუშენდა. მაგრამ მთელს ხეობას უცნაური გამოცოცხლება ეტყობოდა. მშვენიერი კურორტი სამხედრო ბანაკად ექციათ: მთის ფერდობზე დასასვენებელ სახლებში განლაგებულიყო სამი სასროლო, სატყვიამფრქვევო და ნაღმტყორცნი ბატალიონები, იქვე იდგა სამეურნეო სამსახურის ნაწილები, ლეგიონის შტაბი და მუსიკალური გუნდი.

ლეგიონის სანიტარიულ ნაწილს სოფლის საავადმყოფო და მისი დამხმარე შენობები ეკირა... თოვს, ხან სეტყვას უშენს. ჯარისკაცები წმენდნენ გზებს, რათა საბარგო მანქანების მოძრაობა არ შეფერხებულიყო. მიუხედავად მკაცრი ზამთრისა, ასეულებად დაწყობილი მებრძოლენი სამეცადინოდ სიმღერით მიდიან. ლეგიონის უფროსი მაიორი კარმაზინი და კომისარი — მაიორი ბესპალოვი ცხენებზე ამხედრებულნი დილიდან საღამომდე ამოწმებდნენ ბატალიონების საბრძოლო წვრთნას. შტაბის უფროსი კაპიტანი აბუშენკო და მისი მოადგილეები — უფროსი ლეინტენანტები ტიტოვი და სოკოლოვი ერთი წუთითაც არ ტოვებენ ლეგიონის შტაბს, სადაც ბევრი თავსატეხი საქმეა მოსავარებელი.

როცა ხეობაში სიბნელე ჩამოწვევბოდა, გზაჯვარედინზე მწყობრად მოეშურებოდნენ მეცადინეობიდან დაბრუნებული ბატალიონების გუნდები, „დიდოტ ვაინა ვსენაროდნაია, სვიაშჩენაია ვაინა!“ გუგუნებდა ხეობა. ცეცხლოვან ბრძოლის ყიყინას ჰგავდა მათი სიმღერები, რისხვა და მუქარა იგრძნობოდა მათ სიმღერებში, სამყედლოსთან კი ფრუტუნებდნენ დასაჭედად მოყვანილი ლეგიონის ცხენები. რომლებიც ომის პირველ წლებში ძირითად გამწვევ ძალას წარმოადგენდნენ. სოფლის პატარა მდინარის პირას გამუდმებით გუგუნებდა ქურა, ერთსართულიანი შენობის შესასვლელთან ჯარისკაცების ჯგუფი კარტოფილს ფცქენდნენ. აქ იყო ლეგიონის სასადილო და სამზარეულო.

სასოფლო შარავზა ფერდობზე ეშვებოდა და ნაძვებს ხეივანში სანიტარიული ნაწილის შენობის ეზოში უხვევდა. მისაღებთან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ბატალიონებიდან მოყვანილი მებრძოლენი და საექიმო შემოწმებას ელოდებოდნენ. სანიტრებს ა. ჯიბლაძეს, ი. ჩიჩიანს, ა. ხარჩილავას, ი. კავთელაძეს, ვ. ცუცქერიძეს და გ. კუთხაშვილს მოსვენება არ ჰქონდათ. ზემდეგი ვ. ჩეჩელაშვილი, ეს ორმოც წელს გადაცილებული ბრგე კაცი, მუხლმოუხრელად დარბოდა ლეგიონის სამეურნეო მომსახურების ნაწილებში სანიტარიული ნაწილებისა და სტაციონარის მოსამზარებლად. მთავარი იყო შეშისა და ნავთის, თეთრეულისა და საწოლების შოვნა, რადგან ლეგიონის მებრძოლთა რიცხვი, რომელსაც ჰოსპიტლებიდან გადმოგზავნილნიც ემატებოდნენ, რამოდენიმე ათასს აღწევდა. სწორედ იმის შესაბამისად მატულობდა ავადმყოფთა რაოდენობაც. სტაციონარს ავადმყოფებით განტვირთვაში დიდ დახმარებას უწევდა მახლობელი ჰოსპიტალი, მაგრამ ტრანსპორტის ნაკლოვანების გამო, ჰოსპიტალიზაციაც გაძნელებული იყო.

ფრონტი, რომელიც გადაკიმული იყო ოთხიათას კილომეტრზე, ახალ-ახალ შევ-

სებას ითხოვდა, თითქმის ყოველ თვეში იცვლებოდა ექიმთა შემადგენლობა. ხუთ მალე უფროსი ექიმი ნერვაძე ს. ეროვნება შეცვალა, ხოლო ეს უკანასკნელი — ტაბატაძე. ორი თვის შემდეგ ტაბატაძე ფრონტზე წასვლა გადაწყვიტა და უფროს ექიმად გამოგზავნეს ახალგაზრდა, ენერგიული და საზრიანი ქირურგი თ. ჩიქოვანი. რომლის გვერდით კეთილსინდისიერად მსახურობდნენ ახალგაზრდა ექიმები ვ. დასე-ლია, დ. გელოვანი და შ. შათირიშვილი. მაგრამ ცოდნითა და საქმისადმი ერთგულებით ვერაწიან შეედრებოდა სტაციონარის უფროს ექიმს ნ. ჩიქოვანს, რომელსაც მიმდებარე ღვიძლის შევსებაში უწყვეტად გამოცდილი ექიმი ერ. ტულუში. იგი ბათუმელი იყო და რამდენიმე წლის უკან აქვე გარდაიცვალა... თითქმის ყოველდღე ტარდებოდა სპეციალური აცრები და სადებიზიტაციო სამუშაოები. თავს არ ზოგავდნენ ლეიტენანტი ბ. შიშკინი და სანიტარი ა. ხარჩილაძე, ეს უკანასკნელი პროფესიით პედაგოგი იყო და თავის ენერგიას არ იშურებდა სანიტარიული მომსახურების სათანადო სიმძლავრე დასაყენებლად.

შესაშურ ენერგიულობასა და ცოდნას ავლენდნენ სამედიცინო სამსახურის ლეიტენანტები ნ. ჯოჯუა და ა. ბორისენკო. ა. ბორისენკო კიევის სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი გახლდათ და იგი ბევრ გამოცდილ ექიმს ტოლს არ უდებდა.

ყოველ თხუთმეტ-ოც დღეში ჩვენი ლეგიონი ათასხუთას მეტრძოლს უგზავნიდა მოქმედ არმიას. ლეგიონის უფროსი პოლკოვნიკი კარმატინი, ეს მხარბეჭიანი, ბრგე, ქალარაშერელი უკრაინელი ვაჟკაცი, ბატალიონებისა, ასეულებისა და ოცეულების მეთაურებად ნიშნავდა ფრონტზე ნამყოფ ოფიცრებს, რომლებსაც ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდათ.

თებერვალი იდგა. მოსკოვის მისადგომებთან ჰიტლერის არმიის განადგურებამ მსოფლიოს აგრძნობინა საბჭოთა არმიის უძლეველობა. ამ გამარჯვებით განარბებული ჩვენი ლეგიონის ჯარისკაცები, სერჟანტები, ზემდეგები და ოფიცრები თავდაუზოგავად გადიოდნენ სამხედრო წვრთნას. მეცადინეობა ტარდებოდა ყოველგვარ ამინდში.

არანაკლები გასაჭირი ადგა სანიტარიულ ნაწილსაც. ზამთრის მოკლე დღეებში ძნელდებოდა სამედიცინო კომისიების მუშაობა, რადგან მთელი სიმკაცრით უნდა და-ცულიყო ჩაბნელების წესები. ახლა მიკვირს რა მაძლევდა იმ ენერგიას, რომ მთელ ღამეებს უძილოდ ვათენებდი და პატარა ოთახში ლამპის შუქზე ვწერდი საგარნიზო-ნო კომისიის ოქმებს. ვავსებდი დივიზიის შტაბში გასაგზავნ ათასგვარ ფორმებს და ვწერდი ავადმყოფების ისტორიას.

ჩვენს ნაწილს არ ჰყოფნიდა სამედიცინო პერსონალი. ამიტომ დივიზიის უფრო-სის ხეხართვით სამუშაოზე მივიღეთ ნებაყოფლობით დაქირავებული მედმუშაეები: ქირურგი ს. იაშვილი და ექთანები ს. ბალიაშვილი, მ. პობოვა და თ. ტაბატაძე. მათ შორის გამოირჩეოდა ექთანი ს. ბალიაშვილი, რომელმაც კეთილსინდისიერად იმსა-ხურა ჩვენს ნაწილში და ნაწილის უფროსის არაერთი მადლობა დაიმსახურა.

არ შემიძლია არ გავისენო აფთიაქის უფროსის, სამედიცინო სამსახურის ლეიტენანტის ი. მანწყავას კეთილსინდისიერება და სამშობლოსადმი ერთგულება, იგი წარმოშობით ლანჩხუთის რაიონიდან, ჯუმათიდან იყო. ომის შემდეგ ორი-სამი წელი ბათუმში იმსახურა და რამდენიმე წლის უკან გარდაიცვალა.

1942 წლის სექტემბრის დამდეგს, სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომი-ტეტის გადაწყვეტილებით, შეიქმნა ამიერკავკასიის ფრონტი, რომელსაც უნდა შე-ეჩერებინა გერმანელ ფაშისტთა ჯარების შემდგომი წინსვლა ფრონტის მთელ ხაზზე და სისხლისაგან დაეცალა მტერი. ამის შემდეგ იგი უნდა გადასულიყო გადაწყვეტ-შეტევაზე. ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებს გვერდში ედგა ჩრდილო კავკასიის 47-ე არმიის, შავი და აზოვის ზღვების ფლოტილია. ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან მო-

ბილიზებული შებრძოლებით ჩამოყალიბდა ეროვნული დივიზიები. ჩვენი ლეგიონიდან ქართველი ჯარისკაცები, სერჟანტები, ზემდეგები და ოფიცრები გადაყვანილნი იქნენ ხსენებულ დივიზიებში, რომლებმაც პირნათლად შეასრულეს სარდლობის მიერ დასახული საბრძოლო ამოცანები. დიდი სამამულო ომის დიდ ბრძოლათა რიცხვს განეკუთვნება კავკასიისათვის ბრძოლები. აღსანიშნავია ნოვოროსიისკისათვის წარმოებული გმირული ბრძოლები. 1943 წლის 16 სექტემბერს, ექვსი დღე-ღამის გაათრებული ბრძოლების შედეგად, იერიშით დაიკავეს შავი ზღვის მნიშვნელოვანი ნავსადგური ნოვოროსიისკი. ამ ბრძოლვას ჩვენმა ლეგიონმა ათასობით მამაცი უშიშარი მეომარი მოუმზადა. ბევრმა მათგანმა მიიღო სამშობლოს მაღალი ჯილდოები.

ომის მსვლელობის პერიოდში იცვლებოდნენ დივიზიის სანიტარიული ნაწილის მსგევურნი. შედიცინის სამსახურის პოლბოლკოვნიკი ლებედევი იმავე ჩინის მქონე ექიმმა ბ. გელენიძემ შეცვალა, ხოლო ქართული დივიზიების ჩამოყალიბების შემდეგ, ეს უკანასკნელი — ნელიუზინმა. ჩვენი ლეგიონიდან გადაყვანილნი სამხედრო ექიმები სამედიცინო სამსახურის კაპიტნები ნ. ჩიქოვანი, ვ. დანელია, დ. გელოვანი, ერ. ტულუში და თ. ჩიხლაძე ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების სხვა ნაწილებში იყვნენ, ბევრი მათგანი ფრონტის ხაზზე მსახურობდა. ჩვენი ლეგიონის სანიტარიული ნაწილის უფროსი, ექიმი იყო სამედიცინო სამსახურის კაპიტანი ვ. ხუციშვილი, რომელიც ომის დამთავრების შემდეგ პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა. უკანასკნელად იყო საკურორტო სამმართველოს უფროსად ბორჯომში და გარდაიცვალა ორი წლის წინ.

ვ. ხუციშვილთან ერთად კეთილსინდისიერად ეკიდებოდნენ თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას ექიმი ზაიდარბიტი და ვ. ბჟალავა, რომლებიც, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ფრონტის ხაზიდან მოვიდნენ ჩვენს ლეგიონში.

არასოდეს დამავიწყდება ერთი შემთხვევა. კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობა ლეგიონის ყველა ბატალიონისა და ნაწილის საქმიანობას ამოწმებდა. უყურადღებოდ არც სანიტარიული ნაწილი დატოვეს. ათამდე მაღალი ჩინის სამხედრო ექიმი რამდენიმე დღის განმავლობაში იჯდა ჩვენს სტაციონარში. სანიტრებიდან დაწყებული, უფროსი ექიმის ჩათვლით, შუბლზე ყველას ოფლის ხეითქი ჩამოსდიოდა. ლეგიონის შტაბიდან შეგვატყობინეს, შტაბის უფროსი უფროს ექიმს იბარებდნენ, მაგრამ მას წასვლა არ შეეძლო, კომისიის მუშაობა ამის საშუალებას არ იძლეოდა. ხელმეორედ მოვიდა ჯარისკაცი. კაპიტანი მ. აბუშენკო ამჯერად მე მიბარებდა.

მისი სამუშაო ოთახის კარი ფრთხილად შევალე, სამხედრო წესით შესვლის ნება ვითხოვე და მდგომარეობა მოვახსენე. მ. აბუშენკომ ჩემსკენ ნაყვავილევი სახე მოაბრუნა, გამიღიმა და მითხრა:

— ნუთუ ასე დაკავებულია კაპიტანი, რომ ათი წუთით ლეგიონის შტაბში მოსვლა ვერ მოახერხა?

გამეორებით მოვახსენე საქმის ვითარება.

— კარგი, გიხაროდეთ, რომ დივიზიიდან თქვენს ნაწილს თხუთმეტი მგდმუშაკი დაუმატეს, გაიყოლიეთ ეს ქალიშვილები ა. ცუბკოვას მეთაურობით და მიიყვანეთ სანიტარიულ ნაწილში, — მიბრძანა კაპიტანმა. მე გავხედე კედელთან ჩამწყკრივებულ რუხფარაჯიან ქალიშვილებს, რომლებსაც თბილი, ყურებიანი ქუდეები მოხდენილად აგვეკათ და მხრებზე დაყრილი ოქროსფერი თმის კულულები მოუჩანდათ. მათ შორის ორს მხრებზე ლეიტენანტის ნიშანი ეკეთა.

კაპიტანმა წასვლის ნება მომცა და ქალიშვილებთან ერთად კიბეზე დავეშვი. დასავლეთის ქარი სეტყვას სახეში გვაყრიდა. ქალიშვილებმა ფარაჯის საყელოები აიწიეს, ხელჩანთები მხრებზე გადაიციდეს და გვერდში გამოიმყენნ.

— შორს არის სანიტარიული ნაწილი? — მკითხა ერთმა წაბლისფერთმანმა ლავაზმა ქალიშვილმა, რომელმაც შემატყო, ქართველი ვიყავი.

— როგორ, თქვენ ქართველი ხართ?

— აბა, ვინ გეგონეთ, რუსად შემიცანით?

— არა, უფრო უკრაინელად!

— უკაცრავად, თქვენ რომელ ენაზე ლაპარაკობთ? — იკითხა სამხედრო ექთანმა.

— ქართულად, ნუთუ პირველად გესმით ქართული ლაპარაკი? — ვკითხე მოსაუბრეს, რომელსაც ფარაჯის საყელოზე ჩამოყრილი კულულები მეტად სასიამოვნო ელფერს აძლევდა.

— გამოგიტყდებით, პირველად მესმის!

— სანიტარიულ ნაწილში მეტწილად ქართველები არიან, თუ მოინდომებთ, ლაპარაკსაც ისწავლით.

— საამისოდ გვეცლება კი? — ჩაიკისკისა ქალიშვილმა და ეშხიან სახეზე ვარდისფერი გადაეკრა.

— აი, უკვე მივედით ნაწილში, — ვუთხარი ანია ცუბკოვას.

— იჩქარეთ, გოგოებო, უკვე მოვედით, — გასძახა ამხანაგებს ერთმა ეშხიანმა გოგომ.

— საიდან გაგიწვიეს? — ვკითხე სამხედრო ფერშალს.

— ოდესიდან, აქ მეტწილად ოდესელები ვართ, ჩვენი ოდესა ახლა ფაშისტებს უჭირავთ, მიწაც გაუსკდათ, მაგ არამზადებს! მალე აღგვილიყვნენ პირისაგან მიწისა...

— მაგას მალე მოვესწრებით, — დავაიმდე ჩემი მოსაუბრე.

— ამბობენ, მოსკოვს უახლოვდებიანო!

— სწორედ მოსკოვთან მოიტეხენ კისერს! — დაშეჯითებით ვუთხარი ცუბკოვას და სანიტარიული ნაწილის შენობის კიბესთან ასასვლელი გზა დაეუთმე.

— მეც მჯერა, რომ მოსკოვს ისინი ვერ აიღებენ! — დაუმატა ჩემს ნათქვამს ცუბკოვამ.

სანიტარიული ნაწილის უფროსი ექიმი ძალიან გაახარა მედმუშების ახალმა ნაკადმა. სამხედრო ფერშლები ადგილზე დატოვა, ხოლო უმცროსი ჩინის მედლები კი ბატალიონებში გაანაწილა. ზოგიერთი მათგანი ჩვენი ლეგიონის ოფიცრების მეუღლენიც ვანდა.

მახსოვს, საბარგო მატარებლის შემადგენლობა მეორე ლიანდაგზე იდგა. ფრონტზე წასასვლელად გამზადებული ათასხუთასი მებრძოლი გუნდებად იდგა მატარებლის გასწვრივ. „სამარში“ ბატალიონის მთელი შემადგენლობა ახალ საზამთრო ფორმაში იყო გამოწყობილი. სასულე ორკესტრი გამუდმებით უკრავდა. ტრიბუნაზე იდგნენ ლეგიონის უფროსი პოდპოლკოვნიკი კარმაზინი, შინი მოადგილე პოლიტნაწილში შაიორი ბესპალოვი და პარტიული კომიტეტის მდივანი კაპიტანი დონდუა. ბესპალოვი მებრძოლებს მომავალ ბრძოლებში სამშობლოსათვის თავდადებისაკენ მოუწოდებდა.

ახლოვდებოდა უკანასკნელი წუთები. ა. ცუბკოვა ვაგონის საფეხურზე იდგა. მას ჩვენი ლეგიონის პოლიტბელ უვარენკოზე დაქორწინებაც მოესწრო და ქმართან ერთად მიეშურებოდა ფრონტზე. დაშინახა თუ არა, საფეხურიდან ჩამოიჭრა, გადაშებია და მითხრა: — შური უნდა ვიძიო, მანამდე ჩემი გული ვერ მოისვენებს, როგორც გავიგე, ჩემი უმცროსი და გერმანიაში წაუყვანიათ სამუშაოდ! — ეს თქვა თუ არა, ცრემლები გადმოჰყარა.

სტალინგრადში ფაშისტური ურდოების განადგურების შემდეგ დაიწყო დიდი სამაჟულო ომის შემობრუნების პერიოდი. საბჭოთა ჯარების გმირულ ღონისძიებითა

შედგად გერმანელთა შეტევა უკუგდებულ იქნა და ბრძოლა ჩვენი ბრწყინვალე მარჯვებით დასრულდა. სწორედ ამის შემდეგ ჩაესვენა ფაშისტ დამპყრობთა მზე. სწორედ აგვისტოს საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს თბილისი და ბელგრადი. ეს გამარჯვება უმაღლესი მთავარსარდლის ი. სტალინის ბრძანებით აღინიშნა 120 ქვეყნის საერთო ლერიო ზაღებით. ეს გახლდათ გამარჯვების პირველი საღუთი, რომელმაც უდიდესი აღმაფრება გამოიწვია ჩვენი ლეგიონის მებრძოლებს შორის.

ჩვენმა სათადარიგო ლეგიონმა პირნათლად შეასრულა ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობის დავალება და დიდი სამამულო ომის ძღვეთადად დამთავრების შემდეგ, მისი შემადგენლობა დემობილიზებულ იქნა.

ახლა, დიდი სამამულო ომის დამთავრების ორმოცი წლისთავზე, ჩვენს სათადარიგო ლეგიონში ნამსახური ბევრი ჯარისკაცი, სერჟანტი, ზემდევი და ოფიცერი, შეიძლება, ცოცხალი აღარ იყოს, მაგრამ სამშობლოსათვის, საბჭოთა არმიის გამარჯვებისათვის, მათ მიერ გაწეული ფასდაუდებელი სამსახური მოვონებისა და დაფასების ღირსია.

გვიამბობს ფრონტული გაზეთი

ამას წინათ საკავშირო რადიომ გადმოსცა ნარკვევი საბჭოთა კავშირის გმირზე ბორის ლიტვინჩუკზე. იგი ასე იწყებოდა: „დედაამისი კახელია, მამამისი რუსი. დედასაგან მან შემეცნა მთელი მთელი გულუხვობა და გულსხმიერება, მამისაგან კი ხასიათის სიმტკიცე და უშიშროება“...

ფრონტულ დაწერილებით კი ბორის ლიტვინჩუკზე ფრონტული გაზეთიდან შევიტყვეთ. ფრონტული გაზეთი!.. რამდენ რამეს გვიამბობს მისი გაყვითლებული ფურცლები, საბრძოლო ქვეყანაგულების ცხოვრების, საბჭოთა პატრიოტიზმის საარაყო გმირობის რამდენ მაგალითს ასახავს... აი, ბ. ფედოროვის წერილი „ბორის ლიტვინჩუკი“. დივიზიის გაზეთის „წინ სამშობლოსათვის“ 1944 წლის 11 აგვისტოს ნომერში იგი დაბეჭდილია რუბრიკით „ჩვენი დივიზიის გმირები“.

„ბორის ლიტვინჩუკის ახლანდელი მეგობრებიდან ვინმემ მის 1932 წლის ფოტოსურათს რომ დახედოს, — ნათქვამია წერილში, — მნელად თუ დაიჯერებს, რომ ეს დაღუპული ბიჭი ოდესმე ჩახელვანთქმული შეზღვეული მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი, დიდი სამამულო ომის უშიშარი რაინდი გახდებოდა.“

საშაგიეროდ სამი-ოთხი წლის შემდეგ, როცა ბორისმა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დამთავრა თბილისის აეროკლუბი და ბათუმის აეროკლუბის მფრინავ-ინსტრუქტორი გახდა, ყველა მოხიბლა მისმა არაჩვეულებრივმა ნიჭმა.

ბორისის მისამართით საფრენოსნო „კარიერის“ პირველივე დღეებიდან ერთმანდ გაიძახოდნენ, მფრინავად არის დაბადებულიო...

ყველაზე დამახასიათებელი თვისება, რომელიც ბორისს მუდამ გამოარჩევდა სხვებისაგან, არის მისი სიყვარული ავიაციისადმი, საფრენოსნო საქმისადმი — სიყვარული თავდავიწყებამდე, დაუძლეველი დაბრკოლებანი რომ არ იყოს. ამან მიიყვანა იგი

აეროკლუბსა და ეისკის საავიაციო სასწავლებელში. იგი ეძახდა და ეძახის მას საფრენოსნო ოსტატობის მწვერვალებისაკენ. მან ასწავლა სამშობლოსათვის თავდადებული ბრძოლა.

როცა ომი დაიწყო, ბორის ლიტვინიუკი უკვე გამოცდილი მფრინავი იყო. მან შენიშნა იტალია თავისი თვითმფრინავის მატერიალური ნაწილი, უზალოდ მართავდა, სხიპერვით ისროდა, მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩერნოვოდსკისა და დუბნის ხიდების, რუმინეთის ზოგი სხვა გადასასვლელისა და მნიშვნელოვანი ობიექტების დაბომბვაში. მამაცი გამანადგურებელი ლიტვინიუკი გიგანტი ბომბდამშენების ფრთებქვეშ მტრის ღრმა ზურგში მიფრინავდა, შემდეგ მოწყდებოდა და უშინად ახდენდა პიკირებას. მტერს თავზარს სცემდა. ასე დაინგრა მტურავი დოკი კონსტანცში, ნაგოტოშახდელი ქარსანა პლოუშტში, ბრესლაულსა და კახოვკასთან გადასასვლელები. უშიშარი და შეუბოვარი, იგი ფუშავდა გერმანელების შეტევის გეგმებს. „მინიატურულ მოპირებებს“ მტერი ცეცხლის ნიაღვარს უშენდა, მათ წინააღმდეგ „მესერ-შიმდტების“ გუნდს სძრავდა. მაგრამ ლიტვინიუკი, ისევე, როგორც მისი მეგობრები, მიზანს არ უხვევდა და აუტყდნელად ჟრტყამდა.

ერთხელ კონსტანცაზე ბორის ლიტვინიუკის „ი-16-ს“ სამმა „109-მ“ შეუტია წარმოსადგენლადაც კი ძნელია: მტრის ღრმა ზურგში, კონსტანცის ცაში, ერთ თვითმფრინავს სამი „ასმექსრე“ ესევ! რა უნდა ექნა მფრინავს? იგი ამაზე არც დაფიქრებულა, ბრძოლაში ჩაება და 15 წუთს გასაოცარი მოხერხებით იცავდა თავს, თანაც დროდარდო კონტრშეტევაზე გადადიოდა. იბრძოდა მანამ, სანამ გერმანელები თავიანთ უმწიქობაში არ დარწმუნდნენ. ერთმა „109-მ“, რომელსაც კვამლი მოეკიდა, მკვეთრად დაუკლო სიმაღლეს და თვალს მიეფარა. არც სხვებმა დააყოვნეს და მის მავალით მიბაძეს. ლიტვინიუკი მშვიდობით დაუბრუნდა თავის აეროდრომს. მისი თვითმფრინავი 64 ადგილას იყო გახვრეტილი.

ლიტვინიუკმა ბევრი დრო და ენერგია მოახმარა ჩვენი გემების, ბაზების, ნავსადგურების დაცვას. და მან აქაც თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა საპაერო მებრძოლმა.

გვარდიის კაპიტნის ლიტვინიუკის საბრძოლო ოსტატობა ახალი ძალით გაბრწყინდა საბჭოთა არმიის ძლევამოსილი შეტევის პერიოდში. იგი ესკადრილის უფროსად დანიშნეს და შეძლო დაერაზმა თავისი არწივები, ესწავლებინა მათთვის ისევე ებრძოლათ, როგორც თვითონ იბრძოდა...

იგი თვითონ მიუძღოდა მათ წინ ნოვოროსიისკის, ტამანის, ყირიმის, ნიკოლაევის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

იმ გაზაფხულზე კვლავ განმეორდა შემთხვევა, როცა ბორის ლიტვინიუკი რიცხობრივად სამჯერ მეტ მტერს შეება. ექვსი ჩვენი გამანადგურებელი ლიტვინიუკის მეთაურობით იფარავდა მოიერიშეებს, რომლებიც კულბაინოს რაიონში მტრის ობიექტებს ურტყამდნენ. გერმანელთა აეროდრომიდან ჯერ გამანადგურებელთა ერთი ჯგუფი აფრინდა, შემდეგ მეორე, მესამე...

ბრწყინვალე გამარჯვება იყო: გვარდიელთა ყველა იერიში მოიგერიეს. ამ ბრძოლაში 5 ფაშისტური თვითმფრინავი მოსპეს. თვითონ ბორის ლიტვინიუკმა ორი „მესერშიმდტი“ ჩამოავლო.

450 საბრძოლო გადრენა მოაწყო გვარდიის კაპიტანმა ბორის ლიტვინიუკმა, მონაწილეობა მიიღო 44 საპაერო ბრძოლაში. 11-ჯერ დაბომბა წითელარმიეების კომუნისტები და 29 საიერიშო დარტყმა მიიყენა, 20-ჯერ იყო საპაერო დაზღერვაზე, 16 გერმანული თვითმფრინავი მოსპო.

მისმა ესკადრილიამ კი ომის პერიოდში გაანადგურა მტრის ასი თვითმფრინავი.

ხუთი ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი“ ბრწყინავს საბჭოთა კავშირის გმირის, გვარდიის კაპიტნის, ბორის მიხეილის ძე ლიტვინჩუკის, სახელოვანი მეტრეხლის, ლენინის პარტიის ერთგული შვილის მკერდზე.

ბორის ლიტვინჩუკი კომუნისტის ფრონტის მოწინავე ხაზზე გახდა. 1942 წლის ნოემბერში შავი ზღვის ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალების ერთ-ერთი საავიაციო ბრიგადის პოლიტგანყოფილების კომუნისტებმა ერთნაშად შისცეს მას ხმა ლენინის დიად პარტიაში შესასვლელად.

ომის ძღვეამოსილად დამთავრების შემდეგ, გმირი მფრინავი ავიაციაში დარჩა და კვლავაც მზრუნველობით ზრდიდა მფრინავთა ახალ კადრებს, ამრავლებდა ჩვენი საშობლოს სამხედრო ძლიერებას.

ახლა ბორის ლიტვინჩუკი კალუგაში ცხოვრობს. შვილებითა და შვილიშვილებით დაყურსული კაცია. უფროსმა ვაჟმა გენადიმ მის მაგალითს მიბაძა — შავი ზღვის ფლოტის სამხედრო-საჰაერო ჯაღებში მსახურობს.

ბორისი კალუგის ტურბინის ქარხანაში მუშაობს, ომის ვეტერანთა საქარხნო საბჭოს თავმჯდომარეა. მისი ხშირი სტუმრები არიან პიონერ-მოსწავლეები; კომუნისტის მშენებელთა ახალგაზრდა თაობა ხოშ გმირთა მაგალითით იზრდება.

მურმან მუხველიძე



რამაზ სურგანიძე

ღვანელი აბდულ მიქელაძისა

ანტონ ჩეხოვის ერთ-ერთი თაყვანისმცემელი მწერლის შემოქმედებან რომ გაეცნო, დაახლოებით ასეთი ლაკონური დასკვნა გააკეთა: ძველი რუსეთის ცხოვრება ადამიანთა სსოვნიდან რომ გაქრეს, მისი მთლიანი აღდგენისათვის ანტონ ჩეხოვის მოთხოვნებიც საკმარისიაო.

ჩვენ, ცხადია, აზრადაც არ მოგვსლია დიდ მწერალს შევადაროთ ერთი მოკრძალებული და თვითნასწავლი ჟურნალისტი, არც უზარმაზარი რუსეთის შედარება შეიძლება მის იმ დროინდელ პაწია პროვინციასთან, მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ, თუ გვსურს წარმოვიდგინოთ აჭარის ყოფა-ცხოვრება ოსმალთაგან გათავისუფლებიდან 40 წლის მანძილზე, საკმარისია აბდულ მიქელაძის პირად ბარათებსა და მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილებს გავეცნოთ.

* * *

ხშირად ხდება სოლმე, ამოვიჩემებთ ვინმეს და დამსახურებითა თუ დაუშსახურებლად, ყველაფერს მივაწერთ. ამ დროს კი მხედველობიდან გვრჩება ისეთი პიროვნება, რომელსაც მართლაც რომ დიდი ამაგი მიუძღვის ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება აბდულ მიქელაძე — გასული საუკუნის ბოლო და ჩვენი საუკუნის პირველი მეტუთედის შესანიშნავი მოღვაწე, დიდი ილიას თანამედროვე და თანამებრძოლი, აჭარაში სწავლა-განათლებისა და კულტურის განვითარების დიდი მოამაგე, ჟურნალისტი და პუბლიცისტი, მკურნალი და მწიგნობარი.

საყურადღებოა, რომ აბდულ მიქელაძის მოღვაწეობა მოუხდა თითქმის მარტოდ-მარტოს, ამიტომ, თუ მთიან აჭარაში ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროს მოხერხდა სკოლების გახსნა, ქართული წერა-კითხვის შესწავლა, წიგნების გავრცელება და სხვა ეროვნული საკითხების მოგვარება, ეს უშუალოდ უნდა მიეწეროს აბდულ მიქელაძეს, რომელიც იმდროინდელ საზოგადოებას ქართული პრესის მეშვეობით აცნობდა ცხოვრების აქტუალურ საკითხებს.

* * *

აბდულ მიქელაძე ერთ-ერთი ქართველი პატრიოტთაგანია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა აჭარის მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების, ხალხის განათლების, გათვითცნობიერება-განვითარებისა და ფიზიკური გადაგვარებისაგან დახსნის საქმეში. თავისი ქვეყნის ერთგულ შვილსა და საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლს, სისტემატური ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, ჯაქარია ჭიჭინაძესთან, პეტრე უმიკაშვილთან და სხვა ქართველ მოღვაწეებთან. აბდულ მიქელაძის ეპის-

ტოლარული შემოქმედებითი მეგვიდრობა მდიდარია ამ აღმნიშნებთან მიწერული ბარათებით და ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მასალებით.

აჭარის ცხოვრებაში არ ყოფილა ისეთი საჭირობო საკითხი, რომელსაც აბდულ მიქელაძე არ შეხებოდა. მას აწუხებდა სკოლებისა და სამკურნალო დაწესებულებების უქონლობა, გადასახადები და მუშაჯირობა, სწრაფი უბედურებები და მოულოდნელობა, ყაჩაღობა, მკვლელობა და სხვა სოციალური უკუღმართობა.

აბდულ მიქელაძის შემოქმედება დიდი ხანია საფუძვლიან და სპეციალურ გამოკვლევას იმსახურებს. შევეცდებით, მკითხველს გავაცნოთ ამ მოამაგის წერილები და ნაწილობრივ ის დავწლი, რომელიც მან ხალხის კეთილდღეობას მოახმარა.

აბდულ მიქელაძე დაიბადა 1855 წელს სოფელ ძენწმანში (ქედის რაიონი) სახალხო მკურნალის ოჯახში. მამა ხასან მიქელაძე (ყავაზი) წერა-კითხვის უცოდინარი იყო. მის შვილებში აბდული გამოირჩეოდა გონებამახვილობითა და წერა-კითხვის შესწავლისადმი სწრაფვით. ამიტომ მამამ იგი მიაბარა ტრაპიზონის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ, როგორც წესი, მუშაობა უნდა დაეწყო მუხსულმანურ საკულტო დაწესებულებაში. ა. მიქელაძემ ამაზე უარი თქვა და მამის ხელმძღვანელობა — დაიწყო ყვავილის აცრა და ავადმყოფთა მკურნალობა; ზის გამო მისთვის „კურნალიც“ შეურქმევიათ. ამის შესახებ 1892 წლის 27 აგვისტოს გაზეთი „ივერია“ წერდა: „ზედა და ქვედა აჭარის ქართულ კარაბადინებში აცრის ცოდნა გავრცელებულა. აცრა სცოდნია ქართველ მაჰმადიანს აბდულ ეფენდი მიქელაძეს, „ივერიის“ აჭარულ ამბების მომწერს. ამ კაცს რამდენიმე წლის წინად შეუსწავლია აცრა და ამის მეოხებით ძლიერ ბევრი მაჰმადიანი შესწევია აცრას“.

ქართული წერა-კითხვის შესწავლა ა. მიქელაძეს 1878 წლიდან დაუწყო. ამ საქმეში მას აღვლილობრივი ნათესავი ქალები დახმარებიან. შემდეგ გაუცვია ლიხაურელი თომა სიმონის ძე კალანდარიშვილი (დაბად. 1859 წ.), რომელიც ახლად გათავისუფლებულ აჭარაში მილიციელად (ჩაუში) მუშაობდა, აი, ეს თომა-ჩაუშიც ეხმარებოდა, თურმე ა. მიქელაძეს ქართული წერა-კითხვის შესწავლაში.

როგორც ქვემოთ, ა. მიქელაძის ერთი წერილიდან, მკითხველი გაიგებს, დაახლოებით 1882-84 წლებში თბილისში მან გაიცნო ილია ჭავჭავაძე, პეტრე უმიკაშვილი და სხვა ქართველი მამულიშვილები. ამ დღიდან ისინი ყურადღებას არ აკლენენ ა. მიქელაძეს, უგზავნიან ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, ე. ი. იმ საზრდოს, რაც აუცილებელი იყო არამარტო ქართული წერა-კითხვის შესასწავლად, არამედ საქართველოსა და სხვა ქვეყნების ამბების გასაგებად.

ა. მიქელაძის წერილები და კორესპონდენციები, რომლებიც გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა, მათ ავტორს გვიხასიათებს, როგორც მრავალმხრივ გათვითცნობიერებულ მოღვაწეს, პატრიოტს, რომელიც დღენიანაგ იღვწოდა ხალხის ღუბჭირი ცხოვრების შემსუბუქებისა და განათლება-აღორძინებისათვის.

როგორც უკვე ვთქვით, ამ დიდ ეროვნულ სარბიელზე ა. მიქელაძეს ერთ-ერთ პირველთაგანს მოუხდა ბრძოლა. ქართული წერა-კითხვის გავრცელების, სკოლების გახსნის, ეროვნული გრძნობების გაღვივება-განმტკიცების საშვილიშვილო საქმეში იგი მოგვევლინა პიონერად, ყამირის გამტანად.

ღვაწლმოსილი კაცის ზოგიერთი წერილი არ არის კარგად გამართული, ზოგში ერთ-გვარი ტენდენციურობაც იგრძნობა, მაგრამ ეს სრულიადაც ვერ აყენებს ჩრდილს თვითნასწავლი ჟურნალისტის დიდ დამსახურებას. ძირითადად ა. მიქელაძის წერილები გამსჭვალულია ღრმა პატრიოტიზმითა და ობიექტურობით.

ა. მიქელაძის ბიოგრაფიისა და ხალხის წინაშე მისი დამსახურების შესწავლას რამდენიმე ავტორის ნარკვევი და სტატია მიეძღვნა (ხ. ახვლედიანი, ჯ. ჩხეიძე, ა. დავითაძე, ნ. გათენაძე და სხვ.), მაგრამ ეს მასალები სრულად ვერ ასახავს ამ პიროვნების ცხო-

ვრებასა და მოდვაწობას. ამიტომ ბევრი რამ ა. მიქელაძის შესახებ უცნობი დარჩა.

1969 წელს გამოცემულ წიგნში „დაუფიქრარი სახეები“ ჩვენ შევეცადეთ გავეშუქებინა აბდულ მიქელაძის ბიოგრაფია, მაგრამ მაშინ ხელთ არ გვქონდა მისი ყველა წერილი და მასზე გამოქვეყნებული მასალები, რის გამო ვერ შევძელით მკითხველის სურვილის მთლიანად დაკმაყოფილება. ამჟამად ჩვენ ხელთა გვაქვს ა. მიქელაძის უველი გამოქვეყნებული მასალა და ზოგი პირადი წერილი.

ვფიქრობთ, ასეთი სახით ამ მასალების გამოქვეყნება ა. მიქელაძის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე უფრო სრულყოფილი გამოცემა იქნება, თუმცა ა. მიქელაძის პირადი წერილების ძიება მაინც უნდა გაგრძელდეს.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში უკვე ხანში შესულმა აბდულმა გაზეთ „ივერიით“, რომელსაც პეტრე უმიკაშვილი უგზავნიდა, დაიწყო წერა-კითხვის შესწავლა. მალე თვითონვე გახდა ამ გაზეთის კორესპონდენტი და აჭარაში წერა-კითხვის გამავრცელებელი.

მადლიერი ა. მიქელაძე 1886 წლის 19 ნოემბერს პეტრე უმიკაშვილს შემდეგს სწერს: „დიდ მადლობას მოვახსენებ, ზატონო, იმისათვის რომ მე თქვენგან გამოგზავნილს „ივერიას“ ვღებულობ და ამგვარი თქვენი წყალობით იმდენი შევისწავლე ქართული წერა-კითხვა, რომ ამ წიგნის მოწერა თქვენთან მოვახერხე“. 1887 წლის 20 ივლისის წერილში კი ვკითხულობთ, „დიდი მადლობელი ვარ თქვენიდან, რომ მასწავლელთ ქართული წერა-კითხვას“. ამასთან სთხოვს დიდი მადლობა და მოკითხვა გადასცეს ილია ჭავჭავაძეს. ამ სიტყვების შემდეგ მალე აბდული თვითონვე იწყებს წერა-კითხვისა და წიგნების გავრცელებას, რაც კარგად არის ასახული „ივერიაში“ გამოქვეყნებულ მის სტატიებში და ქართველ მოდვაწეებისადმი გაგზავნილ წერილებში.

სწორედ „ივერიის“ მეშვეობით გაიცნო მაშინდელმა მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ აბდულ მიქელაძე. ქედაში ჩასულ თედო სახოკიას წერა-კითხვის მცოდნეობით აღნიშნავს, რომ „ქედაში ერთი მიქელაძეა აჭარელი, რომელიც ჩვენს მწერლობაში მონაწილეობასაც კი იღებს და „ივერიის“ საშუალებით ქართველ საზოგადოებას აჭარის ამბებს აწვდის ხოლმე“. (თ. სახოკია. მოგზაურობანი თბ. 1950, გვ. 185). როგორც ჩანს, აჭარის ამბებს ა. მიქელაძე ჯერ პ. უმიკაშვილს ატყობინებდა წერილობით, ხოლო ეს უკანასკნელი წერილებს შერჩევით უგზავნიდა „ივერიის“ რედაქციას.

ა. მიქელაძის წერილებს, როგორც პირველწყაროებსა და თვითმხილველის ნამუშავეს, დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალი ისტორიული ფაქტის, აჭარის იმდროინდელი ვითარების დასადგენად. მაგ, აბდულ მიქელაძის ერთ-ერთ წერილში („ივერია“ № 210, 8 ნოემბერი, 1898 წ.) დოკუმენტურად არის აღწერილი ცნობილი ფირალის მეფელ დიასამიძის შეპყრობის ამბავი. ამ წერილით ცხადი ხდება, რომ დიასამიძე შეიპყრო არა თუფან შერვაშიძემ, რომელიც ამ დროს თანამდებობიდან გადამდგარი იყო. არამედ ახალმა მასრის უფროსმა ვ. ვოსკრესენსკიმ.

ქართული წიგნების გავრცელება

ქართული წერა-კითხვის გავრცელების თაობაზე მიმოწერას აბდული 1888 წლის დამდეგს იწყებს. 11 იანვარს იგი პეტრე უმიკაშვილს სწერს, რომ ქართული წერა-კითხვის მცოდნე ჯერ არავინ არის, „მაგრამ რამდენიმე ყმაწვილმა დაიწყო კითხვის შესწავლა, ნაბეჭდს გვარიანად კითხულობენო. 20 იანვარს „ივერიაში“ ქვეყნდება ა. მიქელაძის წერილი, სადაც ნათქვამია, რომ ქალებმა იციან ხელნაწერის წაკითხვა, ნაბეჭდი წიგნების წაკითხვა კი უჭირთ, რადგანაც საზღვრის გახსნამდე წიგნები აქეთ არ იყო.

„თუ შემწეობა იქნება, — სწერს აბდული, — წიგნის კითხვას მალე შეისწავლიან, ხალხი ნიჭიერი და მოწადინებული... შემთხვევა ყოფილა, რომ გავლილ მგზავრს კაცს

ერთ-ორ დღეში აქაურისათვის წიგნი და წერა უსწავლებია, ან წიგნი მიუცია და ამის-
თანა შემთხვევას სარგებლობა მოუტანია. აქაურ კაცს თვითონ უსწავლია და მერე
სხვებისათვის უსწავლებია“.

ახალგაზრდების გარდა, წერა-კითხვის შესწავლა აბდულმა ხნიერებსაც დააწვედინა.
1888 წლის 6 ივნისის წერილით (პეტრე უშიკაშვილისადმი) ირკვევა, რომ მას ასეთი სა-
მი მოსწავლე ჰყავდა, მათ შორის მაზრის უფროსი მაიორი თუფან შერვაშიძეც. პ. უში-
კაშვილი მოსწავლეთა ვინაობით დაინტერესებულა და ქართული ანბანი გამოუგზავნია,
რომელიც აბდულს მათთვის დაურიგებია.

წერა-კითხვის გავრცელების გარდა. ა. მიქელაძე დიდ მუშაობას ატარებდა ხალხ-
ში, რათა თავიანთი ბავშვები გაეგზავნათ ბათუმის ქართულ სკოლაში. „ყმაწვილების
სკოლაში გაზრდის თაობაზედ ყველას გამოვუცხადე, მაგრამ ფულის მიცემა უჭირთ...
მე კიდევ ვეცდები, რომ რაიმე შევაგნებინო ხალხს“—სწერს იგი 1888 წლის 30 სექ-
ტემბერს.

რამდენიმე თვის შემდეგ ა. მიქელაძე გახარებული სწერს პ. უშიკაშვილს: „ჩემ
გარეთ აჭარაშიდ თორმეტმა ბავშვმა ისწავლა ქართული წერა-კითხვა, ისინიც სოფლებ-
შიდ სხვა ბოვშვებს ასწავლიან. ერთი სიტყვით, ამ ბოლო ხანში აჭარაშიდ გავრცელ-
დება ქართული წერა-კითხვა“.

ნაბეჭდი წიგნების საჭიროება, რომლის შესახებ აბდული წერდა გაზეთ „ივერიაში“,
გაუთვალისწინებია პ. უშიკაშვილს და რამდენიმე ცალი გამოუგზავნია მისთვის. წიგნები
ა. მიქელაძეს ბავშვებისათვის დაურიგებია. „გამოგზავნილი წიგნები, ათი-თორმეტი ბავ-
შვებსა შიგეც... დღეს აჭარაში ოცამდინ არიან რომა ქართული წერა-კითხვა იციან.
10 წელიწადი არ უნდა, რომ ყველაი შეისწავლის ძველებურს დედა-ენას“.

აჭარაში ქართული წიგნების მასობრივი გავრცელება დაიწყო ამ კუთხის დიდი
მოამაგის ჯაქარია ჭიჭინაძის მეშვეობით მშ-იან წლებში. იგი აქ ჩამოვიდა და სწორედ
აბდულ მიქელაძის დახმარებით დაიწყო ქართული წიგნების ღარიგება. მარტო 1892
წელს ზ. ჭიჭინაძეს აბდულისათვის 3.000 ქართული წიგნი ჩამოუტანია. ამის შესახებ
იმავე წელს „ივერიაში“ ა. მიქელაძე შემდეგს წერდა: „ზ. ჭიჭინაძისაგან მივიღე სამი
ათასამდე სხვადასხვა ქართული წიგნი ზედა აჭარასა და იმერხევიშ დასარიგებლად. ვი-
საც ვაძლევდით ამ წიგნებს, ყველა დიდი სიამოვნებით იღებდა. ქართველმა მაჰმადი-
ანებმა აქამდის შეინახეს ქართული ენა და ზოგიერთ ადგილას ქართული კითხვაც
იციან. იმედია დღეის შემდეგ ამ წიგნებით უფრო მოიფინება ქართული წერა-კითხვა“...

იმავე წერილში, ა. მიქელაძე კმაყოფილებით იხსენებს ჭვანის ხოჯას ახმედ-ეფენდის
(შარაშიძე, სოფელ ქალის მცხოვრები), რომელმაც სიამოვნებით გამომართვა წიგნები
და შეგირდებსაც გამოუცხადა, რომ დღეში ორ საათს ქართული წიგნები უნდა იკით-
ხოთო. ახმედ ეფენდის თვითონ კარგად ცოდნია ქართული წერა-კითხვა. მის გარდა
ჭვანაში ცხრა-ათი კაცია წერა-კითხვის მცოდნეო, სწერს აბდული.

როგორც ვხედავთ, ა. მიქელაძე ჯეროვანი პატივისცემით აღნიშნავს ხალხის დაინ-
ტერესებას ქართული წერა-კითხვის გავრცელებისათვის, თავის წერილებში იგი მუხულ-
მანური საღვთო სჯულის სწავლების გარდა, ყურადღებას უთმობს საკულტო დაწესებუ-
ლებების აშენების საკითხებს, მაგრამ ეს კეთდებოდა მხოლოდ საერთო-სახალხო ინ-
ტერესებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით.

ა. მიქელაძე ყოველთვის ზრჩება მუსულმანური ფანატიზმის თავგამოდებულ მოწინააღ-
მდეგედ. ამის დახტურად შეიძლება დავასახელოთ ღვინის დაყენების ძველქართული
წესის აღდგენის სურვილი, რომელიც პირველად სწორედ ა. მიქელაძემ გამოთქვა-
თვით ქართული წიგნებისა და წერა-კითხვის გავრცელებაში (რაც ცოდვად ითვლებოდა)
ა. მიქელაძის ასეთი აქტიური მონაწილეობაც ამაზე მეტყველებს.

ა. მიქელაძე დარწმუნებულია, რომ საფუძვლიანი განათლების მისაღებად აუცილებელია სკოლების გახსნა და გულისტკივილით აღნიშნავს რომ ეს არ ხერხდება ხალხის ხილარობის გამო. სკოლების გახსნამდე „თითოობით კერძოდ, შემწეობა და დახმარება ეჭირება აქაურების წიგნის სწავლასა წახალისებით, წიგნების მიწოდებით და კერძოდ კითხვისა და წერის სწავლებით“. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, სწორედ ასეთი მიზანი ჰქონდა ა. მიქელაძის, პ. უმიკაშვილის, ზ. ქიქინაძისა და სხვათა თავდადებულ მეცადინეობას.

ქართული სკოლების გახსნის აუცილებლობის შესახებ ა. მიქელაძის წერილები „ივერიაში“ გამოჩნდა 1892 წლიდან. იგი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დიდ მადლობას მოახსენებს წიგნების მოწოდებისათვის, ამასთან ერთად აცნობებს: „ჩვენს დაქვეითებულს ხალხში ერთობ დიდი ნატვრა აქვთ სკოლებისა. აქაურები დიდი ზეგწნით იბეწებიან, რომ სოფ. ქედში როგორმე სკოლა გაგვიმართონ ჩვენ მოძვე ქართველებმაო... ქედში რომ სკოლა გაიმართოს, მთელს აჭარაში მსწრაფად მოიფინება ქართულის ცოდნა და ქართული წერა-კითხვა“; ანალოგიურია ა. მიქელაძის მეორე წერილი, რომელიც ორი კვირის შემდეგ გამოქვეყნდა.

აჭარის მცხოვრებთ ღრმად ჰქონდათ შეგნებული, რომ ისინი ქართველნი არიან, ქართულ ენაზე მეტყველებენ, ქართული გვარი აქვთ. ამ რწმენამ დიდი როლი ითამაშა აჭარის გაათავისუფლებასა და ეროვნული თვითშეგნების ვანმტკიცებაში, მაგრამ სარწმუნოება, მუსულმანური ფანატიზმი, ისლამის დოგმები თავისას აკეთებდა, მისგან თავის დაღწევა მეტად რთული იყო. სწორედ ამიტომ, დიდი ილია განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვდა ყველასაგან, ვისაც აჭარაში მოუხდებოდა მოღვაწეობა. ილიას და იაკობ გოგებაშვილის წინადადებით, ამ მიზნით ახლადგახსნილ ქართულ სკოლაში მუსულმანური საღვთო სჯულის სწავლაც კი შემოიღეს. მაგრამ ყველამ როდის ისმინა დიდი ქართველი მამულიშვილების ეს მოთხოვნა.

1894 წლის დასაწყისში ქედში ჩასულა ვიღაც მასწავლებელი, რომელსაც აუგად მოუხსენებია მაჰმადის სარწმუნოება, რაც ადგილობრივ მცხოვრებლებს ძალზე სწყენიათ. ზოგ მათგანს ქართული წერა-კითხვის შესწავლაც კი მიუტოვებია. ამის შესახებ „ივერიის“ 1894 წ. 17 თებერვლის № 37-ში გამოქვეყნებულია ქედელი კორესპონდენტის წერილი, რომელიც ჩვენი აზრით აბდულ მიქელაძე უნდა იყოს. იგი არ ასახელებს მასწავლებლის გვარს, მაგრამ ორი წინადადებით გამოხატავს მოსახლეობის დიდ წყენას. წერილს მაშინვე გამოხმაურებია მოწინავე ქართველი საზოგადოება. ამ მხრივ განსაკუთრებით შთამბეჭდავია მეველის (დავით მიქელაძის) წერილი. აღშფოთებული ავტორი სვამს კითხვას: „ვინ არის ეს ქართველი პედაგოგი; არის იგი ვინმე მოხეტიალე არსება, რომელსაც არც სარწმუნოებინა გაეგება რამე და არც სწავლისა, თუ რომელიმე ბოროტგანმზრახველია, რომელსაც აზრად აქვს შეაძულოს ჩვენს მოძვე მაჰმადიანებს ქართული ენა და ქართველი ერი? მაგრამ ეს სულერთია — უფუნური ვინმეა ეს ახალი მქადაგებელი მაჰმადის სარწმუნოების უფარგისობისა, თუ ბოროტგანმზრახველი, ორსავე შემთხვევაში ეს ვაუბატონი მავნებელი ბრძანებულია და ადგილობრივი მთავრობა ვალდებულია ყურადღება მიაქციოს და ფიცხლავ გამოაბრძანოს იმ ხალხიდან, რომელთათვისაც დამწვიდება, ნუგეშისცემა და სიყვარულის მოწოდება საჭირო და არა აღელვება და თავის სარწმუნოების შეურაცხება და შეგინება“ (ივერია, № 40, 20 თებერვალი, 1894 წ.).

იმავე წლის 13 მარტის „ივერიაში“ გამოქვეყნდა სარედაქციო წერილი, რომლითაც გაუთითა „იტყობინება, რომ რედაქციამ ზემოდასახელებულ ფაქტზე კიდევ რამდენიმე წერილი მიიღო. ერთი ეკუთვნოდა ზაქარია ჭიჭინაძეს. აჭარის დიდი მოამბე რედაქციას განუმარტავდა, ვშიშობ ის ვიღაც მასწავლებელი ვინმეს მე არ ვეგონოო.

ასეთი ექვი ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იყო, რადგანაც ყველამ კარგად იცოდა, რა დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღოდა ზ. ჭიჭინაძეს აჭარის მოსახლეობის მიმართ.

ა. მიქელაძეს სწორად ესმის ბათუმის ქართულ სკოლაში ქართველ მაჰმადიანთა შვილების მოზიდვის საკითხი და ამ საქმეში მუსულმანური საღვთო სჯულის მასწავლებლის მნიშვნელობა, რომლის დანიშვნის იდეა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვით ილია ჭავჭავაძეს და იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნოდათ. ბათუმის სკოლიდან ასეთი მასწავლებელი რომ დაითხოვეს, ა. მიქელაძე „ივერიაში“ წერილით გამოეხმაურა ამ არასასია. მოვლო ამბავს.

ა. მიქელაძე კვლავ აგრძელებს „ივერიაში“ წერილების ბეჭდვას, რომლებშიც გამოხატულია მოსახლეობის თხოვნა, ზევწნა და მუდარა ქედში ქართული სკოლის გახსნის შესახებ, მაგრამ თვითმპყრობელობის დროს ყველაფერი რჩება „ხმად მლაღლებელისად უდაბნოსა შინა“.

— აგერ ოცი წელიწადი სრულდება, რაც რუსეთმა აიღო ეს მხარე და დღემდის ერთი პირველდაწყებითი სასწავლებელი რა არის და იმასაც ვერ ვეძიებთ, არ ვიცით, რა არის ამის მიზეზი... მართალია, აქაური მცხოვრებლები დახმარებას ვერ აღმოუჩინენ სკოლას, მაგრამ ჯერ უნდა გაიგოს ხალხმა, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან სკოლას და შემდეგ იკისრებს თავის ხარჯით სკოლისათვის შენობის აგებას და ან სხვა დახმარების აღმოჩენას. არის ბათუმში სამოქალაქო და ქართული სასწავლებლები, მაგრამ აქაურ მცხოვრებელთათვის გამოუსადეგარია, რადგან ბათუმი ქელაზედ ორმოც ვერსით არის დაშორებული“ („ივერია“, 1893 წ. 10 აპრილი).

ამავე წერილით ირკვევა რომ ქედის მცხოვრებლებს თეოფილე ერქომაიშვილის* მეშვეობით უთხოვიათ სასწავლებელთა ინსპექტორ ევტიხი მაშინაშვილისათვის,** მაგრამ სკოლის გახსნაზე კი მრავალი წლის განმავლობაში პასუხიც ვერ მიუღიათ.

„ევტიხი მაშინაშვილს ვთხოვეთ შუამდგომლობა დაეწყო მთავრობასთან სახელმწიფო სამრევლო სკოლის დაარსების შესახებ ს. ქედში. აგერ ერთი წელიწადი მიღის და ჩვენი თხოვნის არაფერი იშშის რა უყვეს ჩვენს თხოვნას, სად უკრეს თავი, არ ვიცით, ზოგნი დღესაც კითხულობენ, თუ უარი გვითხრა მთავრობამ გაგვაგებინონ“.

სკოლების გახსნა და წიგნების გავრცელება აბდულ მიქელაძეს სამართლიანად მიაჩნია მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ.

„ჩვენ ჩვენს ძმებს ქართველებთან ერთად-ერთი სკოლა და წიგნებიღა შეგვაერთებს“ — წერს იგი. ხაერთოდ, აჭარის მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების საკითხი აბდულ მიქელაძის ნაწერებში ყოველთვის წინა პლანზეა წამოწეული. „ღმერთმა იცის, — აცნობებდა იგი მოძმე ქართველებს, — რომ დიდად მოწადინებული ვართ ჩვენს და თქვენს შუა ძველებური სიყვარული გაცოცხლდეს და ამით ერთმანეთის პატივისცემა და შველა ვიცოდეთ. ჩვენც ქართველები ვართ, როგორც თქვენ, ჩვენი სა-

*თეოფილე ოქროპირის ძე ერქომაიშვილი ბათუმი-ახალციხის გზის იჯარაღარი იყო. 1897 წ. მისი კარგები ს. ცხმორისში იდგა, აქ აკეთებდნენ გზას (იხ. თ. სახოკია, მოგზაურობანი. თბილისი 1905 წ. გვ. 241). იგი რევოლუციურ საქმიანობასაც ეწეოდა ადგილობრივ მოსახლეობაში, ზისტისა 1906 წელს ჯერ დააჯარიმეს 50 მანეთით, ხოლო შემდეგ დააპატიმრეს. ქ. ბათუმის გენერალ-გუბერნატორმა არ შეიწყნარა მისი თხოვნა (აჭარის ცსა, ფ. 1, საქმე 214), ფურ. 18, 19, 21).

**თედო სახოკიას თქმით, ევტიხი მაშინაშვილი „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ სკოლების ინსპექტორი იყო. იგი აჭარაში მოუვლინებიათ სწავლა-განათლების გავრცელებისა და ქართული სკოლების გახსნის მიზნით, მაგრამ უსახსრობის გამო მან ეს დავალება ვერ შეასრულა.

ყვარელი ქვეყანაც საქართველოა, ჩვენი სამშობლო ენაც ქართულია. აქამდის ჩვენ ოსმალეთის ხელში ვიყავით... აქაურებმა ბევრი წვადება, ტანჯვა და მწუხარება გამოვიარეთ ოსმალის ხელში, მაგრამ ბოლოს შევერთდით ერთად... თქვენ ხართ ჩვენი პატრონი, ჩვენო საყვარელო ძმებო, და გვედგობით, რომ ქელაში სკოლა გაგვიმართოს“ (ივერია, 1892 წ. 6 ოქტომბერი).

ამ წერილმა დიდი გავლენა მოახდინა ქართველ საზოგადოებრიობაზე, მოწინავე ადამიანები გულთბილად გამოეხმაურნენ ა. მიქელაძის თხოვნას. სამი დღის შემდეგ „ივერიამ“ დაწეჭდა ა. ფრონელის (ალექსანდრე ყიფშიძის) ვრცელი სტატია, რომელშიც განმეორებით მთლიანად მოყვანილია ა. მიქელაძის ზემოთქმული წერილი. ავტორი მოუწოდებს ქართველობას ყურადღებით მოეპყრან ა. მიქელაძის თხოვნას და დაეხმარონ ქელაში სკოლის გახსნის საქმეში. „დარწმუნებული ვართ, — წერს ა. ფრონელი, — რომ ყოველი ქართველი, რომელსაც-კი სამშობლოს სიყვარული სიტყვების რახნარუხად არ მოაჩნია და ნამდვილად არის მოწადინებული, შეძლებისდაგვარად, სასარგებლო იყოს სამშობლოსი, დიდ ყურადღებას მიაქცევს და ეცდება სურვილი განუხორციელოს აჭარის ქართველ მაჰმადიანობას, რომელნიც გვეზვეწებიან და გვემუდარებიან, მოდიოთ, ხელი გამოგვიწოდეთ, დაგვეხმარეთ და განათლების ღამპარი ავგონთეთო... მერე როცა ისეთი მცირე დახმარება საჭირო, რომ სალაპარაკოდაც არა ჰქონდეს. აბა რა უნდა იყოს ერთი სკოლის გაშართვა სოფ. ქელაში“.

ამ წერილის დაწერილამ მხოლოდ ათი წლის შემდეგ დაწყებულია სკოლის გახსნისათვის მზადება, რასაც აღფრთოვანებით აღნიშნავს ა. მიქელაძე: „აქ სკოლა გვიარსდება. თითოეულმა მოსახლემ უნდა გაიღოს თითო მანეთი. შეძლებულები მეტსაც დაჰპირდნენ სკოლას. დიდად სასიხარულო იქნება აქ სკოლის დაარსება. ქართული წერა-კითხვა ძალიან ნაკლებად არის აქეთ გავრცელებული“.

ერთი წლის შემდეგ სკოლისათვის შენობა აუგიათ ადგილობრივ მცხოვრებლებს, მასწავლებელიც მოსულა, მაგრამ სოფლების სიშორის გამო ძალზე ჭირდა ბავშვების მოზიდვა, განსაკუთრებით ცუდი ამინდების დროს, როცა აღიდებული მდინარეები ანგრევდა საცაღფებო სიდეშს და მოძრაობა ძალზე საშიში ხდებოდა.

ახლო-მასლო სოფლებიდან ათი-თორმეტი ბავშვი მაინც მიუღიათ ქელის ორკლასიან სასწავლებელში, იქ მცხოვრები ბერძნებისა და სომხების ბავშვებიც მიუყვანიათ ქართულ სკოლაში, მაგრამ, სამწუხაროდ, რაღაც მიზეზების გამო მასწავლებელი წასულა, რასაც გულისტკივილით აღნიშნავს ა. მიქელაძე.

ხასან ციციანი

თავის პატრიოტულ, საშვილიშვილო საქმიანობაში ა. მიქელაძეს მხარში ედგნენ ქელის მხარაში მცხოვრები იმდროინდელი მოწინავე ადამიანები: ხასან ციციანი,* თუფან შერვაშიძე, შაჰირ ხახუტოღლი-შერვაშიძე და სხვები. მათ აბღული დიდად აუთახებდა და თვლიდა ეროვნულ-პატრიოტული საქმიანობის მესვეურებად აჭარაში.

ხასან ციციანი — ცნობილი პიროვნება და განმანათლებელი — სოფელ საღორეთიდან იყო, პირადად იცნობდა ა. ფურცელაძეს, ზ. ჭიჭინაძეს, ს. მაგლობლიშვილს. დიდ

*ხასან ციციანი ზოგ ავტორს (ზ. ჭიჭინაძე, ს. მაგლობლიშვილი) ციციშვილი ჰყავს ნახსენები. ფიქტობით, ეს არ არის სწორი. რადგანაც, ა. მიქელაძეს არ შეიძლება არ სცოდნოდა თავისი მეზობლისა და თანამოაზრის გვარი. მერეც, ციციშვილი აჭარაში აღარ გვხვდება ხოლო ციციანები ამჟამადაც ცხოვრობენ შუახევის რაიონის ს. ცხემლისში. თვით ზ. ციციანის შთამომავალნი დღევანდელ სოფელ პირველ მაისში ამჟამად ციციანიძედ იწოდებიან.

მუშაობას ეწეოდა აჭარაში ქართული წერა-კითხვის გავრცელებისა და ეროვნული გა-
თვითცნობიერებისათვის. გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა, 25 წლისა, 1893 წლის
16 თებერვალს.

ხასან ციციანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ა. მიქელაძემ „ივერიაში“ ნეტო-
ლოგის მსგავსი წერილი მოათავსა, სადაც გამოთქმულია დიდი მწუხარება ამ მოწინავე
მამულიშვილის გარდაცვალების გამო. წერილში მოკლედ მოთხრობილია ხ. ციციანის
დამსახურების შესახებ.

„ხასან ციციანის სიკვდილმა ძლიერ დაგვაღონა აჭარელი ქართველი მაჰმადიანები.
განსვენებული ოსმალურს სასწავლებელში იყო ნასწავლი, მაგრამ წიგნიც (ქართული
რ. ს.) კარგად ესმოდა. იცოდა აგრეთვე ჩვენი ვინაობისა და თავგადასავლის ამბები და
ქადაგებდა, რომ ჩვენ თუ სჯულით მაჰმადიანები ვართ, ტომით, სისხლით და ზორცით
ქართველნი ვართო... აი ამას უხსნიდა და ეუბნებოდა აწ ყველას განსვენებული ხასან
ციციანი“.

სხვათა შორის, ხასან ციციანის შესახებ ცნობებს შევხვდით ცნობილი ქართველი
მწერლის სოფრომ მაგლობლიშვილის მოგონებებში. იგი ეხება ქართველ მაჰმადიანებთან
ახლო ფურცელაძის ახლო ურთიერთობას. მასთან სახლში ხშირად დადიოდნენ დე-
პუტატი აჭარლები, რომელთაც ა. ფურცელაძე უწერდა თხოვნებს მთავარმართებელთან,
საქველმოქმედო სამმართველოში და სასამართლოშიო.

„თავის სახლში, — წერს ს. მაგლობლიშვილი, — ერთ ნადიმზე ანტონმა ისე მო-
ხიბლა სტუმარი ქართველი მაჰმადიანები, რომ ერთი მათგანი დაემოწაფა მას, მისი ქა-
დაების აღმასრულებელი გახდა, ისწავლა წერა-კითხვა და იქამდე დახელოვნდა, რომ
„ივერიაში“ ათავსებდა წერილებსა აჭარიდან, — ეს იყო ჰასან ციციშვილი“.

როგორც ვხედავთ ხ. ციციანის ეროვნულ გათვითცნობიერებასა და წერა-კითხვის შეს-
წავლაში დიდი როლი შეუსრულებია ანტონ ფურცელაძეს. საყურადღებოა ხ. ციციანას
წერილი, რომელიც გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა გარდაცვალებამდე თვენახევრით
ადრე. მასში განხილულია მაშინდელი საჭირობოტო საკითხი — ქართული წიგნების
გავრცელება და ქართული წერა-კითხვის შესწავლა. ამავე წერილში აღნიშნულია, რომ
აჭარელ ბეგს აბდულ ბეჟანიძეს თავისი შვილებისათვის მასწავლებელი მიუწვევია და
თბილისიდან იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“ გამოუთხოვია, „ქართული წერა-კითხვა, —
წერს ხ. ციციანი, — აქედან ნელ-ნელა ფეხს იდგამს. ახლა იშვიათი არ არის ქართულ
წიგნს შეხვდეს რომელსამე მივარდნილ სოფელში. ამაჲ წინათ გზაშიც კი ვნახე ერთი
მაჰმადიანი ქართველი ყმაწვილი, რომელსაც ქართული წიგნი ჰქონდა და კითხულობდა“
(„ივერია“, 1893 წ. 22 იანვარი).

აჭარაში ხასან ციციანის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მის გარდა-
ცვალებას „ივერიაში“ ზ. ჭიჭინაძემაც მიუძღვნა გულთბილი სტრიქონები.

თუფან შერვაშიძე

აბდულ მიქელაძე დიდად აფასებდა ქედის მაწრის უფროსის მაიორ თუფან შერვა-
შიძის დამსახურებას. მას ახასიათებს, როგორც ღარიბთა ქონაგვს მუშაჯირობის თავგამო-
დებულ მოწინააღმდეგეს, საწყალი ხალხის ჯკუის დამრიგებელს.

„აჭარის უფროსად, — წერს აბდული, — აგერ ოცი წელიწადია, თუფან-ბეგე შერ-
ვაშიძე იმყოფებოდა. იგი მუდამ ღარიბი ხალხის მოსარჩლე და სწორ გზაზედ დამყენე-
ბელი იყო. აქ ყველა მისი მადლობელია, რადგან თუ რაიმე სიკეთე გვჭირს დღეს, ეს
სულ თუფან-ბეგე შერვაშიძის წყალობით. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, იგი
რათ ღირს, რომ მისი რჩევითა და მამაშვილური ღარიბებით, ბევრი აღარ გადასახლდა
ოსმალეთში. ეხლა ამ დალოცვილმა თავისის ნებით სამსახურს თავი დაანება ჩვენში,
რის გამო ჩვენებური ხალხი დიდად სწუხს“ („ივერია“, 1898 წ. 8 ნოემბერი).

თუფან შერვაშიძის მუშაჯირობის საწინააღმდეგო მოღვაწეობას, ღარიბ გლეხობაზე რჩევა-ღარიბების მიცემას და მატერიალურ დახმარებას ეხება ზ. ჭიჭინაძე. მისი თქმით, „თუფან-ბეგ შერვაშიძე იყო დიდი ერთგული თავისი ქვეყნის, მომხრე ქართველ მამადაინთა ცხოვრების და თითქმის მისთვის მებრძოლიც, რომ ქართველი მამადაინთა-ნები ოსმალში სულ არ წასულიყვნენ...“

მე თვით მიცხოვრია ამ პირთან და მინახავს, თუ ეს როგორ არიგებდა მუშაჯიარდ წამსვლელთ, რომ იგინი ოსმალში არ წასულიყვნენ. 1891-92 წლებს ამასთან ცხოვრების დროს მე ვნახე ასეთი მაგალითები... ამავე ბეგმა მიამბო, რომ აყრის და გადასახლების დროს, მე 2000-3000 კაცის შენახვა მისდებოდა, მუდამდღე აჭარაში ფქვილს ვურიგებ-ლი მუქთად და ასე ვაწყნარებდიო. ბეგი მოყვარეა „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის“. (ზ. ჭი-ჭინაძე, ქართველ მამადაინთა გადასახლება ოსმალეთში. მუშაჯირო-ემიგრაცია. თბილი-სი. 1914, წ. გვ. 187, 188).

შაჰირ შერვაშიძე


ქართველი საზოგადო მოღვაწეები აჭარის ადგილობრივ პატრიოტებთან კავშირს აბდულ მიქელაძის მეშვეობით ამყარებდნენ. როგორც ცნობილია, პეტრე უმიკაშვილი კარგად იცნობდა საღორეთელ შაჰირ შერვაშიძეს. 1879 წელს შექმნილი მდგომარეობის გამო შაჰირი, სხვა მუშაჯირებთან ერთად, ოსმალეთში წავიდა, როგორც ჩანს, პ. უმიკა-შვილმა აბდულს თხოვა დაედგინა შაჰირის მისამართი. ეს საჭირო იყო, ჯერ ერთი, ამ-ხანაგური ურთიერთობის გასაახლებლად, მეორეც, მუშაჯირთა შორის ეროვნული თვით-შეგნების შეტანა მოითხოვდა დაინტერესებულ, სანდო და მომზადებულ პიროვნებას. ასეთი სწორედ შაჰირ შერვაშიძე იყო.

აბდული პ. უმიკაშვილს 1888 წლის 11 იანვარს ატყობინებს შაჰირის მისამართს, ამასთან ერთად აცნობებს, რომ ამჟერად აჭარიდან არავინ წასულა და არც ფიქრობენო, მაგრამ ართვინიდან და გონიოდან მიდიან და საშიშია აქაურებიც მოტყუებით არ წაი-ყვანონო.

ამის შემდეგ პ. უმიკაშვილი აბდულის მეშვეობით იმავე წლის 28 იანვარს შაჰირს უგზავნის წერილს, რომელშიც გამოხატულია ადრესატის დიდი ინტერესი ქართული წი-გნებისადმი. „ბატონო შაჰირ-ეფენდი, თუ არ დაგვიწყებათ ჩვენი ერთმანეთის ნახვა ამ ცხრა წლის წინათ აჭარაში ქელაში, მოიგონებთ ამ წიგნის მომწერსა. მე ამ ზაფხულს ვიყავი ბათუმში და მითხრეს, რომ შაჰირ ეფენდი გემდურისო. ქართულის, ჩვენი გურ-ჯიჯას წიგნს არ გვიგზავნისო. სიხარულით მოგართმევდი წიგნსა, მარა თქვენი ადრესი არ ვიცოდი და არც იმედი მქონდა, თუ ქართული წიგნი, მე რომ გასწავლეთ აღარ და-გავიწყდებოდა... თქვენი ადრესი ამ დღეებში მომივიდა! თუ მართლა გნებავთ ქართუ-ლი წიგნი, დიდის სიამოვნებით გამოგიგზავნით, რაც შემეძლება... სასიამოვნო იქნება, რომ აქიდან გასულმა ჩვენმა გურჯებმა თავისი ენა არ დაივიწყონ და წიგნი იცოდნენ; თქვენი კეთილის მონატრე პეტრე უმიკაშვილი“.

(გაგრძელება იქნება)





შესანიშნავი საჩუქარი უძღვნა გამომცემლობა „ხელოვნებას“ მკითხველს — იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ დაისტამბა შვიდ ენაზე (ძველ ქართულ, ქართულ, რუსულ, ლათინურ, ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ გერმანულ ენებზე) და შეიკრა უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულ ერთ დიდ წიგნად, რომლის შემდგენელი და რედაქტორია ოთარ ეგაძე.

„შუშანიკის წამება“ მდიდრულადაა ილუსტრირებული. სასიხარულოა, რომ ცნობილ ქართველ მხატვრებთან — მაშია მაღაზონიასთან, ჯურაბ ნიუარაძესთან, ლევან ცუცქვირძესთან და სხვებთან ერთად „შუშანიკის“ ესპანურ ტექსტს ერთვის ბათუმელი მხატვრის ჯურაბ ზაბაძის რვა ილუსტრაცია, რომელთაგან ერთის რეპროდუქციას „ქოროზის“ მკითხველებს ვთავაზობთ.



ზნეობრივი აღზრდა უპირველესი ამოცანაა

„სწორედ ახალგაზრდობამ უნდა გადაჭრას კომუნისტური საზოგადოების შექმნის ნამდვილი ამოცანა“. — აჰ, ასეთ დიდ მნიშვნელობას აძლევდა ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის პრობლემას. ჩვენი პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას სწორედ ახალგაზრდობასთან მუშაობა წარმოადგენს.

„დარწმუნებული ვარ, რომ დღეს მოზარდ თაობათა იდეურ-ზნეობრივ განვითარებას, გრძნობათა კულტურის აღზრდას, ნაკლები ყურადღება როდი უნდა ეთმობოდეს, ვიდრე მეცნიერების საფუძვლების სწავლებას“. — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. უ. ჩერენცკომ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის საიუბილეო პლენუმზე. პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაჯანსაღების პროცესის დაჩქარებას, რომლის საბოლოო გამარჯვებისათვის საჭიროა მყარი იდეოლოგიური საფუძვლების შექმნა და უზრუნველყოფა, რაც შესაძლებელია მომავალი თაობის და მშრომელთა ზნეობრივ-ეთიკური და ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი სრულყოფით.

ახალგაზრდა თაობის ზნეობრივ აღზრდის საკითხს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტის პლენუმმა, რომელზეც საზვასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შრომით კოლექტივში ახალგაზრდობის ზნეობრივ და შრომით ტრიდიციებზე აღზრდას. მომავალი თაობისათვის ოჯახისა და სკოლის შემდგომ შრომითი კოლექტივი ის გარემოა, სადაც საბოლოოდ ფორმირდება ახალგაზრდა ადამიანის მრწამსი და მსოფლმხედველობა. ამიტომ, დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ახალბედა მუშის დამრიგებელს. ღრმა პროფესიონალიზმის გარდა, იგი დაჯილდოებული უნდა იყოს პედაგოგიურად აღიზნოთ, გაშირიჩიოდეს მორალური სისუფთავით, სიმტკიცით, დიდი ტაქტიკა და ერუდიციით.

საქართველოს კომკავშირის XXXVI ყრილობაზე ამხ. ვ. შევარდნაძემ ასე განსაზღვრა ახალგაზრდობასთან ურთიერთობა: „საჭიროა ახალგაზრდობასთან მუშაობის ახალი მეთოდებისა და ფორმების ძიება. თითოეული პარტიკულარული, თითოეული კომუნისტისაგან მოვითხოვთ, მაქსიმალურ გულაზდილობას და გულწრფელობას კომკავშირელებთან, ქალიშვილებთან და კაბუტებთან ურთიერთობის დროს.

უნდა ვიბრძოლოთ ახალგაზრდა ადამიანების გულისა და გონებისათვის, უნდა ვიმუშაოთ ყოველ ახალგაზრდასთან“. სწორედ ეს საკითხები განიხილება იდეოლოგიის დარგის მუშაკთა რესპუბლიკურ, საკავშირო და მორალურ თათბირ-სემინარებზე, სადაც მეცნიერული თვალთახედვითა და პარტიული პრინციპულობით გაანალიზებულია ახალგაზრდობის ზნეობრივი, მორალურ-ეთიკური და პატრიოტულ-ინტერნაციონალური აღზრდის ურთულესი პრობლემები.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მშრომელთა ზნეობრივი აღზრდისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „მავნე ტრადიციებისა და

წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ დადგენილებებში აღინიშნა, რომ საზოგადოების ერთ ნაწილში ჯერ კიდევ გვხვდება წვრილ-ბურჟუაზიული კერძომესაკუთრული ტენდენციების გამოვლინების შემთხვევები, კერძოდ, შოჩვენებითი ფუფუნებისა და მატერიალური კეთილდღეობის დემონსტრაცია, ნივთის ფეტიშიზმი, სტუმრის კულტი და მასთან დაკავშირებული სუფრისა და ღვინის კულტი, ბედოვლათობა, უპირო ხელგაშლილობა და ა. შ. ამ მოვლენებს ეროვნული ტრადიციების უკან ამოფარებული კუთხური შეზღუდულობა და საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საშიშროო ცრუ პატრიოტიზმის ნიშან-თვისებები მოჰყვა, ოც პროცენტიალიზმის და მეშინაობის საფუძველია. ყოველივე ეს უმძიმეს ზიანს აყენებს უპირველესად მომავალი თაობის და, საერთოდ, საზოგადოების ზნეობრივ-ეთიკურ ზრდას. ჯერ კიდევ 1920 წელს ვ. ი. ლენინი წერდა: „ძირითად ამოცანას უნდა შეადგენდეს ის, რომ დახმარება გაეწიოს მშრომელი მასების აღზრდა-განათლებას, რათა დაძლეულ იქნას ძველი წყობილებისაგან გამეფიქრობილი გადმოცემული ძველი ზნე-ჩვეულება“!...

აქედან გამომდინარე, უნდა გაძლიერდეს ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების, ახალგაზრდებში მისი გავრცელების წინააღმდეგ. ბურჟუაზიულ იდეოლოგიას უნდა დაუბრისპიროთ კომუნისტური იდეალების, სოციალისტური წყობილების დიდი უპირატესობების, მისი ზემანხედების პროპაგანდა, ეს კი თავისთავად ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდას, მათ შორის პარტიულ-ინტერნაციონალური მსოფლმხედველობის დამკვიდრებას. საკავშირო კომკავშირის მესამე ყრილობაზე 1920 წელს ვ. ი. ლენინი თავის გამოსვლაში მოუწოდებდა ახალგაზრდობას რომ ებრძოლა „ბურჟუაზიის წინააღმდეგ იდეური გზით, აღზრდის გზით, რათა ის ზნე-ჩვეულებანი, ჩვევანი და რწმენანი, რომლებსაც მუშათა კლასი მრავალი ათეული წლის მანძილზე ამუშავებდა... მშრომელთა აღზრდის იარაღი გახდეს“.

საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე, რომელიც მიემდგნა სკვპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, ამხ. ე. შევარდნაძემ მართებულად შენიშნა, რომ „პროცენტის აღზრდა, ადამიანის აღზრდა ოჯახში, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში, საბავშვო ბაგაში, საბავშვო ბაღში იწყება და ინტენსიურად გრძელდება საშუალო სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, შრომით კოლექტივში“ როგორც კრებაზე აღინიშნა, ჯერ კიდევ არიან მასწავლებლები, რომლებიც თავს არიდებენ სასწავლო პროგრამის ღრმად გაშუქებას და ამის გამო სტუდენტობას ეკარგება სწორი ორიენტაცია, რაც საბოლოოდ დიდ ზიანს აყენებს როგორც მათ ზნეობრივ აღზრდას, ასევე ახალგაზრდობის ინტელექტუალურ და ფიზიკურ განვითარებას. საჭიროა სკოლამდელი აღმზრდელობითი დაწესებულებები, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები დაკომპლექტდეს ზოლოდ სპეციალური განათლების, კრუდობიერების, ჰამეცნიერთა კვალიფიკაციის მქონე, შინაგანი კულტურით მდიდარი და პედაგოგიური ალღოთი დაჯილდოებული აღმზრდელ-პედაგოგებით.

ერთზე დაშვებული შეცდომა ადამიანის აღზრდაში უდიდეს ზიანს აყენებს საზოგადოებას. დიდი ოუსი პედაგოგი ა. შაკარენკო თავის „პედაგოგიურ პოეზიაში“ სწორედ ამას უსვამდა ხაზს და ურჩევდა აღმზრდელ-პედაგოგებს ფრთხილად მოკიდებოდნენ მომავალი თაობის აღზრდას. მათ პედაგოგიურ ალღოზე, პროფესიონალიზმზე, ეროვნული დამოკიდებული საზოგადოების განვითარების ბედი, ვინაიდან ისინი „უმზა-

დებენ“ საზოგადოებას დადებითი თუ უარყოფითი ჩვევებით „შემზადებულ“ მომავალ თაობას.

სკკა XXVI ყრილობამ ოჯანისა და სკოლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აზროვნად დასახა „მშრომელთა, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობის შეგნებაში საბჭოთა პარტიის რიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეების დანერგვა“. პარტიის ამ მითითებებიდან გამომდინარე, საჭიროა მტკიცე ურთიერთკავშირის დამყარება ოჯახსა და სკოლას შორის, რომ აღიკვეთოს დასავლობი და გასაკიცხი ნაელი — ეგოიზმი, რომელიც დამღუპველი მანკიერებაა განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდის სფეროში. თითოეული მშობლის ვალია ინტელექტუალური, ზნეობრივად სრულყოფილი და ინტერნაციონალური მსოფლმხედველობით ახალგაზრდობის აღზრდისათვის ზრუნვა. მხოლოდ ამ მოვალეობის შესრულების შემდეგ შეიძლება ჩაიოვალოს მოქალაქე, მშობელი საზოგადოების ნამდვილ წევრად.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ჩვენს საბჭოთაო მწერლის ნოდარ დუმბაძის შეხედულება მშობლის, საერთოდ, ოჯახის როლის მნიშვნელობაზე და გავლენაზე ახალგაზრდის შრომის, მსოფლმხედველობისა და ზნის ჩამოყალიბებაში, რომელიც მან გახვითი „იზვესტიის“ კორესპონდენტს გაუზიარა. მწერლის შენიშვნით, „არის ოჯახები სადაც ვითარება არცთუ ძალიან უწყობს ზელს ნორჩი მოქალაქისათვის ამოღებული ზნეობრივი თვისებების ჩანერგვას. მე, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს ოჯახები, სადაც დედა თუ მამა თაღლითობს, სპეკულანტობს, ქურდობს. ასეთ მშობლებს ხშირად აღზრდა ისა ჰგონიათ, რომ ბავშვს ფული და მანქანა არ მიაკლონ. ზოგიერთ მათგანს კარგი განათლება აქვს, უცხო ენებიც იციან, მუსიკაც ეხერხებათ, ინტელექტუალურ კაცად გეჩვენებათ, მაგრამ მათი ცხოვრების ყაიდა ინდივიდუალურია, გამოშვევია. ასეთები ცოტაა, მაგრამ საშიში არიან არა თვითონ, არამედ თანატოლებზე გამხრწნელი გავლენით“. მწერლის ეს შეხედულება ზუსტად ასახავს მშობლის გადამწყვეტ როლს და მნიშვნელობას ახალგაზრდობის ზნეობრივი ჩამოყალიბების პროცესზე. ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად და დროულად გვჩვენებთ ამ ბოლო დროს დღის წესრიგში დაყენებული საკითხი. მშობლის პასუხისმგებლობის გაზრდის შესახებ ახალგაზრდობის უზნეო, ანტისაზოგადოებრივ ქმედობასა თუ დანაშაულებზე.

მშობლის ზრუნვისა და მომავალი თაობის სწორ ზნეობრივ აღზრდას ეხება აკაკი წერეთელი 1905 წელს დაწერილ ლექსში „ანდერძი ჩემს შვილს“. მგოსანი მშობლის პოზიციიდან შთააგონებს მომავალ თაობას, რომ:

მარტო შენს თავზე ნუ ზრუნავ,
ჩნებშიც გახსოვდეს მარად,
შრომა აიღე მახვილად
თა მოთმინება თარადა!

თი ეს არის ამ ქვეყნად
შეება და ბედნიერება
თა უკვდავების მარადი
უქნობი მშვენიერება!

ლიტერატურას და ზელოვსებას ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღევანდელ ეტაპზე. ქართველმა მწერლებმა ამ პრობლემას ბევრი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები მიუძღვნეს. გაიხსენოთ თუნდაც მურმან ლე-ბანიძის ლექსი „ახალგაზრდობას“.

...ნა დადგებიო — გაკვალულ ხნულებს
ნუ დაცხრებიო — ცხოვრებას იოლს!
ჩემი რჩევა, საყვარლებო, მამულში გადიო.
აშენეთ დაბა-ქალაქები, ჩადექით ხნულში.
ხალხის შვილები — ხალხთანვე დარჩით!



ქართულმა მწერლობამ აქტიურად ეჭმადურება ჩვენი საზოგადოების სულიერ მო-
ახოვნისკენ, რომლის ძირითადი მიზანია მომავალი თაობის სწორი ზნეობრივი აღზრ-
და და თანამედროვე ეტაპზე ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ დაუწ-
დომელი ბრძოლა.

მომავალი საზოგადოების მოცულობით აქტიური და ზნეობრივად სწორი აღზრდა განვი-
თარებული სოციალისტური საზოგადოების იდეოლოგიურ მუშაობის ერთ-ერთი ძირითა-
დი პრობლემატური საკითხია. მას ეძღვნება ბევრი საერთაშორისო, საკავშირო და რეს-
პუბლიკური სიმპოზიუმები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, თათბირ-
სემინარები, რომლებზედაც განიხილება ზნეობრივი და პატრიოტულ-ინტერნაციონალუ-
რი აღზრდის მეთოდები, დგინდება კრიტერიუმები და მუშავდება მეცნიერულად განა-
ლიზებული სამოქმედო-სახელმძღვანელო რეკომენდაციები. როგორც ზემოთ აღვნიშ-
ნეთ, ზნეობრივი აღზრდის მეთოდების შემდგომი სრულყოფისა და გაუმჯობესებისათ-
ვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის,
პლენუმი, რომელმაც ღრმა მეცნიერული შეფასება და თეორიული განზოგადება მის-
ცა მომავალი თაობის ზნეობრივ აღზრდას და დასახა მთელი რიგი პრაქტიკული რეკო-
მენდაციები ამ სფეროში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელ ზრუნვას მომავალი
საზოგადოების ზნეობრივი და იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის მოწმობს ზოგადსაგანმანათ-
ლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა. სასკოლო რეფორმაში ჩამოყალიბებულ
დებულებები სამოქმედო პროგრამა ახალგაზრდობისა, როგორც პროფესიული, ასევე
ზნეობრივი და პატრიოტულ-ინტერნაციონალური აღზრდის უმნიშვნელოვანეს და ურ-
თულეს სფეროში.

ლევან კალანდარიშვილი.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

პეპელიშვილის პედაგოგიკა

პეპელიშვილთან სოფელი ბევრია უკრაინაში, მაგრამ დღეს ამ სოფელს კარგად იც-
ნობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. სსრ კავშირის
პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სოციალისტური შრო-
მის გმირი, უკრაინის სსრ დამსახურებული მასწავლებელი, პეპელიშვილის საშუალო სკოლის
ყოფილი დირექტორი ვასილ ალექსანდრეს ძე სუხოშინსკი აქ ცხოვრობდა და მოღ-
ვაწეობდა თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, აქვე დაწერა მან თავისი საქ-
მეწიერად განთქმული წიგნები „გულს ვუძღვნი ბავშვებს“, „მოქალაქის დაბადება“,
„როგორ აღვზარდოთ ნამდვილი ადამიანი“, „შრომისადმი კომუნისტური დამოკიდე-
ბულების აღზრდა“, „საუბარი სკოლის ახალგაზრდა დირექტორთან“, „პეპელიშვილის საშუ-
ალო სკოლა“, „მოსწავლის სულიერი სამყარო“, „გვერდით ადამიანისა“, „კოლექ-

ტივის აღზრდის მეთოდთა, „მშობელთა პედაგოგიკა“, „ახალგაზრდა თაობის ზნეობრივი იდეალი“ და მრავალი სხვა. ავტორის სიცოცხლეში გამოიცა 36 წიგნი, ამჟამად კი გამოცემულია მისი 45 ნაშრომი. გარდა ამისა, ვ. სუხომლინსკიმ უკრაინულ, რუსულ და უცხოურ ენებზე გამოაქვეყნა 500-მდე საგაზეთო და საჟურნალო სტატია, ვალდის ცვალა იგი 52 წლის ასაკში თავისი შემოქმედებითი ნიჭის გაფურჩქვნის პერიოდში.

ცენტრალურ გზასთან დგას ძველი აგურის ორსართულიანი შენობა. აქვეა რამდენიმე ასეთივე მომცრო სახლი, მახლობლად კი განლაგებულია სახელოსნო, საყვავილე, საფუტრე, საცდელი ნაკვეთი, დიდი ხეხილის ბაღი, რომელსაც რამდენიმე პექტარი უჭირავს და სხვ. ესაა მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული პავლიშის საშუალო სკოლა. ამ სკოლაში 22 წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ვასილ სუხომლინსკი. იგი დაიბადა 1918 წლის 28 სექტემბერს. მამამისს — სოფლის კოლმეურ-ჩეობის პირველ თავმჯდომარეს ალექსანდრე სუხომლინსკის ოთხი შვილი ჰყავდა (3 ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი) და ოთხივემ პედაგოგის პროფესია აირჩია.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვ. ა. სუხომლინსკი სწავლას აგრძელებს კრემენჩუგის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც სოფელ პავლიშიდან სულ რაღაც 60 კილომეტრითაა დაშორებული, მაგრამ მესამე კურსიდან, სუსტი ჯანმრთელობის გამო, გადადის პოლტავის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე და მუშაობას იწყებს სოფელ ვასილიევკის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად, სადაც აღრე თვითონ სწავლობდა.

1939 წელს ვასილ სუხომლინსკიმ ინსტიტუტი დაამთავრა, მომდევნო წელს კი დაოჯახდა. მეუღლე ვერა პეტრეს ასულიც პროფესიით პედაგოგი იყო. ჩვენი ვაჟი-რებდით ერთ სკოლაში მუშაობის დაწყებას, — იგონებს ვ. სუხომლინსკი, — ახალგაზრდები ვიყავით და მომავლის იმედით აღსავსენი. ჩვენი იმედები ომმა დაამსხვრია... მაშინ ვერავინ ვერ წარმოიდგენდა, რომ ხუთი კვირის შემდეგ დნებრის ნაპირებზე ფაშისტები მოვიდოდნენ... სოფელი, სადაც თავის მშობლებთან ცხოვრობდა ცოლი, ფაშისტებმა დაიპყრეს. ცოლი ორ დობილთან ერთად აგრცელებდა ფურცლებს, მაღავდა ტყვეობიდან გამოქცეულ საბჭოთა ჯარისკაცებს, იარაღს... ვერა და მისი ორი დობილი გესტაპომ დააპატიმრა...

დილეგში ვერამ ვაჟი შვა. ფაშისტებმა... საშინელი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს. აი, უკვე ოცდახუთი წელია გული სიმწრით მეწურება, როცა უეცრად წარმოვიდგენ, რაც ფაშისტურ დილეგში მოხდა. ბავშვი, რომელიც რამდენიმე დღის იყო, ფაშისტმა ოფიცერმა ცოლთან მიიყვანა და უთხრა: თუ არ დასახელებს ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, ბავშვს დახვრეტო, და დახვრიტა. ვერას კი თვალები დათხარეს, შემდეგ იგი ჩამოახრჩეს საპყრობილეს ეზოში. ეს სწორედ მაშინ მოხდა, როცა ფრონტზე ვიბრძოდი, მძიმედ დაჭრილი ვიყავი“... ჰოსპიტალიდან გამოსვლის შემდეგ ვ. სუხომლინსკი ინიშნება ქალაქ უვის მუშათა დასახლების საშუალო სკოლის დირექტორად, ორი წლის შემდეგ ბრუნდება გერმანელებისაგან განთავისუფლებულ უკრაინაში და ინიშნება ონუფრეივის განათლების განყოფილების გამგედ, ბოლოს კიროვოგრადის ოლქის პავლიშის საშუალო სკოლის დირექტორად, რომლის უცვლელი ხელმძღვანელი იყო სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. ომისდროინდელმა კრილობებმა, დაუღალავმა შრომამ უდროოდ გატეხა ვ. სუხომლინსკის ჯანმრთელობა. გარდაიცვალა 1970 წლის 2 სექტემბერს საოპერაციო მაგიდაზე.

პავლიშის საშუალო სკოლის დირექტორობის პერიოდში გამომქლავნდა ვ. სუხომლინსკის დიდი პედაგოგიური ნიჭი. სწორედ აქ გადაწყვიტა მან ემოღვაწა პედაგოგიის თეორიაში. ადრე კი გატაცებული იყო ლიტერატურით, წერდა და აქვეყნებდა ლექსებს, მოთხრობებსა და ზღაპრებს.

პირველ პედაგოგიურ სტატიებსა და წიგნებს ავტორისათვის დიდი წარმატებები

არ მოუტანია. პირიქით, მას ბევრი მოწინააღმდეგე გაუჩნდა, რომლებიც უწყუნებდნენ უკომფლიტობას, „ვარდისფერი სათვალეებით“ სინამდვილის კერატას. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც კარგად ამჩნევდნენ ვ. სუხომლინსკის დიდ პედაგოგიურ, ბუნებით მომადლებულ ნიჭს.

მალე ვ. ა. სუხომლინსკის სახელი პოპულარული ხდება. 1957 წელს მას ირჩევენ რსტსრ პედაგოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1968 წლიდან კი სსრ კავშირის პედაგოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ამავე წელს მას ენიჭება სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. მას არაერთხელ გზავნიან კუბაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბულგარეთში, უნგრეთში და სხვა ქვეყნებში, სადაც გამოდიოდა ლექციებითა და მოხსენებებით. ვ. სუხომლინსკის იწვევენ ოდესის, როსტოვის, კიროვოგრადის, პოლტავისა და სხვა პედაგოგიური ინსტიტუტები, მაგრამ იგი აწვობინებს სოფლად დარჩენას, წერს და აქვეყნებს სტატიებსა და წიგნებს.

ვ. სუხომლინსკის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში მთავარი ადგილი უჭირავს მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საკითხებს. დიდ პედაგოგს ღრმად სწამდა აღზრდის სიკეთე და უძლეველობა. სწამდა, რომ გაცილებით ადვილია ბავშვი შეაჩვიო სიკეთეს, ჩაუწერგო ადამიანური გრძნობები, ვიდრე დიდები გადააჩვიო ბოროტებას, რამეთუ იგი უკვე სისსლსა და ხორცში აქვთ გამჯდარი. ამიტომ გამოცდილი პედაგოგი ცდილობდა ბავშვებში პატარაობიდანვე, სკოლაში შესვლის პირველი დღეებიდანვე, ჩაენერგა პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობა, სხვისი სამსახური, სხვათა სიკეთისათვის ზრუნვა; ესაუბრებოდა პატარებს სიკეთესა და ბოროტებაზე, სინდისსა და კაცურ კაცობაზე, უღვივებდა სხვის თვალებში ურვის, შეშფოთების, წყენის, მარტოობის ამოკითხვის უნარს, ზრდიდა მათში მამისა და პაპის კოყრიანი ხელების პატივისცემის გრძნობას. ამ პრობლემას იგი განიხილავდა პიროვნების ფორმირების მთლიან პროცესთან მჭიდრო კავშირში. მისი გადაჭრა სახელოვან პედაგოგს შეუძლებლად მიაჩნდა ადამიანში შრომისმოყვარეობის, პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის, ნებისყოფისა და ზნისათვის სიმტკიცის, გამბედაობისა და სიამაყის გრძნობის აღზრდის გარეშე.

ვ. სუხომლინსკი არაერთხელ მიუთითებდა, რომ არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა დარგის სპეციალისტი გამოვა ჩვენი აღსაზრდელი — ექიმში თუ ინჟინერი, პედაგოგი თუ აგრონომი, პოეტი თუ მხატვარი, მთავარია იყოს სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი, კეთილშობილი მოქალაქე, რომელიც არა მარტო ძალასა და ენერგიას, არამედ, თუ საჭირო დარჩა, სიცოცხლესაც კი არ დაიშურებს რათა დედა-მამაზე მოისპოს სოციალური უსამართლობა, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, გულგრილობა და ძალმომრეობა.

ჩვენი საზოგადოება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა ჩვენს პატარებს ბედნიერი ბავშვობა ჰქონდეთ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბავშვი მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდეს, მარტო საკუთარი მოთხოვნილებებისათვის იბრძოდეს. იგი უნდა იყოს სხვათა მწუხარებისა და ტანჯვის მოზიარე, სხვათათვის სიხარულისა და ბედნიერების მომტანი. ადამიანი სხვისი ძმა და მეგობარი შეიძლება გახდეს მხოლოდ მაშინ, როცა სხვისი უბედურება მის პირად უბედურებად იქცა. თუ ბავშვი პატარაობიდანვე იგრძნობს, რომ მის გვერდით ადამიანები არიან, რომლებსაც საკუთარი საქმიანობით სიხარული უნდა მიაწიოს, გაუთბოს გული და ამქვეყნიური ცხოვრების სილამაზე განაცდივინოს, იგი შეეჩვევა საკუთარი სურვილების ადამიანთა ინტერესებთან შეხამებას.

ადამიანურ ურთიერთობათა რთულ სამყაროში ბავშვის შეყვანა, მისი გარკვევა ადამიანთა შორის ცხოვრების საიდუმლოებათა ლაბირინთებში ვ. ა. სუხომლინსკის მიაჩნდა აღზრდის ერთ-ერთ ძირითად და ამავე დროს ურთულეს ამოცანად. ბავშვმა ამ ქვეყნად მოვლენის პირველი დღეებიდანვე უნდა შეიგრძნოს, რომ გარემომცველ სამ-

ყაროში ყველაზე ძვირფასი კაპიტალია ადამიანი, „ადამიანი ყველა თავისი სირთულეთა და მწუხარებით“. საბჭოთა ადამიანი, რომელსაც ჩვენ ვზრდით, არ იქნება სრულყოფილი და სრულქმნილი, თუ მისი გული სიკეთით სავსე და ბოროტებისადმი შეუჩინებლობის გრძნობით არ არის გამთბარი, თუ მის ყოველ მოქმედებაში არ გამოისახება მისი სიკეთისადმი ღვაწლი. „ბავშვი შეიძლება იყოს დისციპლინის, შემსრულებლის, წესიერი, შრომისმოყვარე, მაგრამ თუ მისი გული ამხანაგების მწუხარებას, შემფოთებას არ ეხმაურება, თუ მზად არ არის თავისი კეთილდღეობა შესწიროს სხვა ადამიანს, სამშობლოს, — მთელი მისი ღირსება გროშადაც არ ღირს“, — გვასწავლის ვ. ა. სუხომლინსკი.

„ახუჯე ადამიანებს სიხარული“, — ასეთია კომუნისტური აღზრდის, სოციალისტური ჰუმანიზმის ძირითადი პრინციპი.

მაგრამ, სწამწხაროდ, ყველას როდი აქვს მომადლებული უნარი — მიანიჭოს სხვას სიხარული, გაუთბოს გული და ამქვეყნიური ცხოვრების სიტკბო-სიხარული განაცდევინოს. ეს იმიტომ, რომ თავის დროზე მას ასეთი თვისებები არ ჩაუნერგეს არც ოჯახმა და არც სკოლამ.

ცნობილია, რომ ისეთი ბავშვისაგან, რომელსაც არ გააჩნია მუსიკის, მხატვრობის ან პოეტობის თანდაყოლილი ნიჭი, შეუძლებელია დიდი მუსიკოსის, მხატვრის ან პოეტის აღზრდა, მაგრამ გულკეთილად აღიზრდება ნებისმიერი ადამიანი, თუ მის აღზრდას აღრეული ასაკიდანვე შევუდგებით, გვასწავლის ვ. სუხომლინსკი. აღზრდას კი საფუძველი ოჯახში ეყრება. ბავშვის პირველ წიგნს, მისი ზნეობრივი აღზრდის პირველ სახელმძღვანელოს ოჯახი წარმოადგენს, რადგან დროის უმეტეს ნაწილს იგი ოჯახში, მშობლებთან ატარებს. ამ საქმეში ვ. სუხომლინსკი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლების პირად მაგალითს, მათ ურთიერთდამოკიდებულებას, მათ დამოკიდებულებას სხვა ადამიანებისადმი.

თუ გვინდა, რომ ჩვენი შვილები ნამდვილ ადამიანებად იზრდებოდნენ, გვიჩვენებს ვ. სუხომლინსკი, უნდა დავივიწყოთ მათთვის უზრუნველ ბავშვობაზე ფიქრი. ცხოვრება ყრმობისა და ადრეული სიჭაბუკის პერიოდში წარმოუდგენელია შრომის გარეშე, ფიზიკური და სულიერი ძალების დამაბვის გარეშე. ამიტომ ღრმად სცდებიან ის მშობლები, რომლებსაც მზე და მთვარე ამოსდით თავიანთ შვილებზე, ნიავსაც კი არ აკარებენ მათ, ექმნიან უზრუნველ ცხოვრებას — ყველაფერს აძლევენ და არაფერს არ მოითხოვენ მათგან. ასე გაზრდილი ბავშვისათვის ცხოვრების პრინციპად იქცევა ველური დევნიზი — „ჩემთვის ნებადართულია ყველაფერი, არავისთან და არაფერთან არა მაქვს საქმე, მთავარია ჩემი სურვილი“. ასე ხდება იგი თავისი სურვილების მონა, შემდეგ კი — „სულით ზორცამდე ეგოისტი“, დესპოტი, რომელსაც არავინ და არაფერი არ ახსოვს, გარდა საკუთარი თავისა. ასეთ ვაი-შვილს ეჩვენება, რომ მამა და დედა იმიტომ არსებობენ, რომ მას ემსახურონ და თუ თვითონ ვინმეს წინაშე ვალშია, არ ჰგონია.

ეს რომ ასე არ მოხდეს, გვასწავლის ვ. სუხომლინსკი, ბავშვებს პატარაობიდანვე უნდა გაუღვივოთ კეთილი გრძნობები, ვინაიდან, მისი აზრით, „კეთილი გრძნობები სინდისის ერთგული დარაჯია“. ეს გრძნობები კი ბავშვს პირველად უნდა გაუჩნდეს თავისი ოჯახის წევრების, ახლობლების, განსაკუთრებით კი დედის მიმართ, ვინაიდან „ადამიანურობას ვერ აღვზრდით, თუ გულში ახლობელი, ძვირფასი ადამიანის სიყვარულმა არ დაიბუდა“. ამიტომ იყო, რომ ვ. სუხომლინსკიმ თავის სკოლაში წიგნის კულტთან ერთად გაამეფა დედის კულტი. „დედა, გახსოვდეს, რომ შენ უპირველესი აღზრდელი ხარ. შენზეა დამოკიდებული საზოგადოების მომავალი“. „დედის გარეშე არ არსებობს არც პოეტი და არც გმირი“. ასეთი ღოზუნგებითა და მოწოდებებით ჰქონდა ატრელებული ვ. ა. სუხომლინსკის სკოლის კედლები. დაწყებით კლასებში მასწავლებლები

ეკითხებოდნენ მოსწავლეებს: „ვინ არის ყველაზე უკეთესი ადამიანი?“ და ისმოდა ერთ-ხმად მხიარული, შეწყობილი ხმა — „დედა“.

დედის სიყვარული ბავშვებმა უნდა გამოწაფონ მისდამი ზრუნვაში, ვინაიდან ბავშვი სხვის უნაზეს განცდებს მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა თვითონ ატეხებს რაიმეს ადამიანთა ბედნიერების, სიხარულისა და სულიერი სიმშვიდისათვის. ამასაკენ გული განსაკუთრებით მგრძნობიარეა ადამიანური ტანჯვის, მწუხარებისა და მარტოობის მიმართ „დაე ცხრა წლის ვაჟიშვილმა ღამე უძილოდ გაატაროს ავად გამხდარი დედის თუ მამის ლოგინთან, დაე სხვისმა ტკივილმა ადავსოს მისი გულის ყოველი კუნჭული“, — გვასწავლის ვ. სუხომლინსკი.

მოსწავლეთა სულის გაფაქიზების, მათში კეთილშობილი ადამიანური გრძნობების გაღვივების მიზნით ვ. სუხომლინსკი ახვედრებდა თავის აღსაზრდელებს პარტიზანებს, რომელთა ოჯახები ცეცხლს მისცეს ფაშისტებმა, დამწუხრებულ დედებს, რომელთა შვილები გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე, მარტოდმარტო დარჩენილ მოხუცებს და ა. შ.

ასე უნდა გადავუშალოთ ბავშვს ნორჩი გული სიკეთისადმი. შემდეგ უნდა გამოვუქუშაოთ მას ბუნებაში სილამაზის, მშვენიერების დანახვის უნარი. სწორედ ამ მიზნით ეწყობოდა პავლიშის საშუალო სკოლაში მრავალრიცხოვანი ექსკურსიები ბუნებაში.

პატარები თავიანთ საყვარელ მოსწავლეებლებთან ერთად დადიოდნენ ტყეში, მინდორში, მდინარის პირას, სადაც ისინი უსმენდნენ ბუნების მუსიკას — ხეთა შრიალს, ჩიტების ჭიკჭიკს, კალიების კრუტუნს. აკვირდებოდნენ მზის ამოსვლასა და ჩასვლას, ვარსკვლავების ციმციმს ჰიანჰველების ფუსფუსს, აგროვებდნენ ღამაზ-ღამაზ ფოთლებს, შემდეგ კი თავიანთი შთაბეჭდილებები და განცდები გადაჰქონდათ სახატავ რვეულებში ან პატარ-პატარა, მინიატურულ ზღაპრებსა და მოთხრობებში.

მშობლიური ბუნების სილამაზე ბავშვებში ბედნიერ-ცოცხალი არსებისადმი მზრუნველ დამოკიდებულებას, რაც, ვ. სუხომლინსკის აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ბავშვებში ჰუმანური გრძნობების აღზრდისათვის. გულკეთილობა, სიბრალული და თანაგრძნობა ბავშვმა უნდა ისწავლოს ასევე შინაური ცხოველებისადმი, მზრუნველობით, ფრინველებისა და ყვავილენის მოვლა-შეკრთობით. ეს ნაწარმოები და რთული საქმეა. ძნელია პატარას ჩაუწერგო, რომ ყვავილი უნდა უყვარდეს, არ მოწყვიტოს, არ გათელოს იგი, „იმიტომ, რომ მასაც ტკივა“, მაგრამ სავსებით შესაძლებელია აღზარდო მასში გულკეთილობის გრძნობა, თუ ბავშვს პატარაობიდანვე შეეაყვარებთ ცოცხალ არსებას, ჩაუწერგავთ მათი მფარველობის გრძნობას, ვასწავლით მათდამი ზრუნვას. რაც უფრო ძლიერი იქნება ბავშვში ეს გრძნობა, მით უფრო სიკეთისათვის თავდადებული მებრძოლი იქნება იგი, მით უფრო აქტიური იქნება ცხოვრებაში. რეაგირების ვარჯიშე არ უნდა დაეტოვოთ ბავშვობის ასაკში ცოცხალი არსების მიმართ უსულგულო დამოკიდებულების არც ერთი შემთხვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზოგიერთის აზრით, ეს წერილმანი შემდგომში უარყოფით ქცევაში გადაიზრდება და მსხვილმანად იქცევა.

მოსწავლეთა სოციალისტური ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად ვ. სუხომლინსკის ასევე მიაჩნდა მათში მოვალეობის გრძნობის აღზრდა, საზოგადოების საკეთილდღეო შრომა. ადამიანს პატარაობიდანვე უნდა ჩაეუხერგოთ რწმენა, რომ ამ ქვეყნად ის მარტო არ არის, რომ ის თავისი მშობლების, საზოგადოების, თავისი ერისა და ქვეყნის შვილია და დაბადებიდანვე არა მარტო უფლებები დაჰყვა თან, არამედ მოვალეობებიც დაეკისრა. ესაა მოვალეობა ერის, ქვეყნისა და ხალხის წინაშე, თავისი ადამიანური არსის წინაშე. მოსწავლე ახალგაზრდობას ვ. სუხომლინსკი ასწავლიდა, რომ არაა საკმარისი ამაყოფად სამშობლოს ღამაზი მთაველით, სიტყვით ქადაგებდნენ სამშობლოს სიყვარულს და არაფერს აკეთებდნენ მისი კე-

თილდგეობისათვის. ნამდვილი პატრიოტი მხოლოდ ის არის, ვინც ყამირს ტებს, ნერგებს ახარებს, ფოლადს აღნობს, გაჰყავს გაუყვალავი გზები, ხნავს და თესავს, — ქმნის მატერიალურ და სულიერ დოვლათს. ავითარებდა რა დიდი საბჭოთა პედაგოგის ა. მაკარენკოს იდეებს, ვ. სუხომლინსკიმ შეიმუშავა აღზრდის ერთიანი სისტემა, რომელშიც შრომას წამყვანი ადგილი უჭირავს. მისი აღსაზრდელები აშენებდნენ საყვავილეს, გამოყავდათ ნაყოფის მომცემ ხეთა ნერგები, მეურნალობდნენ დაჭრილ ფრინველებსა და ცხოველებს, აშენებდნენ „დედის ბაღს“, მასში მიღებული პირველი ნაყოფი კი მიჰქონდათ დედასთან, რათა ნაწილობრივ მაინც აენახლათ რეზინათ ის ზრუნვა, რასაც იგი მათდამი იჩენდა. ვ. სუხომლინსკი სკოლაში მიღების პირველი დღეებიდანვე ასწავლიდა ბავშვებს, რომ სიცოცხლის აზრი საზოგადოების საკეთილდღეო შრომაშია, რომ არ შეიძლება ცხოვრობდე საზოგადოებაში და იყო საზოგადოებისაგან თავისუფალი, ზრუნავდე მხოლოდ საკუთარ თავზე.

მასწავლებლის ნათელი, ემოციური სიტყვა ვ. სუხომლინსკის მიაჩნდა აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად. ამასთან დიდი პედაგოგი გვაფრთხილებდა, რომ მასწავლებლის განკარგულებაში მყოფი „სიტყვა არის არა მარტო ყველაზე მძლავრი, არამედ ასევე ყველაზე რთული იარაღი“. იგი უნდა იყოს შინაარსობრივად მდიდარი, ენობრივად და ლოგიკურად გამართული, გულში ჩამწვდომი, საუბრისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ბატარები აზროვნებენ კონკრეტული სახეებით. ამიტომ ხშირად უნდა მოვიშველიოთ მათთვის ნაცნობი, სკოლის, სოფლის ან ქალაქის ცხოვრებიდან აღებული მაგალითები. ხელიდან არ უნდა გავუშვათ არც ერთი შემთხვევა, რომელიც შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული მოსწავლეებში ჰუმანური გრძნობების გამოუმუშავების მიზნით.

ა. მაკარენკო აღნიშნავდა, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს ერთადერთი სპეციალობა — ის უნდა იყოს დიდი ადამიანი, ნამდვილი ადამიანიო. სწორედ ასეთი ნამდვილი ადამიანი იყო ა. მაკარენკოს მოწაფე და თანამოაზრე ვასილ სუხომლინსკი. „ვერავენ მაძულებს უარი ეთქვა რწმენაზე; საბჭოთა სკოლაში მთავარი საგანი უნდა იყოს ადამიანთმცოდნეობა“, — აღნიშნავდა იგი და აფრთხილებდა ყველას, ვისაც სურს ასწავლოს ბავშვებს: შენს წინაშე უნდა ხედავდე არა მოსწავლეს, არამედ უპირველეს ყოვლისა ადამიანს. ბავშვებზე უნდა ვმსჯელობდეთ არა ცოდნის მიხედვით, არამედ მათი აღზრდილობის მიხედვითო“.


ადამიანის, ბავშვის მხურვალე სიყვარული წითელ ზოლად გასდევს ვ. ა. სუხომლინსკის მთელს პედაგოგიურ მოძღვრებას. — რა არის ყველაზე მთავარი ჩემს ცხოვრებაში? — სვამდა იგი კითხვას და თვითონვე პასუხობდა: — ბავშვების სიყვარული. ამ სიტყვებს იგი განუხრელად ასრულებდა ცხოვრებაში.

როგორც დაეინახეთ, ვ. სუხომლინსკის მთელი პედაგოგიური მემკვიდრეობა გამსჭვალულია ადამიანში ადამიანურობის აღზრდის იდეით. მისი დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან პედაგოგიკის კლასიკოსების შრომებზე დაყრდნობით არა მარტო დაასაბუთა ბავშვებში ჰუმანური გრძნობების აღზრდის როლი და მნიშვნელობა პიროვნების ფორმირების საქმეში, არამედ კიდევაც გვიჩვენა ამ პრობლემის გადაწყვეტის კონკრეტული გზები.

ნოდარ ბასილაძე,

ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის მასწავლებელი.





აფხაზი ხალხის დიდი შვილი

ამ რამდენიმე ხნის წინათ, აფხაზეთში საბჭოთა ლიტერატურის დღეების პერიოდში, ფართოდ აღინიშნა აფხაზი ხალხის ღირსეული შვილის, აფხაზური ლიტერატურის, თეატრისა და აფხაზური მეცნიერების მესაძირკელის დიმიტრი გულიას დაბადების 110 წლისთავი.

დ. გულია ზღვისპირა სოფელ ვარჩაში (ამჟამინდელ გულრიფშის რაიონში) გლეხ-იოსებ გულიას ოჯახში დაიბადა. 1877 წელს სხვა აფხაზებთან ერთად მისი ოჯახი იძულებით გადასახლდა თურქეთში, სადაც ერთი წელიწადი დაჰყო. მაშინ პატარა გარი (დიმიტრი გულიას ბავშვობისდროინდელი სახელია) სამიოდე წლისა იყო. უცხოობის გაჭირვებას, შიმშილობას შეეწირა იოსების ორი შვილი. სამშობლოს სიყვარულმა ისევ საქართველოსაკენ მომავალ გზას გამოუყენა იოსებ გულიას ოჯახი და იგი 1878 წელს ბათუმში ჩამოიღის. აქაური ნაცნობების დახმარებით გულიები აფხაზეთში დაბრუნდნენ, მაგრამ საკუთარ კერაზე დასახლების ნება არ მისცეს და იძულებულნი გახდნენ მეზობელ სოფელ აქუბაში დაბინავებულიყვნენ.

1883 წელს მოხერხდა პატარა დიმიტრის მიბარება იმ დროისათვის სახელგანთქმულ სოხუმის მთიელთა სკოლაში. შეიღს მამის მოლოდინი არ გაუჭილებია და ბევრთად მიჰყო ხელი სწავლას. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ, 1889 წელს, დ. გულია სწავლას აგრძელებს გორის საოსტატო სემინარიაში. მაგრამ მალე, ავადმყოფობის გამო, იძულებულია დროებით დაანებოს თავი სემინარიას და სოფელში დაბრუნდეს. გამოჩანს მრთელობის შემდეგ მომავალ პოეტს ახალი ოაბრკოლება ექმნება: — ლედ-მამა გარდაეცვალა და უმცროსი დაძმაც მისი საპატრონო გახდა. დ. გულია ექსტერნად აბარებს გამოცდებს, ენიჭება სახალხო მასწავლებლის წოდება და იწყებს პედაგოგიურ შრომას. იგი აფხაზურ ენას ასწავლიდა სხვადასხვა სასწავლებელში, მაგრამ ეს არცთუ ისე იოლი იყო: არ არსებობდა სახელმძღვანელოები, დახვეწას მოითხოვდა აფხაზური ანბანი. ამიტომ ახალგაზრდა დიმიტრიმ თავის მასწავლებელთან, ცნობილ ქართველ მხარეთმცოდნე კონსტანტინე მაჭავარიანთან ერთად შეადგინა ახალი ანბანი, რომელიც თბილისში 1892 წელს გამოიცა. ამ დროს დ. გულია, უკვე თხზავდა თავის პირველ ლექსებს: როგორც შემდეგ იგონებდა, ერთხელ კ. მაჭავარიანისთვის ეს ლექსები უჩვენებია. მიუხედავად იმისა, რომ მან არ იცოდა აფხაზური ენა, მომიწონა ისინი და დაბეჭდვით მიიჩნია, გამეგრძელებინა წერათ.

ასე ეყრებოდა საფუძველი დ. გულიას მეგობრობის ქართველ თანამოაზრეებთან.

დ. გულია მასწავლებლობდა სოფლის სკოლებში, სოხუმის მთიელთა სკოლაში, ქალთა გიმნაზიაში, სამასწავლებლო სემინარიაში. იგი მუდამ ხალხში ტრიალებდა, იზიარებდა მის ჭირსა და ღმირს. სწორედ ამ პერიოდში გაუჩნდა მას მხატვრული სიტყვისადმი, მდიდარი აფხაზური ფოლკლორისადმი ინტერესი, რაც შემდგომ ასე ბრწყინვა-

ლედ აისახა მის „მცირე მოთხრობებში“, რომლებიც ფაქტობრივ გადამუშავებული ხალხური თქმულებები და იგავებია. მის რომანშიც („კამპიკი“) ძალუმაღ შეიგრძნობა აფხაზური ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა. ამავე პერიოდში იწერდა იგი ანდაზებს, გამოცანებს, შელოცვებსა და ფრთიან გამოთქმებს. რომლებსაც შემდგომში თავი მოუყარა და 1907 წელს გამოსცა კიდევ ცალკე წიგნად (მეორე შევსებული გამოცემა — 1930 წ.)

დიმიტრი გულიას პირველი წიგნი — პირველი აფხაზური მხატვრული ნაწარმოებების კრებული — „ლექსები და შაირები“ 1912 წელს გამოიცა თბილისში. რასაც წინ ორწლიანი მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა. ამ წიგნში სულ 28 ლექსი შევიდა, მაგრამ საქმე რაოდენობა როდრი იყო. სწორედ ამ 28 ლექსით აღსრულდა დიდი საქმე — საფუძველი ჩაეყარა აფხაზურ მხატვრულ ლიტერატურას. პირველ წიგნში სერიოზულ ლექსებთან ერთად საღალბო შაირებიცაა შესული. ეს პოეტის ყმაწვილური გატაცების გამოძახილი იყო. პოეტი დიდხანს ეძებდა თავის ხმას, თავის სათქმელს. ამას თვითონაც აღიარებდა შემდეგში. „როგორ მივაგნოთ სწორ ხაზს ცხოვრების ასახვაში? მას იპოვის ის, გინც ცხოვრებასთან ახლოს დგას და არ იკეტება თავისი ოთახის ოთხ კედელში. მეც მიჩვენებოდა ჩემი ცხოვრების გარიჟრაჟზე, რომ პოეზიაში მთავარი ყვავილები და სიყვარულია. მაგრამ... მივხვდი, რომ საღალბო პოეზია ყველაზე იაფფასიანია“. პოეტმა მიაგნო სათქმელს და თქმაც ეხერხებოდა. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს მისი მრავალი ლექსიდან. მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ხოჯან დუ“ („დიდი ხოჯანი“) ნამდვილი კარიკატურაა სოფლის ბოძოლებისა, სისხლს რომ სწოდნენ მშრომელებს. ლექსის ძალა კარგად იგრძნეს მეფის მოხელეებმაც და მის ავტორს თვალთვალი დაუწყეს.

დიმიტრი გულიას მთელი შემოქმედება, მთელი მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ხალხისადმი უნაგარო სამსახურის, დასასული მიზნისაკენ შეუღრეკელი სწრაფვის მკაფიო მაგალითია. დ. გულია ქეშმარიტად უნივერსალური მოღვაწე იყო. თუკი რამ ფასეული შექმნილია მისი პერიოდის აფხაზური კულტურის, ლიტერატურისა და მეცნიერების დარგში, თითქმის ყველაფერში დ. გულიას აქტიური მონაწილეობა მიუღია. სიტყვა „პირველი“ სრულიად დამსახურებულად უძღვის მის სახელსა და გვარს: იგი იყო აფხაზური მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებელი და პირველი აფხაზური მხატვრული ნაწარმოებების ავტორი, აფხაზური ანბანის ერთ-ერთი პირველი შემქმნელთაგანი, აფხაზური ფოლკლორის ერთ-ერთი პირველი შემკრები, გადამმუშავებელი და გამომცემელი, პირველი აფხაზური პროზაული ნაწარმოების ავტორი (მოთხრობა „უცხო ცის ქვეშ“, 1918), პირველი აფხაზური გაზეთის დამაარსებელი და გამომცემელი (გაზეთი „აფსნი“ დაარსდა 1919 წელს და გამოდიოდა 1921 წლამდე), პირველი აფხაზური მოძრაი თეატრის სულისჩამდგმელი, პიესებისა და სკეტჩების ავტორი და მთარგმნელი (მან 1921 წელს, აფხაზეთში საბჭოთა ზელისუფლების დამყარებისთანავე, ჩამოაყალიბა აფხაზური მოძრაი თეატრი), აფხაზეთის ისტორიისადმი მიძღვნილი პირველი მონოგრაფიის ავტორი (წიგნი „აფხაზეთის ისტორია“ გამოვიდა 1925 წელს) და სხვ.

დ. გულიას რომანი „კამპიკი“ კრიტიკოსთა მიერ აღიარებულია აფხაზური სოფლის ნამდვილ ენციკლოპედიად, იმდენად ღრმადაა ასახული მასში გასული საუკუნის ბოლოსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისის სოფლის თავისებურებანი, იქ მიმდინარე სოციალურ-კლასობრივი პროცესები. ანალოგიური პროცესებია წარმოჩენილი პიესაში „აჩრდილები“, რომელიც სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის დრამას წარმოადგენს. აღსანიშნავია საბჭოთა პერიოდში შექმნილი უამრავი ლექსი, დაწერილი სხვადასხვა თემაზე; მისი ლექსი „პარტია“ თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე.

დიმიტრი გულიას მოღვაწეობის ყველა ასპექტის ჩვენება ერთ სტატიაში ყოველად შეუძლებელია.

ცალკე უნდა აღინიშნოს დიმიტრი გულის დიდი დამსახურება და ღვაწლი რუსული და ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშთა აფხაზურ ენაზე თარგმნის საქმეში. აფხაზი მკვლევარი შოთა სალაყაია აღნიშნავს: „ბევრ რასმე სწავლობდა იგი დიდი ტრადიციების მქონე ამ ლიტერატურებისაგან... დ. გულის პირველ ნაწარმოებებში კაცი უტყდომლად დაინახავს დიდი პოეტების ა. კოლცოვის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლისა და სხვათა პოეზიის გავლენას“.

დ. გულის მთარგმნელობით მოღვაწეობასთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა ითქვას მის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის თაობაზე. 1940 წელს მრავალწლიანი შრომის შემდეგ აფხაზურ ენაზე გამოიცა ეს უკვდავი პოემა. ჩვენი შესაძლებლობა გვქონდა შეგვედარებინა ეს თარგმანი ორიგინალის ტექსტთან და ახლახან პოეტ მუშნი ლასურაის მიერ შესრულებულ აფხაზურ თარგმანთან (აფხაზურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ ორი ძალზე თავისთავად სრული პოეტური თარგმანის არსებობის თვით ფაქტიც კი მრავლისმთქმელი და საგულისხმოა). შედარების შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: დ. გულია (იგივე შეიძლება ითქვას მ. ლასურაიზეც) ღრმად ჩასწვდომია პოემის დედააზრს, იგი შესაშური ოსტატობითა და ხელოვნებით მისდევს ორიგინალის ტექსტს, ცდილობს ამ ურთულესი ნაწარმოების რიტმი (ზოგჯერ რითმაც კი) გადმოედოს.

დასასრულს, გვსურს შევეხოთ დ. გულის მოღვაწეობის კიდევ ერთ არსებით მხარესაც. ვგულისხმობთ დ. გულის ახლო მეგობრულ ურთიერთობას მრავალ ქართველ მოღვაწესთან. ეს მეგობრობა ქართველ მეცნიერებთან, მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, როგორც ზემოთაც ვთქვით, ადრიდანვე დაიწყო. აფხაზური ლიტერატურის პატრიარქს კეთილი და თბილი დამოკიდებულება ჰქონდა ცნობილ ქართველ პედაგოგთან და ეთნოგრაფთან ნიკო ჯანაშიასთან, რაც ამ უკანასკნელის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა. დ. გულია და ნ. ჯანაშია თანასოფლელები იყვნენ (ორივე სოფელ აძიუბუაში აღიზარდა). მათ მეგობრობას მხოლოდ პირადი ნაცნობობა არ განსაზღვრავდა, მთავარი აქ საერთო საქმე იყო — ორივე აფხაზურ ფოლკლორსა და ეთნოგრაფიაზე მუშაობდა და საერთოდ ბევრი ჰქონდათ. აი, როგორ აგონებს პოეტი ნ. ჯანაშიას: „მთელი ცხოვრების მანძილზე ჩვენ მრავალწლიანი მეგობრობა გვაკავშირებდა. ნიკოლოზ სიმონის ძე ჯანაშია დიდსულოვანი, გულთბილი ადამიანი იყო, შუემნდებელი იყო არ გყვარებოდა იგი... ჩვენ ერთად გავემგზავრეთ ქ. გორს. იგი იქ სწავლობდა, მე კი სემინარიაში შესასვლელად მივდიოდი. გორში მთელი სიღრმით გამოვცადე ნიკოლოზ სიმონის ძისათვის დამახასიათებელი ჭეშმარიტად ადამიანური თვისებები. იგი თან მახლდა გამოცდებზე, წუხდა ჩემ გამო... როცა მე, როგორც იყო, ჩავატარე გამოცდები და ჩავირიცხე სემინარიაში, ნიკოლოზ სიმონის ძე აღფრთოვანებული იყო, — ასე შეეძლო მას სხვისი წარმატებით სიხარული. როცა ზამთარში ტიფი შემეყარა და იზოლატორში მომათავსეს, მან მაიღწია იმას, რომ ჩემთან შემოდიოდა და ჩემ სიახლოვეს, იმავე ოთახში ათევდა ღამეს, მივლიდა, მაძინებდა“.

ასეთივე თბილი და ახლო ურთიერთობა ჰქონდა დ. გულის ნიკო ჯანაშიას ეპოქის — აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასთან, რაზეც მათი მიმოწერაც მეტყველებს, რომელიც სამწუხაროდ მთლიანად ჯერაც არაა გამოქვეყნებული.

დ. გულის ასევე დიდი მეგობრობა აკავშირებდა ცნობილ ქართველ მეცნიერებთან — ი. ჯავახიშვილთან, ა. შანიძესთან, გ. ახვლედიანთან და სხვებთან, ქართველ მწერლებთან — შ. ღაბიაშვილთან, გ. ტაბიძესთან, გ. ლეონიძესთან, კ. გამსახურდიასთან და ა. შ. მათ არაერთი ლექსი მიუძღვნიათ ერთმანეთისათვის. ამ მეგობრობის დასტურად დაიდგა თბილისში დ. გულის ძეგლი, ხოლო ბათუმში — მისივე ბიუსტი. (მოქანდაკე გ. რუხაძე).

სულ ახლახან გამომცემლობა „ნაბჭოთა აქარამ“ გამოსცა დიმიტრი გულის რჩეუ-

ლი ლექსების კრებული, რომელიც ბათუმელმა პოეტებმა თარგმნეს. დ. გულის სახელს ატარებს თბილისში ერთ-ერთი ახალი ქუჩაც.

დიმიტრი გულია მოესწრო თავისი მშობელი ხალხის კულტურულ აყვავებას და ვალმოხდილი გარდაიცვალა 1960 წლის 7 აპრილს. პოეტის ხსოვნის უკვლავსაყოფად დაარსებულია მისივე სახელობის პრემია, რომელიც ენიჭება საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებებს და მეცნიერულ გამოკვლევებს.

აღსრულდა აფხაზური ანდაზა: „ცხენი მოკვდეს -- მინდორი დარჩება, კაცი მოკვდეს და სატყვე დარჩება“. დარჩა პოეტის სიტყვა და საქმე, პოეტისა, თავისი ხალხის გარეშე ცხოვრება რომ ვერ წარმოედგინა და მისი წინსვლისთვის იღწოდა დაუღალავად.

თეიმურაზ ზვანცელაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

„ვესტუშკა ბათუმს, მამრამ“...

გამოჩენილი ქართველი მწერალი, რევოლუციონერ-დემოკრატი, საქართველოში პირველი მარქსისტული ორგანიზაციის „მესამე დასის“ შექმნის ერთ-ერთი მოთავე ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა) არაერთხელ ყოფილა ბათუმში.

გლეხობის წრიდან გამოსული ნიჭიერი ახალგაზრდა, ბავშვობიდანვე გაპირვებაში აღზრდილი, უმადლესი განათლების მიღებაზე ოცნებობდა. ბათუმი თავისი ფაბრიკა-ქარხნებით მას ამ მიზნის მიღწევისათვის საჭირო ფულის შოვნის წყაროდ ესახებოდა.

ეგნატე ბათუმში პირველად 1889 წლის ოქტომბერში ჩამოვიდა, იგი თავის ავტობიოგრაფიაში წერს:

„ოქტომბერში (1889) ჩაველ ბათუმს სამღუშაოს საქმეზე, ათი დღე, ოქტომბერში ვიმუშავე პრისტანზე, ვილაც ცატუროვთან. ეესტებს ვზიდავდი, ვაწყობდი ყუთებში, ვბეჭდავდი და ვაწყობდი დანიშნულ ადგილას, მეტად მძიმე სამუშეო იყო ჩემთვის. დღეში მაძლევდნენ ათ შაურს. ორი დღე ვიმუშავე ზურგდარტის ზავოდში (სტანკაზე რაღაც ეესტის თავებს „კაპსულებს“ ვაკეთებდი“. ჩემზე წინ აი ერთი ჩვენი მაწლობელი სოფლის ბავშვი მუშაობდა, ლომაძე ყოფილიყო, ხელი გაეფუჭებინა და შემდეგ მე მომცეს ეს ადგილი). 1889 წელს ოქტომბრის დამლევდნამდე დაწყებული 1890 წლამდე ვმუშაობდი როტმილდის ზავოდში. (ესტებს ვაწყობდი იაშჩი-კაბში და ვჭედავდი) დღეში მანეთად.

1889 წელს ბათუმში ზამთარი მეტად ცუდი, ქარიან-წვიმიანი იყო, მე, დაცვეთილი საზაფხულო ტანსაცმელი მქონდა. უნდა ავმდგარიყავი დილის 4 საათზე, ამ საშინელ დარში გამეცლო კარგა დიდი მანძილი და მივსულიყავ ზავოდში. ხან ზავოდის კარი დაკეტილი დამხედებოდა და უნდა მეცადნა გარეთ“.

ასეთ მძიმე პირობებში უზნდებოდა ეგ. ნინოშვილს ბათუმში ცხოვრება. აქ იგი პირველად გაეცნო მუშათა კლასს. ეგნატე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა მუშათა კლასობრივი გათვინობიერების საქმეს. ბათუმელ მუშებს იგი თავიანთ ქომაგად მიაჩ-

ნდათ, მასში ზედადნენ მომზადებულ, განათლებულ. მათი ინტერესების დამცველ ათამიანს

ეგ. ნინოშვილმა შემოიკრიბა როტშილდის ქარხნის მოწინავე მუშეები, მოსამსახურეები და შექმნა პატარა წრე, რომელსაც უმთავრესად საგანმანათლებლო ხასიათი ჰქონდა. წრეში ტარდებოდა საუბრები, იკითხებოდა პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა.

„დადასტურებულია, რომ ბათუმის მუშათა კლასის ცხოვრების თემაზე ნინოშვილს დაწერილი ჰქონია ვრცელი მოთხრობა, რომელიც შემდეგ დაიკარგა, ხოლო უტყუარი ცნობა, რომ ნამდვილად არსებობდა ეს მოთხრობა, გიორგი წერეთელმა შემოგვინახა. ერთი ნაწყვეტი ციტატის სახით ამ მოთხრობიდან მოტანილი აქვს გ. წერეთელს 1895 წელს წინასიტყვაობაში, რომელიც დაუთმო ნინოშვილის ორ მოთხრობას, აქედან გიორგი წერეთლის ამ წინასიტყვაობიდან ამოიღო ეს მოთხრობის ეპიზოდი სიმონ ხუნდაძემ და სათაურად მისცა „მუშათა თავშესაფარი“. ეს ნაწყვეტი ჭკუთქავს იმ ატმოსფეროთი, რომელიც ბედად ერგო ქართველ მუშათა კლასს. აქ ვკითხულობთ: „ქ. ბათუმში ეს ბნელი ქოხები არის იმ რამდენიმე ათასი მუშისა, რომელნიც მუშაობენ ბათუმის წავთის ქარხნებში“. ეს ნაწყვეტი სრულ უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ეგნატე ნინოშვილი იყო პირველი მწერალი მუშათა კლასის ცხოვრების გამომხატველი მოთხრობისა საქართველოში“. (ს. ჭილაია).

1891 წლის ნოემბრიდან 1892 წლის აპრილამდე ეგნატე ხან ბათუმში ცხოვრობდა, ხან ზესტაფონში.

1894 წლის ზაფხულის დამდეგს, როცა მძიმედ ავადმყოფი მწერალი ლოგინიდან ვერ დგებოდა, ბათუმში ჩამოიყვანეს იმ ვარაუდით, რომ აქაური ჰავა გამოაჯანმრთელებდა, იგი მოათავსეს ბათუმის ერთ-ერთ მიყრუებულ ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „მოსკვაში“.

სილიბისტრო ჯიბლაძისათვის გაგზავნილ წერილში ეგნატე ბათუმში ჩამოსვლას ისე აგვიწერა: „20 მარტს, როგორც იყო გავემგზავრე ბათუმისაკენ. ვესტუმრე ბათუმს, მაგრამ ვაი ამ სტუმრობას, სახლები ბლომად არის ბათუმშიო, რომ გვეგონა, სულ მთელ ბათუმში ოთხი აღმოჩნდა ცალკე გასაქირავებელი. ისიც ჩვენი გემოვნების არა, მაგრამ გაიგეს თუ არა, მე ავადმყოფი ვარ, უარი თქვეს... მივმართეთ „გასტინიცას“. ღამე იყო რომ მივედით და მიგვიღეს, მაგრამ მეორე ღამეს, როცა მიტკლისფრად თეთრს ჩემს „სახე-სკელეტს“ შეხედეს, გამოგვიცხადეს: მიბრძანდით, ავადმყოფს ნომერს ვერ მივაქირავენო. რადგანაც სწვა პასაჟირები დაგვიფრთხილებოდა, რაღა გვექნა, მოვიცადეთ დაღამებამდის (ვითომდა კარგად ვერ დაგვიანახავენ სახესო), და დაღამებულში შევატყუეთ თავი ერთ-ერთ სასტუმროს პატრონს“.

ამ სასტუმროს ერთ პატარა ოთახში მოათავსეს, სასიკვდილოდ სარეცელს მიჯაჭვული სახელოვანი მწერალი. მან აქ რამდენიმე დღე დაჰყო. ოთახს პატარა სარკმელი ჰქონდა, შიგ იდგა ერთი საწოლი, პატარა მაგიდა, სკამი და ჭამბა. ოთახი ნესტიანი იყო. საშველ-სასმელი მეგობრებს მოჰქონდათ.

ბათუმის ჰავამ უარყოფითად იმოქმედა ავადმყოფზე. მისი ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა. ეგნატემ მშობლიურ სოფელში დაბრუნება ოთხოჯა.

ბათუმელმა მუშებმა დიდი გულისტკივლით გააცილეს ეგნატე ნინოშვილი ბათუმიდან. ამის შემდეგ მას დიდხანს აღარ უცოცხლია.

1894 წლის 12 მაისს გარდაიცვალა. მისი გარდაცვალება მწვავედ განიცადა საქართველოს მოწინავე საზოგადოებამ, განსაკუთრებით კი დემოკრატიულად განწყობილმა ინტელიგენციამ და მშრომელმა ხალხმა. ეგ. ნინოშვილის დასაფლავებაზე ბათუმიდან გაიგზავნა დელეგაცია, რომელმაც გვირგვინით შეამკო საყვარელი მწერალ-რევოლუციონერის საფლავი.

ამჟამად ორგანიკიძისა და ხულოს ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე იმ სახლს, სადა ბათუმში ყოფნის ბოლო დღეები გაატარა ეგ. ნინოშვილმა. მემორიალური დაფა ამუშავებულა.

ამჟამად დადგენილი, რომ მწერლის დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილ ზოგიერთ მწერელში უზუსტობაც შეინიშნება, ზუსტად დაცული არ არის დაბადების, გარდაცვალების და დასაფლავების თარიღები.

ეგნატე ნინოშვილი დაიბადა 1859 წლის 5 თებერვალს, გარდაიცვალა 1894 წლის 12 მაისს, დასაფლავდა 18 მაისს.

მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოკვლევებიდან ცალკე კონკრეტულად იმსახურებს პროფესორ იოსებ მეგრელიძის წიგნი: „ეგნატე ნინოშვილი“, სადაც ყველა თარიღი ზუსტად არის დაცული.

ლადო შარაშიძე

იროდიონ ევდოშვილის საღამოზე

ჩვენი საუკუნის ათიან წლებში მატერიალურად ხელმოკლე ქართველი მწერლები ხშირად აწყობდნენ ლიტერატურულ საღამოებს. ერთი ამ მწერალთაგანი იყო გადასახლებებიდან დაბრუნებული მძიმედ დაავადებული რევოლუციის მომღერალი იროდიონ ევდოშვილი. ასეთი საღამოები შემოსავლის ერთგვარ წყაროს წარმოადგენდა, რომლითაც პოეტი იმედოვნებდა დაკარგული ჯანმრთელობისა და დარღვეული ოჯახის აღდგენას, მშობელი ხალხის ლიტერატურულ სამსახურში ჩადგომას. იროდიონმა იცოდა, რომ საღამოში ცნობილი ქართველი მწერლების მონაწილეობა წარმატებას მოუტანდა და სწორედ ამიტომაც სთხოვა მათ დახმარება.

იროდიონმა ადრე დაიჭირა საღამოს თადარიგი. იგი უნდა ჩატარებულიყო ქუთაისში 1914 წლის 7 ივნისს. საღამოზე მიწვეულთა შორის იყვნენ აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ტიცუან ტაბიძე, კიტა აბაშიძე და სხვები. მიწვეული იყვნენ აგრეთვე მაშინდელი ქუთაისის თეატრის მსახიობები.

გალაკტიონი დიდი სიყვარულით იგონებს იროდიონთან შეხვედრას: „...იღვა ჩემს წინ თვალგანთებული (ეხლაც თვალწინ მიდგას), ლოყებჩავარდნილი, გამხდარი პაცი. იგი ხელს იფარებდა სახეზე, როდესაც ახველებდა...

— დაბრძანდით, ბატონო!

— გალაკტიონ! იცით ხომ ჩემი მდგომარეობა?

— არა, რას ბრძანებთ?

— საშინელ მატერიალურ მდგომარეობაში ვარ და უნდა მიხსნათ, ყველა უნდა დამეხმაროს!

იგი სალიტერატურო საღამოს მართავდა და იმედი კი არა ჰქონდა შემოსავლისა. სალიტერატურო საღამოებს განსაკუთრებულ შემთხვევაში ესწრებოდა ხალხი. ამიტომ იგი სთვლიდა, რომ სახელები მიიზიდავენ ხალხს და სახელოვანთა შორის მთვლიდა მეც.

რა თქმა უნდა, ვუთხარი, რომ ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იქნება მივიღო მონაწილეობა იმ აღამიანის საღამოში, რომელმაც დასწერა „მეგობრებო, წინ, წინ გასვით“, რომელიც რევოლუციური პოეზიის წარმომადგენელი იყო 1905 წელს, თან

დავძინე, რომ ჩემი სახელით ძალიან საეჭვოა რაიმე შემოსავალი მიიღოს სალამო. ის თავისას არ იშლიდა. ახალგაზრდობა შეხით გაგიჟებულია, თეატრი გაიჟებდაო. თან ჩამოთვალა სალამოს მონაწილეები...

იგი დაიმედებული წავიდა! (საქართველოს გ. ლერინძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდი № 293).

სალამოს მოწყობაში იროდიონს გვერდით ამოუდგა ქუთაისის პროგრესული ინტელიგენცია ია ეკალაძის მეთაურობით და პრესა. ამით მათ სურდათ მატერიალური და მორალური სიმხნევე შეეტანათ სამშობლოს მოქირანახულე პოეტის ცხოვრებაში.

„სავარდო და სამაისო“ ქუთაისში გაზაფხულის მიწურულში, 28 მაისს, ჩავიდა იროდიონი. ქუთაისის რამდენიმე დღეს სიყვარულით მასპინძლობდა პოეტს. ქალაქის თვალწარმტაცი სანახაობით შთაგონებული პოეტი წერს ლექსს „ბუღბუღის კუბო“.

გაზეთმა „იმერეთმა“ საზოგადოებას 28 მაისს ამცნო იროდიონის ქუთაისში სტუმრობა და დასძინა, რომ მოკლე ხანში ქუთაისის თეატრში მისი სალამო გაიმართებაო. იმავე გაზეთში დაიბეჭდა აღნიშნული ლექსი, რომელშიც შერწყმული იყო წარსულის რევოლუციურ-რომანტიკული პათოსი და უნუგეშო თანამედროვეობის სევდიანი მელოდები.

პოეტი მოხერხებულად, ალეგორიული სტრიქონებით ხატავს როგორც მძიმე სოციალური კატაკლიზმებით დაფარულ გზებს, ისე საკუთარ მწარე წარსულს, როდესაც მკვდარი ბუღბუღის კუბოს მდინარის ტალღები მისვენებენ: „აღარა თრთის მგოსნის გული, საღლა არის ტკბილი კვნესა, მოკვდა, მოკვდა სიყვარული“.

ლექსში პოეტურად არის ჩაწერილი როგორც პოეტის სულიერი სამყარო და მრავალტანჯული სამშობლოს სოციალური ტკივილები, ისე აქტუალური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა უკომპრომისო ბრძოლებს ზოიბთხოვდა.

ამ ლექსს მეორე დღესვე საკუთარი ლექსით გამოეხმაურა დ. თომაშვილი (რყრეშიძე). ლექსში გაანალიზებულია იროდიონის დიდი დამსახურება და გამოკვეთილია მისი ლიტერატურული პორტრეტი. სტრიქონიდან სტრიქონში ლაღად მიაბიჯებს ეკლიანი ბილიკებით მოფენილი პოეტის რევოლუციური წარსული.

31 მაისიდან გაზეთი „იმერეთი“ 7 ივნისამდე ყოველ ნომერში აქვეყნებდა განცხადებას, რომ იროდიონის სალამო 7 ივნისს გაიმართებაო. დაიბეჭდა აგრეთვე იროდიონისადმი მიძღვნილი ლექსები და სტატიები: ია ეკალაძის, „იმერელი ქალის“ (ლ. მგალობლიშვილის), „სიტყვას“ (ფირცხალავას), დ. მესხისა და სხვ.

1914 წლის 7 ივნისს ქუთაისის ქალაქის თეატრში მოწყობილმა იროდიონის სალამომ დაამტკიცა ქუთაისელთა დიდი სიყვარული და დაფასება იროდიონის რევოლუციური შემოქმედებისა.

უამრავი ხალხი მოაწყდა თეატრის კარებს, მაგრამ უადგილობის გამო გაბრუნდა გულდაწყვეტილი.

მსმენელებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა კ. აბაშიძის შინაარსიანმა მოხსენებამ „საქართველოს მოღვაწეთა აზროვნების ევოლუცია XIX საუკუნეში“. ხალხი მოიხიბლა ი. ეკალაძის გამოსვლით, რომელმაც დიდი განცდით წაიკითხა ლექსად დაწერილი „ობლის აღსარება“ (ძღვნად ი. ევდოშვილს). მასში სამშობლოს წმინდა სიყვარულით დაფერფლილი იროდიონის ტანჯული ცხოვრების ბიოგრაფიული ეპიზოდებია გაცნობიერებული. ბოლოს კი მთავრდება ოპტიმისტური სტრიქონებით:

„სიმღერა ჩემი გაამხნევებს ყველა დაჩაგრულს,
ობლად დარჩენილს, დამაწყევლარს თავის თავისას
და შეერთებით, ხმა-შეწყობით ანხედრებულნი
იერიშითა გადავქელავთ მთას გოლგოთისას!...“

შემდეგ გამოვიდნენ სხვა პოეტები, მწერლები და თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს, მაგრამ ღარბაზის დიდი ალტაცებუ გამოიწვია ექვსი წლის გოგუცა კუბარაშვილმა (შემდეგში ცნობილმა მსახიობმა, საქართველოს სახალხო არტისტმა), რომელმაც იროდიონს ყვავილების თაიგული გადასცა და მისდამი მიძღვნილი ნ. გეგეჭორიძის ლექსიც წაიკითხა. იროდიონმა გოგონასთან სურათიც გადაიღო და ახალგაშობილი თხოვრებათა კრებული აჩუქა. „ჩემ პატარა გოგუცას ძია იროდიონისაგან“.

სალამოს ყველაზე მღელვარე მომენტი იყო, როცა ავანსცენაზე ელვანტურად ჩაცმულმა იროდიონ ევდოშვილმა საზოგადოებას მიმართა: „ბატონებო, ბევრჯერ ჰსმენიათ ამ ღარბაზის კედლებს ილია ჭავჭავაძის სახელი, ბევრჯერ წამომდგარა ის აქაც ქარიშხლად, როგორიც იყო ის ჩვენი ერის ცხოვრებაშიაც, მაშ, დეე, დღესაც დაგველაპარაკოს თავისი მკვეთრი სიტყვებით. მოვისმინოთ მისი სიტყვა ფეხზე აღვდგეთ“.

მესმის, მესმის სანატრელი, ხალხთ ბოროტის ხმა მტრებისა,
სიმათლის თქმა ქვეყანათა ჰქუხს დასათრგუნათ მონობისა,
აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა და აღმიძრავს იმედს გულში,
ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მაშულში!

ამ სიტყვებზე დამსწრე საზოგადოება მქუხარე ტაშითა და ყვავილებით მიეგება პოეტს.

ქართული პრესა ფართოდ გამოეხმაურა იროდიონის სალამოს. აი, რას წერდა ზემოთ აღნიშნული „იმერეთი“. „სხვა სახელი არ დაერქმევა იმ დღესასწაულს, რომელიც მოჰყვა 7 ივნისს ქუთაისში გამართულ „ევდოშვილის სალამოს“. თეატრი გაჰყვლილი იყო. მთელი შემოსავალი უდრიდა 527 მან. 57 კაპ. ხარჯი იყო 120 მან. ამგვარად, ჩვენი მგოსანი დაჯილდოებულ იქნა არა მარტო ზნეობრივად, არამედ ქონებრივად. ამოღენა შემოსავალი, ჩვეულებრივ ფასებში, არც ერთ ქართულ წარმოდგენას არ ჰქონია ქუთაისში...“

ავადმყოფ პოეტს იშვიათად გაამხნევენ ასეთი დახვედრა ქუთაისის საზოგადოებისა და წარუშლელ მაღლობას დასტოვებს მის გულში. დიან, მაღლობის ღირსია ქუთაისის საზოგადოება...“

სალამოს მონაწილე ცნობილ ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან იროდიონმა ქუთაისის ქალაქის ბაღში სამახსოვრო სურათი გადაიღო. შემდეგ კი გაიმართა ბანკეტი.

„იროდიონის სალამოს“ შესახებ საინტერესო შემუშარულ ჩანაწერებს გვაწვდის ამ სალამოს მონაწილე, კრიტიკოსი და პუბლიცისტი ილია ბახტაძე: „გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ირ. ევდოშვილს პირველად შეხვდა ქუთაისში 1914 წელს, როდესაც იქ თეატრის შენობაში დიდი სალიტერატურო სალამო გაიმართა... ამ სალამოს სხვებთან ერთად მონაწილეობას მეც ვღებულობდი. მახსოვს აკაკი წერეთლის შემდეგ ქუთაისში 1914 წელს გამართულ სალიტერატურო სალამოზე, ყველაზე გულღიმილი შეხვედრა მოუწყვეს იროდიონ ევდოშვილს.“

სალამოზე ირ. ევდოშვილმა რამდენიმე ლექსი წაიკითხა, მაგრამ მსმენელების გულში ჩამწვდომი იყო და დიდი ყურადღება მიიპყრო ერთმა ლექსმა, რომელიც მას მუშრისადმი ჰქონდა მიძღვნილი და ასე იწყებოდა:

ბუღბუღი რომ ვყოფილიყავ, — არ დავთმობდი მე შენს ჭალებს,
მაგრამ ჩანკით დაგიოცნი შორიდანაც ლამაზ თვალებს!
ერთო ვარდო, მაგრამ ათას ყვავილების თაიგულო,

ცემს და სისხლზე, — ხელმეორედ ისევ წელში გამართულ.
ჩანგის სიმებს შემოვარტყამ პოეტის ძღვნად მე შენს ჭაღვებს!
საქართველოს მარგალიტო, დაგიოცხი ღამაზე თვალებს...
მეზღოვრეთა

სანამ სურათს გადავიღებდით, იროდიონ ევდოშვილმა გვითხრა: „ძალიან ცუდად ვარ, ციხეში და გადასახლებაში გატეხა ჩემი ჯანმრთელობა, ჩემი სიცოცხლის დღეები დათვლილია, კარგია, თქვენთან უკანასკნელად სურათს ვიღებ. როდესაც მოვკვდები, თუ ყველა არა, ზოგიერთი თქვენგანი მაინც გამიხსენებს და იტყვის: „ერთ დროს იროდიონი ჩვენთან იყო და ესლა ადარ არისო“.

ამაზე აკაკი წერეთელმა აი რა უბასუხა: „მე, დავრდომილს, ღრმა მოხუცებულს გული არ მაქვს გატეხილი და სიცოცხლე კიდევ მინდა, და სიკვდილზე არ ვფიქრობ, და სირცხვილია, შენ, აწალგაზრდა ასე გულგატეხით ლაპარაკობ და სიკვდილზე ფიქრობო...“

სალამოს წარმატებით აღტაცებულმა იროდიონმა თავის ნათაყვანებელ ქუთაისს „სახალხო ფურცლის“ საშუალებით მადლობა ლაქონური ბარათი გამოუგზავნა: „ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ მომცეთ საშუალება, გადავცე ქუთაისის ქართველობას ჩემი გულთბილი მადლობა. დაუფიწყარი იქნება ჩემთვის ზეალმამუტრენი წუთები, რომლებიც განვიცადე მე მათთან ერთად 7 ივნისს, ჩემს საღამოზე... მე სულის ობლობას ვგრძნობდი, ესლა კი ვგრძნობ, რომ არ ვყოფილვარ მარტო... თქვენ ის საღამო ყვავილების წვიმით შემიცვალეთ! საღამო და მადლობა ჩემი იმ პირთაც, რომელთაც შორიდან განმიცხადეს თქლი თანაგრძნობა. საღამო და მადლობა იმ პირთ, რომელთაც თვისი ძალ-ღონე არ დაიშურეს საღამოს ბრწყინვალედ ჩატარებისათვის. საღამო ქუთაისს!“.

შოთა ბარამიძე,

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

კახაბერ სურგულაძე

ბურბუნდიელი მეკობრეები ბათუმში

ბათუმის წარსულის შესწავლას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, როგორც რევოლუციამდელ, ისე საბჭოთა ეპოქაში. ავტორთა უმრავლესობას აინტერესებდა ბათუმის შორეული წარსულის საკითხები, კერძოდ, წარმოშობის დრო, მდებარეობა, სახელწოდება, საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მისი როლი და ა. შ. რაც შეეხება საკუთრივ ქალაქის ისტორიულ თავგადასავალს უძველესი დროიდან დღემდე, მისი მხოლოდ ძირითადი მომენტებია ცნობილი და ისიც ძალზე სქემატურად. ამის მიზეზი წყაროების მეტისმეტი სიმცირეა. მართლაც, ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ბათუმზე შემონახულია რამდენიმე სქემატური ცნობა, რომელიც არ იძლევა ქალაქის ისტორიული წარსულის სრულად გაშუქების შესაძლებლობას. ამის გამო ბევრი საკითხი, რომელიც ეხება განსაკუთრებით ბათუმის შუა საუკუნეების ისტორიას, დღემდე ბურბუნდიელი მოცული. ასეთია, მაგალითად, ბურგუნდიელი მეკობრეების თავდასხმა ბათუმში V საუკუნის 40-იან წლებში, რაც ქართველი მკითხველისათვის ახლახან გახდა ცნობილი თ. ბერაძის საინტერესო სტატიებით.²

ვინ იყვნენ ბურგუნდიელები და რამ მოიყვანა ისინი ბათუმში? ადრეულ შუა საუკუნეებში ბურგუნდიას უწოდებდნენ რამდენიმე სამეფოს და სამთავროს აღმოსავლეთ-საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიაში. თვით ბურგუნდიის ტერმინის ქვეშ ერთიანდებოდნენ: ბურგუნდიის საჰერცოგო, საკუთრივ ბურგუნდია ანუ არელატი და ზემო და ქვემო ბურგუნდიის სამეფოები, რომლებიც 933-1032 წლებში შეუერთდა ე. წ. „გერმანული ერის რომის საღვთო იმპერიას“.

X-XI საუკუნეებში ამ ტერიტორიის დასაქუთრებისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ ფრანგთა სახელმწიფო და „რომის საღვთო იმპერია“. ასწლიანი ომის (1337-1453) დროს კი, როდესაც საფრანგეთი ინგლისთან ბრძოლით იყო დაკავებული, ბურგუნდიის საჰერცოგო აღზევდა, გაძლიერდა და დამოუკიდებლობაც მოიპოვა. მომდევნო ხანაში ბურგუნდიის ჰერცოგმა ფილიპე კეთილმა მკვეთრად გააფართოვა ბურგუნდიის საზღვრები და 1435 წლის ცოვმა ფილიპე კეთილი ევროპის ერთ-ერთი ვრცელი და მძლავრი სახელმწიფოს მონარქად იქცა. მისი სიძლიერის სიმბოლოს წარმოადგენდა ე. წ. „ოქროს საწმისის ორდენი“, რომელიც 1422 წელს დაარსდა.³

ბურგუნდიის სამეფოს როლი ევროპის პოლიტიკურ ასპარეზზე განსაკუთრებით გაიზარდა ანტიოსმალურ კოალიციებში მონაწილეობით. საქმე ისაა, რომ XV საუკუნის 30-იანი წლებიდან ბიზანტიას სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა. ოსმალებმა საბოლოოდ მიიტაცეს მისი აზიური და ევროპული სამფლობელოების დიდი ნაწილი და ახლა უშუალოდ დედაქალაქს — კონსტანტინოპოლს დაემუქრნენ. იმპერიის ხელისუფლება ხსნას ბურგუნდიისა და ევროპის სხვა სახელმწიფოების მიმხრობით ცდილობდა, რომ შეექმნა კოალიცია და მტრისათვის ახალი ჯვაროსნული ომი გამოეცხადებინა.⁴

მართლაც, 1443 წელს ბიზანტიელთა დესპანები ეწვივნენ ბურგუნდიას და სთხოვეს ჰერცოგს ომში მონაწილეობა, კერძოდ, ფლოტით დახმარება. ეს უკანასკნელი დათანხმდა და ენერგიულად შეუდგა ბრძოლისათვის მზადებას. ამ მიზნით ვალერან დე ვაგრენი გაგზავნა ვენეციაში, ხოლო ჟოფრუა დე ტუაზი — ნიცაში ფლოტის ფორმირებისათვის. სამუშაოდ, ვაგრენს საქმე გაუჭიანურდა, ტუაზიმ კი „სასწრაფოდ გაამზადა ფლოტი სალაშქროდ“. იმისათვის, რომ შეკრებილი ფლოტი არ მოეცდინა, მან გადაწყვიტა დაეწყო მოქმედება, რომ შეენარჩუნებინა დაქირავებულთა საბრძოლო განწყობილება. ამ მიზნით გასცურა ხმელთაშუა ზღვაში და მოარბია აფრიკის ჩრდილოეთი სანაპიროები, შემდეგ დალაშქრა კორფუსა და ჰოდოსის კუნძულები (აქედან განდევნა ოსმალები) და მიადგა კონსტანტინეპოლს. სწორედ აქ შეხვდა იგი ვენეციიდან ჩამოსულ ვალერან დე ვაგრენს.⁵

მოლაპარაკების შემდეგ ვაგრენი ფლოტის ნაწილით გაემართა დუნაისკენ, რომ შეხვედროდა და დახმარებოდა კოალიციის მონაწილე უნგრელ ჯვაროსნებს. ტუაზი კი სამი კატარლით გამოემართა ტრაპიზონისაკენ, რომ მოეთარეშა მცირე აზიის თურქული სამფლობელოები და შემდეგ, აღმოსავლეთ შავ ზღვისპირეთზე გავლით, კაფაში მისულიყო. ადრინდელი შეთანხმებისამებრ, ორივე ფლოტი იქ უნდა შეხვედროდა ერთმანეთს.

ქართველთა ფლოტისა და საზღვაო ვაჭრობის ისტორიის შესწავლისას თ. ბერაძემ მიაკვლია საყურადღებო პირველწყაროებს, კერძოდ, ორივე კაპიტნის მემკთიანეების აღწერილობებს, რომლებიც შეიცავს ცნობებს ბათუმზე ტუაზის თავდასხმისა და ქართველებთან ბრძოლის შესახებ, რითაც ნათელი მოეფინა შუა საუკუნეების ისტორიის დღემდე უცნობ სანტერესო ფაქტს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მემკთიანეები სხვადასხვანაირად აღწერენ ბათუმზე ბურგუნდიელთა თავდასხმას. ყოველ შემთხვევაში, ტუაზის მემკთიანე აღაშახებს ფაქტებს და, როგორც თ. ბერაძე სწორად შენიშნავს, „ცდილობს რაც შეიძლება კარგად აჩ-

ვენოს ყოფრუა დე ტუაზი და მისი მეომრები ქართველებთან ბრძოლაში“. ამიტომ აქ მოვიტანთ ვალერან დე ვაერენის მემატიანის აღწერილობას, როგორც უფრო ობიექტურს და მას ტუაზის მემატიანის სიტყვებით შევავსებთ.

აი ისიც: ტრაპიზონში ყოფნისას ტუაზი ერთი კატარლით მოულოდნელად გაქრა და ტრაპიზონის იმპერატორის სამარცხენოდ საქართველოს ნაპირებისკენ გადურა, რადგან შეიტყო, რომ აქ უნდა გაეგლო დიდ ზომადღს. ზომადღი დიდძალი საქონლით იყო დატვირთული და უნდოდა ხელში ჩაეგდო. ტრაპიზონის იმპერატორი უხსნიდა, ისინი ქრისტიანები არიანო, მაგრამ მაჰ არ სურდა ხელი აეღო თავის გახზრახვაზე... ზოგიერთმა ტრაპიზონელმა ბერძენმა ეს ამბავი აცნობა ადგილობრივ მცხოვრებლებს. ისინი შეიარაღდნენ და ჩაუსაფრდნენ, საშუალება მისცეს ყოფრუას გადმოსულიყო ხმელეთზე ბათუმის ნავსადგურში; მას კი ძალიან უნდოდა გაეძარცვა ეს ქალაქი. როცა იგი მიუახლოვდა სამალავს, ჩასაფრებული (ქართველები) დაესხნენ, მასთან მყოფი მრავალი მეგრძოლი დახოცეს და ის კი ტყვედ ჩაიგდეს. ისინი ვინც გადარჩა, დაბრუნდნენ კატარლაზე. მიიტანეს ამბავი, მეთაური ტყვედ ჩავარდაო. ამას კატარლიდან კარგად ზედავდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, დაიღუპა იგი თუ ცოცხალია. ასე რომ მათ გლოვის ნიშნად კატარლის ანძაზე შავი აფრა აღმართეს“.⁶

ვაერენმა კაფეში მისვლისას გაიგო მომხდარი ამბავი. იგი მეტად დაამწუხრა ამ ფაქტმა. მან სასწრაფოდ სამი კატარლა დააბრუნა ტრაპიზონს და იმპერატორს სთხოვა ეკისრა შუამავლობა ქართველებთან ტუაზის განთავისუფლების მიზნით. საგულისხმოა, რომ „იმპერატორის შუამდგომლობა არ აღმოჩნდა საკმარისი ბურგუნდიელი გემის კაპიტანის გასათავისუფლებლად“. მაშინ საქმეში ჩარეულა გენუის რესპუბლიკის ხელმძღვანელობაც, რომლის მითითებითაც „შავი ზღვის კოლონიების ადმინისტრაციის დიდი თანამდებობის“ მუშაკს ყერომ დე ნიგროს, ბოლოს და ბოლოს, ქართველთა ტყვეობიდან გამოუხსნია დე ტუაზი.⁷

მემატიანის ამ აღწერილობაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს რამდენიმე საკითხი, რომელიც საჭიროებს განმარტებას. ამ მხრივ უპირველესი ისაა, რომ ტუაზის მოსალოდნელი ლაშქრობის შესახებ ტრაპიზონელებს დაუყოვნებლივ უცნობეობით ქართველებისათვის. ეს კი იმაზე მიგვიბრუნებს, რომ ტრაპიზონსა და საქართველოს ზღვის სანაპირო რაიონებს შორის მაშინ მჭიდრო კავშირი და მიმოსვლა არსებობდა. ეჭვს გარეშეა, ტრაპიზონელებს არც ხელს აძლევდათ გადამთიელი ბურგუნდიელების თავდასხმა ბათუმზე და შემახელი ვაჭრების გაძარცვა, რადგან ამას შეეძლო უარყოფითი გავლენა მოეხდინა ტრაპიზონ-საქართველოს შორის არსებულ საეკონომიკურ ურთიერთობაზეც.

ტუაზის მოსალოდნელი ლაშქრობის შესახებ ქართველების ინფორმაციებზედ მემატიანე ასახელებს ტრაპიზონელ ბერძენებს. ვფიქრობთ, ბურგუნდიელი ჟამთააღმწერელი აქ ცდება, რადგან შეუძლებელია, ქართველთა მაცნეები ბერძენები ყოფილიყვნენ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტრაპიზონის საკეისროს მოსახლეობა, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „უმთავრესად ქართველთა მოძმე ტომის, ლაზების ანუ ჭანებისაგან შესდგებოდა“.⁸ მაშინ მემატიანის შეცდომა აშკარა იქნება. შესაძლოა, ტრაპიზონის საკეისრო პოლიტიკურად ამ დროს ბიზანტიას ექვემდებარებოდა და მემატიანემ უბრალოდ ამის გამო აღნიშნა ტრაპიზონელი ინფორმატორების ბერძნობა.

ტუაზს, როგორც აღწერილობით ჩანს, ერთი კატარლით გამოუღაშქრავს ბათუმზე. ერთი შეხედვით, ბურგუნდიელ კორსარს თითქოს ძალზე მცირე ძალა ახლდა თან, მაგრამ კარგადაა ცნობილი, კატარლა მაშინ მრისხანე საბრძოლო ერთეული იყო. მისი სიგრძე 40-50 მეტრს აღწევდა, სიგანე კი 5-5,5 მეტრს. მას თითოეულ მხარეს 25-30 ნიჩაბი ჰქონდა. თითო ნიჩაბს 5-10 კაცი ემსახურებოდა. კატარლას შეეძლო საათში 14 კმ სიჩქარის განვითარება, მის შეიარაღებას შეადგენდა ტარანი—„სახნისი“ და სხვადასხვა

ზომის ქვების სასროლი მანქანა. კატარღაზე შეიძლებოდა 200-250 მეტრძოლის მოთავსება. ამ ძალით კი, თუ მას მოულოდნელობის ფაქტორიც დაემატებოდა, ადვილად შეიძლებოდა ზღვიდან დაუცველი ქალაქის ხელში ჩაგდება და ვაჭრებთან ერთად გაყვანაც. გაფრთხილებულმა ქართველებმა კი, როგორც მემატიაანის სიტყვებიდან ჩანს, მეტე-კობრეებს გეგმა არ განახორციელებინეს. ისინი „ჩაუსაფრდნენ, საშუალება მისცეს ჟოფრუას გადმოსულიყო ხმელეთზე ბათუმის ნავსადგურში“ და სახმელეთო ბრძოლაში დაამარცხეს, ამასთან „მრავალი მეტრძოლი დახოცეს და ის ტყვედ ჩაიგდეს“.⁹

სხვათაშორის, აღნიშნულ აღწერილობას ავსებს თვით ჟოფრუა დე ტუაზის მემატია-ნე. იგი, თავის მხრივ, გვაწვდის რამდენიმე განსხვავებულ და უაღრესად საინტერესო ცნობას, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ბათუმის ისტორიისათვის.

მაგალითად, მემატიაანის სიტყვით ბათუმში აბრეშუმში შორეული შემახდან მო-პქონდათ. აქვე იყო „ბევრი თათარიც“, ცხადია, ვაჭარიც და მყიდველიც. ვფიქრობთ, ეს ცნობა იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ XV საუკუნეში ბათუმში მსხვილი სავაჭრო ქა-ლაქ-ნავსადგურია,¹⁰ სადაც ქართველებთან ერთად ვაჭრობდნენ შორეული შემახელი თათრებიც. მაშასადამე, მაშინდელი ბათუმი დიდ როლს ასრულებდა ამიერკავკასიის ეკო-ნომიკურ ცხოვრებაში.

ძალზე საინტერესოა მეორე ცნობაც, რომელშიც მოხსენებულია „ადგილობრივი მთავარი“ პატანო გურიელი. თ. ბერაძე ფიქრობს, რომ „პატანო“ იგივე დამახინჯებული „ბატონა“.¹¹ ეს ვარაუდი საფუძვლიანი ჩანს (მართლაც მეგრული „პატენი“ ხომ იგივე „ბატონია“!), თუმცა არაა გამორიცხული, რომ აქ რომელიმე გურიელის სახე-ლიც იყოს.

ფეოდალური საქართველოს სამთავროების ისტორიის ცნობილი მკვლევარი თ. სო-სელია XV საუკუნეში გურიელად მოიხსენიებს კახაბერს, რომლის მხოლოდ გარდაცვა-ლების წელია (1483 წ.) ცნობილი.¹² ლათინური წყაროების კრიტიკული ანალიზის სა-ფუძველზე, აკად. ივ. ჯავახიშვილი 1459 წელს ბურგუნდიაში გაგზავნილი ელჩობის შე-მადგენლობაში მიუთითებს მამია გურიელსაც.¹³ შესაძლოა, ბურგუნდიელებთან მეტრძო-ლი გურიელი სწორედ ეს მამია იყოს.

აღსანიშნავია, რომ გურიელის ქვეყანას ტუაზის მემატიაანე უწოდებს „მეგრელიას“. ვფიქრობთ, ამ ცნობაში ასახულია რეალური ისტორიული ფაქტი, კერძოდ ის რომ XV საუკუნის შუა წლებამდე სამეგრელოს სამთავროს სამხრეთი საზღვარი მდ. ჭოროხს აღ-წევდა.

ასეთია ბურგუნდიელი წყაროების ცნობები ბათუმის შესახებ. მათი ანალიზით გაი-რკვა ქალაქის შუა საუკუნეების ისტორიის დღემდე უცნობი ერთი საინტერესო ფაქტი, რითაც შეივსო და მნიშვნელოვნად გამდიდრდა მისი ისტორიული თავგადასავალი. ამავ-დროს, ეს გარემოება იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ევროპულ ენებზე არსებულ წერილობით ძეგლებში ბათუმის შესახებ არის სხვა ანალოგიური ხასიათის ცნობებიც, რომელთა გა-მომწეურება, შესწავლა და მეცნიერულ მიმოქცევაში შეტანა ფრიად საშუაო საქმეა.

შენიშვნები

1. ინაიშვილი, დ. ხაზუტაიშვილი, ქართული მატერიალური კულტურის საყურადღე-ბო ძეგლები. გაზ. „საბჭოთა აჭარა“, № 117, 1962; ა. ინაიშვილი, ბათუმის ისტორი-ისათვის ახალი არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე. კრებული, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966; ი. წიხარულიძე, საშხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტო-პონიმიკა, წ. II, ბათ., 1959; ე. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1958; მისივე, ქა-ლაქ ბათუმის ძველი ისტორიიდან. ბათუმის პედინსტიტუტის შრომები, ტ. 9, ბათ., 1962; აბ. სურგულაძე, ბათუმის ისტორიისათვის. კრებული, აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ. 1965 და სხვ.

2. თ. ბერაძე, საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ისტორიიდან XIII-XV სს. ქუთრნ. „მაცნე“, № 2, 1983; მისივე, ერთი უცნობი ფაქტი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. № 33, 1983.

3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 575.

4. სხვათაშორის, ანალოგიური წინადადებით 1459 წელს ბურგუნდიაში ჩავიდნენ ქართველი ელჩებიც (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 4, თბ., 1967, გვ. 64).

5. თ. ბერაძე, ერთი უცნობი ფაქტი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ № 38, 1983.

6. იქვე.

7. იქვე.

8. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 3, თბ., 1966, გვ. 208.

9. თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981, გვ. 52, 53.

10. ქართულ ისტორიოგრაფიაში ბათუმის როლისა და მნიშვნელობის შესახებ ორი ურთიერთდაპირისპირებული აზრია. დოც. ვლ. სიჭინავა თვლის, რომ ბათუმს ჰქონდა დიდი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ფეოდალური ეპოქის მთელ სივრცეზე (მისი, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1958, გვ. 14, მისივე, ქალაქ ბათუმის ძველი ისტორიიდან. ბათუმის პედინსტიტუტის შრომები, ტ. 9, ბათ., 1962, გვ. 39-42). აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, XV საუკუნეში ბათუმი იყო „პატარა ციხე-ქალაქი“ (მისი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 3, გვ. 445). და მაშასადამე უმნიშვნელო პუნქტი. ასეთივე აზრისაა დოც. აბ. სურგულაძე (მისი, ქალაქ ბათუმის ისტორიისათვის. ჟურნ. „კორონი“, № 4, 1983). ვფიქრობთ, ბურგუნდიელი მემატიანის აღწერილობა ამ დებულებას ეჭვის ქვეშ აყენებს. მისი ცნობით ჩანს ბათუმი იყო ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი ეკონომიკური პუნქტი, სადაც სავაჭროდ შორეული შემახიდანაც მოდიოდნენ.

11. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ № 33. 1983.

12. თ. სოსელია, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან. კრებული, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, თბ., 1954, გვ. 134.

13. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1967, გვ. 68.



ავთანდილ ქორიძე

ჩვენი საზოგადოებრიობა ყოველთვის ინტერესით ადევნებს თვალყურს თანამემამულეებს, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ იღვწიან. ერთ-ერთ მათგანს, ავთანდილ ქორიძეს — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ელემენტორგანულ ნაერთთა ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუშაქს — ამას წინათ ბათუმში შევხვდი.

ავთანდილზე ადრეც გამიგია დედამისისაგან — აჭარის ტელევიზიისა და რადიო-მაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის დირექტორის, საქართველოს სსრ კულტურის და მსახურებელი მუშაქის ქეთევან ქორიძისაგან. ვიცოდი, რომ მან საშუალო სკოლა ბათუმში დაამთავრა.

ბათუმში დაბადებული და გაზრდილი კაცი წავთობქიმიამ რომ გაიტაცოს, აბა, რა გასაკვირია, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ხომ პირველი ხუთწლედის პირში და აჭარის ინდუსტრიის მშვენებაა.

ავთანდილი მეექვსე კლასამდე ვ. ი. ლენინის სახელობის № 1 საშუალო სკოლაში სწავლობდა, შემდეგ № 5 საშუალო სკოლა დაამთავრა და აკადემიკოს ი. გუბკინის სახელობის მოსკოვის ნავთობქიმიური და გაზის მრეწველობის ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. 1962 წელს ინჟინერ-ქიმიკოსის დიპლომით მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა. ნავთობდაგასამუშავებელი ქარხნის დანადგარის უფროსად დაიწყო მუშაობა.

პრაქტიკული გამოცდილება მომავალი მეცნიერული მოღვაწეობისათვის აუცილებელი იყო. შემდეგ ავთანდილმა კვლავ მოსკოვს მიაშურა. 1965 წელს გუბკინის სახელობის ინსტიტუტის ნავთობქიმიური სინთეზის კათედრის ასპირანტი გახდა. 1969 წელს დაიცვა დისერტაცია ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „ზოგიერთი აზოტისშემცველი წარმოებული ფეროცენი და მათს საფუძველზე პოლიმერების სინთეზი“.

დისერტაციის დაცვის შემდეგ ავთანდილმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ელემენტორგანულ ნაერთთა ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. ეს ინსტიტუტი მსოფლიოში ცნობილმა საბჭოთა მეცნიერმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყოფილმა პრეზიდენტმა ა. ნესმიანოვმა დააარსა. ახლა ინსტიტუტი მის სახელს ატარებს. იგი ედგა სათავეში მეთაურობანულ ნაერთთა ლაბორატორიას, რომლის მეცნიერი მუშაქიც ავთანდილ ქორიძე გახდა.

ავთანდილი სიყვარულით იგონებს ამ დიდ მეცნიერსა და შესანიშნავ ადამიანს, რომელშიც მაღალი განათლება და კულტურა ორგანულად ერწყმოდა უბრალოებასა და თავმდაბლობას. ა. ნესმიანოვი არასოდეს წინ არ აღუდგებოდა ხოლმე ახალგაზრდა მეცნიერის ინიციატივას, შესაძლებლობას უქმნიდა განვეითარებინა დამოუკიდებელი აზროვნება. ამას კი ყოველთვის სასურველი შედეგი მოჰქონდა.

აკადემიკოსების ა. ნესმიანოვისა და ვ. კონეშკოვის რედაქციით მრავალი წლის მანძილზე გამოდიოდა ფუნდამენტური სერია „ელემენტორგანული ქიმიის მეთოდები“. იგი მენდელეევის პერიოდული სისტემის ცალკეული ელემენტების ორგანულ წარმოებულთა ამომწურავ მიმოხილვას ისახავდა მიზნად. ამ გამოცემის უკანასკნელი ტომ-

მის ორი თავი — „რუთენიუმორგანული ნაერთები“ და „ოსმიუმორგანული ნაერთები“ ავთანდილ ქორიძის კალამს ეკუთვნის.

1977 წელს ა. ნესმიანოვმა ა. ქორიძეს იმავე ინსტიტუტის მეთაულთა კარბონილ-ლემის ლაბორატორიაში გადასვლა შესთავაზა. იგი ფიქრობდა, რომ იქ უფრო ფართოდ გააშლებოდა ავთანდილის ნიჭი და უნარი. დიდი მეცნიერი არ შემცდარა.

დღეისათვის ავთანდილი 70-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის ავტორია. თუმცა, როგორც თვითონ ღიმილით შენიშნავს, მათი რაოდენობა ჯერ კიდევ ყველაფერს როდი ხიშხავს. მთავარია ნაშრომის ორიგინალობა, ხარისხი, ის, თუ რა პრობლემას სვამს და წყვეტს იგი, ამასთან რაოდენ დახვეწილად და დამაჯერებლად.

აღსანიშნავია ავთანდილ ქორიძის ნამუშევრების ფართო დიაპაზონი. განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ერთ საკითხზე. ბოლო წლებში მრავალფეროვანი ქიმიური პრობლემის გადასაჭრელად სულ უფრო ფართოდ იყენებენ სხვადასხვა ფიზიკურ მეთოდს. სხვებთან ერთად ქიმიურ საერთოა შესწავლის გავრცელებული ფიზიკური მეთოდია ატომგულის მაგნეტური რეზონანსის სპექტროსკოპია. იგი ყველაზე უფრო თვალსაჩინოა ფიზიკურ მეთოდებს შორის და შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს ნაერთთა აგებულება. შესწავლილ იქნას მათი ელექტრული სტრუქტურა, შიდამოლეკულური გარდაქმნები და ა. შ.

ავთანდილ ქორიძემ პირველმა გამოიყენა სტაბილური იზოტოპები რკინა-57 და ოსმიუმ-187 ისეთი მნიშვნელოვანი ქიმიური პრობლემების გადასაწყვეტად, როგორიც არის ფეროცენილკარბოკათიონთა სტაბილიზაციისა და მეთალკარბონილ კლასტერთა შიდამოლეკულური გარდაქმნის მექანიზმები. პირველი პრობლემა, მაგალითად, მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს იპყრობდა მეცნიერთა ინტერესს. ახლა კი ავთანდილისა და მის თანაავტორთა ნამუშევრების მეშვეობით ჩვენს ქვეყანას პრიორიტეტი აქვს ქიმიაში რკინა-57 და ოსმიუმ-187 ბირთვული მაგნეტური რეზონანსის გამოყენებაში.

გარდა წამყვანი საბჭოთა ქიმიური ჟურნალებისა, ავთანდილ ქორიძის ნაშრომები გამოქვეყნებულია საზღვარგარეთის სპეციალურ გამოცემებში, რომლებიც ინგლისში, პოლანდიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში იბეჭდება. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ინგლისის სამეფო ქიმიური საზოგადოების ჟურნალში „ქემიკალ კომუნიკეიშენს“ („ქიმიური უწყებანი“) 1981 წელს გამოქვეყნებულმა ქართველი მეცნიერის ნაშრომმა კლასტერულ კარბონილებში შიდამოლეკულური გადაჯგუფების თაობაზე. მასში პირველად იყო ახსნილი ამ მოვლენის მექანიზმი, რომლის დადგენა ადრე, როგორც უკვე ვთქვით, შეუძლებლად მიაჩნდათ. ამავე ჟურნალში იბეჭდება ავთანდილის მეორე სტატია..

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ჟურნალში, რომელსაც ხშირად „სიახლეთა ჟურნალსაც“ უწოდებენ, ქიმიის მეცნიერების ყველა განყოფილების მკვლევართა უმნიშვნელოვანესი ორიგინალური მონაპოვრები ქვეყნდება, ეს პუბლიკაციები ქართველი მეცნიერის აშკარა გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ.

1982 წელს ნობელის პრემიის ლაურეატმა, ინგლისელმა პროფესორმა ჯეფრი ჟილკინსონმა დააარსა ჟურნალი „პოლიედრონი“ და მაღალი რანგის ქიმიკოსებს თანამშრომლობა სთხოვა. მისი წერილი ავთანდილ ქორიძემაც მიიღო და გაუგზავნა სტატია, რომელიც ახალი ჟურნალის მეორე ტომის მეცხრე ნომერში დაიბეჭდა.

მეცნიერული ნაშრომის ღირებულების ერთ-ერთი საზომი ის რეზონანსია, რომელსაც იგი სპეციალისტთა შორის იწვევს. ავთანდილი ყოველი სტატიის გამოქვეყნების შემდეგ მრავალ თხოვნას იღებს ნაშრომის ასლის გავზავნის თაობაზე. საიდან არ მოდის ასეთი წერილები: იაპონიიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან და საფრანგეთიდან, იტალიიდან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან...

მარტო საბჭოთა კი არა, უცხოელი მეცნიერებიც ეყრდნობიან ავთანდილ ქორძის ნაშრომების შედეგებს და იყენებენ მათ თავიანთ გამოკვლევებში.

ავთანდილი ამ ბოლო ხანს მეთაღორგანული ქიმიის საკითხებზე საბჭოთა კავშირში გამართული ყველა კონფერენციის აქტიური მონაწილეა. პრაღაში ევროპის მეოთხე საერთაშორისო კონფერენციაზე მოხსენება წაიკითხა. ახლახან ბრატისლავის უნივერსიტეტის პროფესორმა შტეფან ტომამ წერილი მოსწერა, ჩვენს უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხავად თქვენს მოწვევას ვფიქრობთ და რას იტყვიოთ...

იტალიის ქალაქ პავიაში გამართული ქიმიკოსთა საერთაშორისო სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი ლუჩიანი მილონე ატყობინებს: „მგგმავ მოვაწყო სიმპოზიუმი თემაზე „უკანასკნელი მიღწევები მეთაღორგანული ქიმიის დარგში ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების გამოყენებაში“. ამ სფეროში თქვენი დიდი წვლილის შუქზე ჩემთვის სასიამოვნო იქნება, თუ მოხაწილეობას მიიღებთ სიმპოზიუმის მუშაობაში... გთხოვთ წარმოადგინოთ 20-25 წუთიანი მოხსენება თქვენი გამოკვლევების თემაზე“. ავთანდილს გამოუგზავნეს სიმპოზიუმის მონაწილეთა საორიენტაციო სია, რომელიც მოლიანად კაპიტალისტური ქვეყნების მეცნიერებისგან შედგებოდა. საბჭოთა კავშირიდან და სოციალიზმის ქვეყნებიდან მხოლოდ ის იყო შეტანილი სიაში.

აი კიდევ მეთაღორგანულ ქიმიაში ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიას შტატის ქალაქ ატლანტაში გამართული მეთერთმეტე საერთაშორისო კონფერენციის მოსაწვევი ბარათი. იქაც 20-წუთიანი მოხსენების წაკითხვას სთხოვენ.

ასეთი მიღწევა დიდი პატივია ყოველი მეცნიერისათვის.

ჩემს შეკითხვაზე, საქართველოში გადმოსვლას ზომ არ აპირებ-მეთქი, ავთანდილმა მიპასუხა:

— სადაც უხდა ვიყო, ვცდილობ რაღაც შევმატო ჩემი ქვეყნის კეთილ სახელს, ყველაფერი, რასაც ვქმნი, ამ მიზანს ემსახურება...

ავთანდილის მეუღლე რუსულადან პროფესიით ექიმი, ორი შვილი ჰყავთ — რვა წლის ნატო და ხუთი წლის ალექსანდრე. ნატო მეორე კლასშია, ერთ წელიწადს ქართული ენის ანსამბლ „კოლხიდის“ სტუდიაში მეცადინეობდა, წელს კი მუსიკალურ სკოლაში შევიდა.

მიხეილ შავილაშვილი



საინტერესო წიგნი

ვახტანგ ახვლედიანის პირველი ნოველა ამ ოციოდე წლის წინ გამოქვეყნდა დამწეები მწერლების ნაწარმოებების კრებულში „სათავეებთან“ და მაშინვე მიიქცია მკითხველთა და ლიტერატურულ მიმომხილველთა ყურადღება. იმ დროიდან მოყოლებული, მისი ნოველები და მინიატურები, ნარკვევები და ლიტერატურული წერილები იბეჭდება „მნათობის“, „ცისკრის“, „ჭოროხის“, „ლიტერატურაზე გრუზიას“, „დროშის“, აგრეთვე რესპუბლიკური და საოლქო გაზეთების ფურცლებზე. სამიოდე წლის წინ ბულგარულ ენაზეც ითარგმნა რამდენიმე მათგანი.

ვ. ახვლედიანი შვიდი წიგნის ავტორია დღეს.

ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ მწერლის ბოლო კრებულზე, რომელსაც „ჩაფიქრება“ ჰქვია.

ქართულ ნოველას თავისი არსებობის არცთუ შორეული ისტორია აქვს. მეოცე საუკუნის ცნობილმა მწერალმა ნიკო ლორთქიფანიძემ, შემდგომ კი რაჟდენ გვეტაძემ და ლეო ქიაჩელმა ეროვნული პროზის ეს ჟანრი კლასიკურ სიმაღლეებამდე აიყვანეს.

აჭარის მწერალთა შორის ვახტანგ ახვლედიანი ერთ-ერთი პირველია, ვინც იტვირთა ამ მეტად რთული და საინტერესო ჟანრის, ჩვენი კუთხის კოლორიტზე დაყრდნობით, განვითარება.

თავისებურია ნოველა. ლირიკულ-დრამატულია მისი სიუჟეტი. ფილოსოფიურია და სიღრმისეული გმირთა სახეები. აქ ყოველ სიტყვას, ყოველ ფრაზას, თქმულსა თუ ნაგულისხმევს, თავისი ადგილი გააჩნია. უფრო ზშირად, მთავარია არა ის, როგორ ამბობს სათქმელს, არამედ — როგორ არ ამბობს მას, მაგრამ უფრო მეტყველს კი ზღი.

მკითხველი წიგნის გაცნობას მისი გარეკანიდან იწყებს. მეც აქედან შევუღებები.

გარეკანზე დახატულია ბერიკაცი, საკუთარ „ნამსხმანში“ წასული მზერით. ქვევით წერია „ჩაფიქრება“. სხვა შემთხვევაში იქნებ არც შეგჩერებულყავი ამაზე, ამჯერად კი შეუძლებლად მიმაჩნია, რადგან სარეცენზიო წიგნის მხატვრობაც თვით მწერალს ეკუთვნის.

კრებული იხსნება ნოველით „ბერიკაცები“. თავისებურია იგი კომპოზიციურადაც, სტილურადაც, ხასიათებითაც... აგებულია დიალოგზე (გარდა დასაწყისისა და ფინალის რამდენიმე სტრიქონისა). ნაწარმოების გმირებს სახელებიც არ მისცა მწერალმა — აჭარის ერთ-ერთი სოფლის ბერიკაცები განზოგადებული სახეებია. მათი სატყეარი, საკუთარი სოფლის სანახებიდან და ბაღჩა-ბაღებიდან დაძრული, საერთო სატყეარია. საუკუნეს მიღწეული მოხუცები სოფელელთათვის ჩვეული მახვილგონივრულობითა და პირდაპირობით ჭრიან მსოფლიო პრობლემებს. ყოველგვარი ღოზუნგისა და პათეტიკის გარეშე, „ფილოსოფოსობენ“ ისინი, მსჯელობენ ომსა და მშვიდობაზე, ოჯახსა და სიყვარულზე, აწყყოსა და მომავალზე...

„— გოგოები იბადებიან სულ. ღვთის რისხვაა სწორედ!

— მაგიც იმ... იმ რაციის ბრალია.

— კი, მასეა ნამდვილად.

— რადიაციის, კაცო, რა-დი-ა-ცი-ის!

— კაი, ბატონო, კაი.

— შენ რომ თორმეტი გოგო გააკეთე, მაშინ რადიაცია კი არა, აერობლანიც არ იყო გამოგონებული.

და ჩაბვირდნენ გემრიელად ბერიკაცები.“

ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოსდა სადღაც გინახავს უკვე ეს მოხუცები, ვისაუბრია მათთან, აპყლობარ მათს გულიან სიცილსა და ღრმად ჩაუფიქრებინარ საწყნარს...

რამდენი დაწერილა პირველ სიყვარულზე და დაიწერება კვლავაც. ეს თემა მარადიულია. ორიგინალურადაა გახსნილი იგი „ბერიკაცებში“. რამდენიმე სიტყვითა და სიჩუმით, პაუზებით, მწერალი აღწევს ისეთ ეფექტს, რომ აგაფორიანებს კაცს.

— „რას შერები, კო, ტირი?

— ჰო.

— ეს ისე მოგყვებით... სულაც არ გვინდოდა შენი წყენინება.

— არც მწყენია.

— აბა...

— რომ მომაგონდება ი ცხოვრებით...

— გიყვარდა?

— ახლაც მიყვარს.

— პირველი სიყვარული მაინც სხვაა, კაცოო!

— ეეებს!

და ჩაქინდრეს თავი ბერიკაცებმა. ერთხანს ისხდნენ ასე, საკუთარ ფიქრებში ჩაღრმავებულები, მერე თითო-თითოდ გაიკრიფნენ დიდი ევკალიპტის ძირიდან, სამი გზის გასაყარზე რომ დგას ამაყად შემართული“.

გასაგებია მათი გულისტყმა. თითოეულს მარტო სურს დარჩენა, საკუთარ თავთან საუბარი სურს თითოეულს. და შენც, მკითხველი, უნებურად გადადებ წიგნს და ჩაფიქრდები, ჩაფიქრდები...

„ქალი ააშენებს და ქალი და-ღუ-პავს კაცს, ჩემო ბატონო“, — ასე იწყება ნოველა „ხალილა“ და პირველივე სტრიქონიდანვე რწმუნდები, რომ ტრაგიკული იქნება მთავარი გმირის ბედი. ავტორი კარგად იცნობს სოფელს, მის ადამ-ჩვევებს, ტრადიციებს, კოლორიტს, სოფლელების ხასიათს, მეტყველებას.

ეს გახლავთ ამბავი „მთას გამოკვამებული სოფლის“ მკვიდრზე — ხალილაზე, რომელსაც გოლიათის ძალა და ბავშვითი მიმნდობი გული აქვს. რამდენიმე შტრიხით ხატავს მწერალი ხალილას, ძველი და ახალი თავმჯდომარის, და თვით „ოთხმოცს მიღწეული“, „თეთრწვერდაფენილი“ მთხრობელის სახეებს.

„ერთხელ (გახსოვს, ღურმიშავ?) ჩვენმა კოლმეურნეობამ ახალთახალი, გაქანქალებული წითელი ფერის ტრაქტორი მიიღო. თავმჯდომარემ (კაცი იყო, კაცი! ახლანდელს კი არ გავდა), ხალილას ეკუთვნისო. გადირია სიხარულით ხალილა. იმხელა კაცს ა, ამხელა რამე გაახარებდა. ბლევით იყო. ჩაჯდა და... გაარბენიებს-გამოარბენიებს, გაარბენიებს-გამოარბენიებს, თან როხროხებს, როხროხებს და როხროხებს. ჩამოხტება, შემოუტრბენს ირგვლივ, მოეფერება... გადაუსვამს ხელს, გადმოუსვამს, გადაუსვამს-გადმოუსვამს, მერე ისევ ჩაჯდება და გააქენებს. თან როხროხებს...“

შორეული ახალგაზრდობის მოგონებით გამოწვეული გულისტკივილი, სიკბაბუკის წლების იდეალიზაცია ყოველთვის იყო და არის ხანშესულთა ფიქრისა და განსჯის მთავარი თემა არის და იქნება მომავალშიც. ასეთია კაცის ბუნება. არაფერი ეშველება მას. მთხრობელაც, ბუნებრივია, გვერდს ვერ უვლის სიყმაწვილის მოგონებებს. მოულოდნელია ეს, ამავე დროს, უშუალოა ეს გადახვევები. ერთხელ კიდევ რწმუნდები, რა კარგად იცნობს ავტორი ადამიანის სულის ყველაზე ფაქიზ ნიუანსებს.

„მეორე დღეს, დილაუთენია, ჩაუტვამს გალიფე, აზიაელები, გადაუვარცხნია ქო-
ჩორი და... კაი რამე იყო ი გალიფე და აზიაელები! უხდებოდა კაცს, არა? გულახ-
დილად თქვი, გულახდილად... რაცა, ეაჯაკური იყო. ხომ იყო? ჩემი დახლო-
გაზრდობის დროს ძალავან მოდაში იყო. გალიფე, ჩემო ბატონო, მუხ-
ლებს ზემოთ კაი გაფართოებული, აზიაელები ნამდვილი ტყავის! კრი-ა-ლებს! ჩაიცი-
ვამდით და ჩაეჭუჭნიდით ოდნავ. მიდიხარ და კრატ-კრატუქ, კრატ-კრატუქ! უ-უ-უ-უ!“

კეთილი იუმორითაა შეზავებული ხალილას ნაღვლიანი თავგადასავალი. იუმორი
კი არ არბილებს ამბავს, პირიქით, კიდევ უფრო მტკივნეულს ხდის. შემძვრელია ნო-
ველის ფინალი. საოცრად ლაქონიურია აქ მწერალი. მეტყველი ნახევარტონებით აღ-
წევს ხალილას დიდი ტრაგედიის გადმოცემას.

„გესმის, ბრიგიტაჲ, შენ გენაცვალეო, შენ გეყურბანეო... უშენოდ სიცოცხლე
არ შემიძლიათ.

იმან: მომწყდი, მომწყდი თავიდანო, თორემ... უცებ დანას დაავლო ხელი და
მოუქნია.

ხალილამ აუკრა ხელი... უცებ დაებინდა გონება. დაავლო ხელი ბრიგიტას და
იატაცა პაერში.

არ მოკლა, ხალილ, — შეგხვეწა ბრიგიტაი, და მაშინვე მოუღუნდა მკვლავები,
ნეელა ჩამოსვა.

ქალი უღონოდ ჩაიყვია იატაკზე. ხალილა დაიხარა, ხუჭუჭი თმები გადაუწია
სახეზე...

ორი კურცხალი, ორად-ორი კურცხალი ჩამოუგორდა ლოცებზე ხალილას. მერე
უცებ წამოდგა და გავიდა სახლიდან. ჩქარი ნაბიჯით გადაჭრა ქუჩები, გაიარა პარკი
და ზღვის პირას გავიდა.

დღეავდა ზღვა.

ხალილამ პიჯაკი გაიძრო და გვერდით მოიქნია.

უყუყუმანოდ შევიდა წყალში.

ცურვა არ იცოდა ხალილამ...“.

მცირე ზომის ნოველაა „სარკე“, მაგრამ აზრობრივად დატვირთული. არსი მისი,
ერთი შეხედვით, ჰიპერბოლიზებულია და მოგეჩვენება; ჰუმორისტების გზა რომ აღ-
მოაჩინო, უნარი უნდა შეგწედეგს, ირეალურში განსჭვრიტო რეალური, მოჩვენებითში
დაიჭირო სინამდვილე, ფანტასტიურში ჩვეულებრივი, მიწიერი, ცხოვრებისეული დაი-
ნახო. ნრტუ აღვილი გახლავთ ეს, რადგან მკითხველისაგან მოითხოვს მწერლის ინ-
დივიდუალური სამყაროს ღრმა ლაბირინთებში შეღწევას.

შინაარსი ნოველისა ასეთია: ერთ მშვენიერ დილით კაცმა სარკეში ჩაიხედა და,
საკუთარი თავის ნაცვლად... ფინია დაინახა.

ეს ნაწარმოები სატირაა, მიმართული „ცხოვრებისეული“ უკეთურობის წიხ-
აღმდეგ. სამწუხაროდ, ბერს, მათ შორის გარეგნულად გოლიათს, ურჩევნია, ფინია
იყოს სულით, რადგან ეს „საჭიროა“, „ასე სჯობია დღეს“ და ა. შ. ნუ იფიქრებთ, ამ
„ფინიებს“ მაღაც ფინიებისა ჰქონდეთ. პირიქით!

ფინია სარკეში — სიმბოლური სახეა სიმრუდისა და სულიერი გადაგვარებისა.
ცხოვრებაში ერთჯერ ან ორჯერ ადამიანს ნათლად, სახიერად წარმოუდგება საკუთარ
სამყარო: ვის ლოპად, ვის ზეპემოთად, მაინუნად, ქვეწარმავლად, ბოლოქანქარად...
ჩვენმა გმირმა კი ერთ დილით ჩაიხედა სარკეში და... ფინია დაინახა.

სარკასტულია მწერალი ნოველაში „თუთიყუში“. გმირთა ხასიათები, ცალ-ცალკე
ასე განსხვავებულნი, გროტესკულ სახეებს იძენს.

„შარშანწინ იყო ეს...“ კრებულის ერთ-ერთი საუკეთესო ნოველაა. მთხრობელი
აქაც უსახელოა, მაგრამ ავტორი არ არის იგი. მისი მეტყველება ემოციურია, ნერვიუ-

ლი, აზრები დიფერენცირებული, წყვეტილი, არიტმული, ქალაქური კოლორიტი... მწერალი ღრმად იჭრება პერსონაჟის ხასიათში და თანდათან ძერწავს თვით მთხრობელის სახეს. „გული მაქვს იმისთანა, რო მეწყინება რამე, მთელი ნამსხვანი მტკივა მერე, დრო ყველაფერს ჰკურნავსო, კი, ჩემო ძმაო და იმედო, კი აბა, რას შერება... მაგრამ, სხვას. მე — აპაპ! გავიგებ რამეს ისეთს და დამქვეყავს... ისე დამქვეყავს, ისე, როგორც გრიბშეყრილს დიდი ტემპერატურის წინ. აბა, ძმაო და იმედო, ჩემისთანა კაცი ბევრს ვერ იცოცხლებს, წუ!“.

ეს პირველი აბზაცის სტრიქონებია. ყოველ სიტყვას ორმაგი დატვირთვა აწევს თითქოს, ისე ტევადა ისინი. მთხრობელის მგრძნობიარე ბუნება პირველივე სტრიქონში იკვეთება. ასეთ კაცს არ შეუძლია უდრტინეველად აუაროს გვერდი უკეთურობას, ანდა სხვის უბედურებას. მაგრამ, როგორც ჩანს, მისი მოქმედება თვითგვემა უფრო: „რო მეწყინება რამე, მთელი ნამსხვანი მტკივა მერე...“. ზოგი მოქმედებისთვისაა გაჩენილი, ზოგი კიდეც განმარტებისათვის და ფილოსოფიური მსჯელობისათვის საკუთარ თავთან, ან ვინმესთან: „ასეა, ძმაო და იმედო, დიდი თავი უნდა გქონდეს. მარა ზურგი უკეთენია. დიდ თავს დიდი ზურგი სჯობია. პატარაც სჯობია. თავი შენია, ზურგი — სხვისი. სხვისია, მარა შენია, ამიტომ სჯობია. შენი ისედაც შენია, მარა სხვისი რო შენია, სჯობია“. ცხოვრებისეული პარადოქსებია! თვით ეს ფრაზაც პარადოქსურია, თავისი შინაარსით, მაგრამ ჭეშმარიტებას გვერდს ვერ აუვლი. პარადოქსებიც ცხოვრებისეული ხდება თურმე. ტკივილიანი ირონიითაა დასერილი ავტორის ეს სტრიქონები.

რატომ მიმართა ავტორმა მთხრობის ამ ფორმას? რატომ გვაცნობს ადამიანის ბედს მთხრობელის პირით მხოლოდ, და არა საზოგადოებასთან ურთიერთობაში? ამ შეკითხვას პასუხი გაეცემა თავისთავადვე, თუ სწორად ვუპასუხებთ კიდეც ერთ შეკითხვას: ვინ არის ნოველის მთავარი გმირი, მთხრობელი თუ მისი ნაცნობი? ვფიქრობ, მთხრობელი. მართალია, მისი გაცნობები და ღრმა ტკივილები ნაცნობის მდგომარეობიდან მოდის, მაგრამ ყოველივე ეს მიზეზია, უფრო სწორად, საშუალება გახლავს მთხრობელის ხასიათის გასახსნელად. იგი სულიერი თანადგომისა და თანაგრძნობის კაცია. მისი ბუნება სარკესავით ირეკლავს ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდება: „ჩაეუარო? — ვფიქრობ. — ვითომც ვერ შევამჩნიე. აგერ, რამდენმა ჩაუარა, მის წინაშე რო იკაკვებოდა. მეც ჩაეუარო? მე-ეც?! ნაბიჯი შევანელე. მერე გაგჩერდი. ვუყურებ. გამოიხედავს? იქნებ ჩაეუარო? კი, ასე სჯობია. გული მაინც გულია, სტკივა გულს. დამინახავს, რო ვუყურებ და უფრო ეტკინება. წავალ. აი, მივდივარ. ვინ ვარ მე? არც ნათესავი, არც მეგობარი, არც ამხანაგი... ისე, ნაცნობი. გამოიხედა. ხელი შემართა მალა. როგორ ხარ-მეთქი? ცერა თითი გაწკიპა. აი, ასეო. დგას. ცერა თითი გაწკიპილი აქვს, მეც ვდგავარ და ვუყურებ. ხან მას, ხან მის ამხანაგებს. ხან ყველას ერთად. დგას და მიყურებს. მიყურებს და იხარშება. ტკივილი რო დაიძრა სადღაც დან, მთელი სხეული დამიქვეჭა. მტკივა, ძალიან მტკივა. ველარ გაუძეღ მის მზერას და დავხარე თავი. ბურთი მომეჭინა. თანაც მრცხენია, თითქოსდა მე ვარ დამნაშავე, რო იგი ისეა, მე კი — ასე. დრო გადის. დრო დიდი მკურნალია. ყველასა და ყველაფრის მკურნალია. კი, ჩემო ძმაო და იმედო, კი. მარა ყველა ცალკე, მე ცალკე. ძნელია ჩემისთანა კაცი-სათვის, ძალიან ძნელი“.

მთხრობელის ეს მონოლოგი ასე ვრცლად ჩემს მიერ ზემოთ თქმულისათვის საბოლოოდ ნათელის მოსაფენად მოვიყვანე.

ნაწარმოებში საინტერესოაა გახსნილი კარიერიზმით დაავადების, ამ სენის თანდათანობითი განვითარებისა და პიროვნების საბოლოოდ მოწამელის პროცესი.

ვახტანგ ახვლედიანის თითქმის ყველა ნაწარმოებში სიტყვასა და ფრაზას ორმაგი ფუნქცია აქვს — პირდაპირი და არაპირდაპირი, სემანტიკური და ალევგორიული,

მწერლის მხატვრული აზროვნების თავისებურება ის გახლავთ, რომ სათქმელის დიდი ნაწილი მკითხველისათვის მიუხერხებელია.

ნოველებში იუმორი და ნაღვლიანი ჩაფიქრება ისეა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ განუყოფელ მთლიანობას ქმნის. იგი კეთილიცაა („ბერიკაცები“, „თვალ-შავა“, „ხალილა“, „მარჯანი და ისკანდერი“, „ბეზიას საღვთაშობლო“...) და ირონიულიც („თუთიყუში“, „მაგრამ“, „გემუღარები“, „დახარე თვალები“, „ვაჟკაცი“), ზოგჯერ სარკასტული (იგივე „თუთიყუში“, „ქათამი, „კვერცხი და... წიგნი“).

წიგნის მეორე განყოფილება მინიატურებია. ძნელია, რამდენიმე სტრიქონში ჩაათვალი დიდი სათქმელი. მინიატურა კი სწორედ ასეთს ითხოვს — ხილულის, ზოგჯერ სულაც ცნობიერების მიღმა, მოარულს, გაურკვეველს, გამოუთქმელს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს „ფერისცვალება“, „ავტობუსის ჩაქრობებს ძალიან სწრაფად“, „ძმები“, „გარეთ გულსაკლავად წიოდა ქარი“, „რამდენის?“, „ფოთოლცენა“, „მე, დილა, მზე და მეზობლის ბიჭი“ და სხვა.

დამუხტულია და ტევადი იატაკზე — პირქვე ჩამხოზილი წიგნის სიმბოლური სახე („გარეთ გულსაკლავად წიოდა ქარი“). მედიტაციურია „ბიჭი“, „თხმელის სალამური“, კოლორიტულია „დიდი ნენე“, „ავტობუსში“, „ვაჟკაცი“, ბავშვობის წლების მოგონებით გამოწვეული განწყობილებაა მინიატურა „შენი უსიტყვო და მრავლისმთქმელი ჩუქურთმი დიდინი“.

ვ. ახვლედიანის ნაწარმოებებში სიტყვასა და ფრაზას, ერთდროულად, აზრობრივი და ემოციური ტევადობის განუსაზღვრელი ფუნქციები აკისრია, რასაც აღწევს ორიგინალური გამომგონებლობითი ხერხებით, მაგ.: დამარცვლით: „კაცი იყო, კაცი!“ (ე. ი. ყოველმხრივ შეძკული ადამიანი ყოფილა), „კრი-ა-ლებს“ (აქ, უმაღლესი ხარისხის ჩექმა იყო). მეტი დამაჯერებლობისათვის მოვიყვან ორ ადგილს, რადგანაც ეს ფორმები მხოლოდ ტექსტში იძენენ თავის მნიშვნელობას: „ყველა, შენამდე და შენს შერეც, ასე, და შენ ი-სე? წესია. რო შენც ა-სე. წესი წესია, ძმავ და იმედო. აქ ი-სე არ იქნება, არ გამოვა და იმიტომ. აქ მხოლოდ ა-სე! ან ასე და — შენ, ან ა-სე და შენ ფიუუუ! იმან მაინც ი-სეო, დაიქინა... ი-სეო გე-სმის?“ („შარშანწინ იყო ეს“). როგორც ხედავთ აქ მხოლოდ ერთი ზმნისხედას ფორმები მეორდება, მაგრამ მათი აზრობრივ-ემოციური მნიშვნელობა ღრმავა. „ხალილავ, — ვეუბნები, — ხალილავ, სასაცილოდ ნუ გაიხდი თავს, ბრიგიტაი, კო, ბრი-გი-ტაი, არ გამოდგება ჩვენს სოფელში“ („ხალილა“). ხმოვნებისა და თანხმოვნების გაგრძელებით: „პირველი სიყვარული მაინც სხვაა, კ ა ც ო ლ!“; „სხვაა, სხვააა!“

მწერალი არცთუ იშვიათად მიმართავს ჩართულ სიტყვებს. ფრაზებს — „ჩემო ბატონო“, „შენ ხარ ჩემი ბატონი“ — არა იმიტომ, რომ გაზარდოს კაზმული სიტყვის ეფექტი, მარილიანი გახადოს თხრობა, „დაახუტუტოს“ სათქმელი, ისინი თვით პერსონაჟების შინაგანი თვისებებიდან, მათი დარბაისლური ბუნებიდან მოდიან, რაც თავისთავად, მგტ დამაჯერებლობას ანიჭებს სათქმელს და მწერლის ლიტერატურულ-გამომგონებლობითს ნიქსა და ოსტატობაზე მეტყველებს.

„ჩაფიქრება“ საინტერესო წიგნია. იგი წინ გადადგმული ნაბიჯია მწერლის შემოქმედებითს გზაზე. ვახტანგ ახვლედიანი ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცია და მისგან კვლავ ორიგინალურ ნაწარმოებებს მოელის მკითხველი.

შოთა ნიჟარაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.





ინტერვიუ მანჩის ნინ

სანამ „ჩხარაგაულის ხმის“ სპორტულ განყოფილებას ჩაუდგებოდა სათავეში, გენო ქავთარაძე მრეწველობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის პრობლემებზე მუშაობდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს უფროსმა უთხრა, ინდუსტრიაზე უფრო ამჟამად ჩვენს რაიონს ფეხბურთი სჭირდება და ჩხარაგაულის „სიხარულის“ მეორე ლიგაში დარჩენას უნდა მოახმარო მთელი შენი ნიჭი და ენერგიაო.

ბატონი ბრძანდებითო, მორჩილად თავი დაუკრა გენო ქავთარაძემ და ამ დაკრული თავიდან, ბურთის გარდა, ყველა საფეხქრალი გამოუშვა.

ცარიელი თავით მუშაობაზე ადვილი ქვეყანაზე არაფერია. თავისი პირველი ინტერვიუ „სიხარულის“ უფროს მწვრთნელ გედეონ ფოთოლაძესთან სპორტული განყოფილების გამგემ ისე მსუბუქად ჩამოაგვირისტა, თითქოს საგაზეთო სტატია კი არა, დეტექტური რომანი დაეწეროს.

სწორედ ამ ინტერვიუს ეცნობოდნენ გადამწყვეტი მატჩის წინ საზოგადოების ობიექტ „სალობიოში“ შეკრებილი ჩხარაგაულელი ფანატიკოსი გულშემატკივრები: ალაღინ ართმელაძე, მიშელ ბადრიძე, ამურ ტყეშელაშვილი, მურმან ფილია, ზურაბ რაჭველიშვილი და მიქელ სოსელია.

სანამ უშუალოდ საქმეზე გადავიდოდეთ, შეგახსენებთ, რომ არა-ეგზოტიკური სახელის მიუხედავად, „სალობიო“ საკმაოდ პოპულარული საქეიფო ადგილი იყო ჩხარაგაულში. მართალია, ლობიოს მხოლოდ ბუღარული კონსერვებიდან ამზადებდნენ, მაგრამ ზორცი ყოველთვის ახალი ჰქონდათ და ავთანდილის მწვადებსაც დიდი გემოვნებით აკეთებდნენ. დიახ, სწორედ რომ აკეთებდნენ, რადგან მწვადის მარტო ტაფაზე შეწვა არ კმარა, შამფურზეც უნდა წამოაგო და, რაც შეიძლება, ნაკლები ხახვი მოაყარო.

სწორედ იმ მეთოდით გაკეთებულ ცხვრის მწვადებს მიირთმევდნენ „სალობიოში“ ზემოთ დასახელებული პიროვნებები ფეხბურთის დაწყებამდე ორიოდე საათით ადრე და თან კიდევ ალაღინ ართმელაძის მიერ

წაკითხულ სტატიას, წამკითხველთან ერთად, შესაბამის კომენტარებს უკეთებდნენ.

დაინტერესებულ მკითხველებს მცირედი შემოკლებით ვთავაზობთ ინტერვიუსა და მის კომენტარებს.

პირველი სიტყვა პრესას მივცეთ:

„სირცხვილი ან სიხარული! დიახ, დღევანდელმა დღემ უნდა გაცეს ამ დილემას ზუსტი პასუხი — სიმწრით გადაყვანილი ჩხარაგაულის გუნდი დარჩება მეორე ლიგაში თუ მის ადგილს ჩვენი ტრადიციული მოწინააღმდეგე — გორდელაურის „მეციტრუსე“ დაიკავებს?“.

ალადინ ართმელაძე: დარჩება-არდარჩებას ძახილში ამოგვხადა სული!

„რასაკვირველია, ჩვენ ვერ გავიზიარებთ ზოგიერთი სულწასული ვაიგულშემატკივრის ამბიციებს და ყველაფერს შავი სათვალთ არ შევხედავთ. სწორედ ამიტომ, „ჩხარაგაულის ხმის“ სპეციალურმა კორესპონდენტმა გენო ქავთარაძემ ინტერვიუ ჩამოართვა „სიხარულის“ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელს, პირველთანრიგოსან მოკრივეს გედეონ ფოთოლაძეს“.

მიშელ ბადრიძე: ფოთოლაძეს ინტერვიუს კი არა, ხელს არ ჩამოართმევს პატიოსანი კაცი!

„ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა, — განაცხადა უფროსმა მწვრთნელმა, — „სიხარული“ კი ამ ცხოვრების მიზანია“.

ამურ ტყეშელაშვილი: მაგის ცხოვრების მიზანი ფულის შოვნაა, ადრე რესტორანის დირექტორობა უნდოდა, მაგრამ ფეხბურთი ამჯობინა, იმასაც ამბობენ, მსაჯებისთვის მისაცემ ფულს ღუნავსო.

„ენას ბევრი ცუდის თქმა შეუძლია, მაგრამ ზედ კბილი უნდა დაეჭირათ და სიძმართლეს ვაჟკაცურად შევხედოთ. სიძმართლე კი ის არის, რომ ამ ეტაპზე, სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო, „სიხარული“ ვერ ამჟღავნებს თავის პოტენციურ შესაძლებლობებს. მაგრამ ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ საშეფო ორგანიზაციების დახმარებით გუნდი დაძლევს დროებით კრიზისს და თავის მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს კიდევ გააზარებს სწრაფი, მაღალტექნიკური და გააზრებული თამაშით“.

მურმან ფილია: მაინც რა ობიექტური მიზეზები აქვს მხედველობაში?

„მოთელი რიგი წამყვანი მოთამაშეები ტრავმირებული არიან, მათ გარეშე დაცვის ბურჯსა და სახელმოხვეჭილ კაპიტანს სულხან გოცაძეს ძალზე უჭირს კოლექტივის მობილიზება. ზოგიერთი ფეხბურთელი რეჟიმსაც არღვევს და წონაში საგრძნობლად მატულობს“.

ზურაბ რაჭველიშვილი: მწვრთნელის თამადაობით, რასაკვირველია... ბედი არ გინდა! — წონაში ჩვენი ფერმის მოზვრები ვერ მატულობენ, ამით კი სასწოროზე შედგომა ეშინიათ.

„ღამნაშავეთა მიმართ ჩვენ მკაცრი ზომები გავატარეთ. ფეხბურთელებმა მოისმინეს ექიმის საუბარი, რომ ალკოჰოლი ჯანმრთელობის მტერია და არც პაპიროსის მოწევა შეიძლება. ამ საუბრის შემდეგ, მოთამაშეებმა საჯაროდ განაცხადეს: სანამ მეორე ლიგაში არ დავრჩებით, დღე-ღამა და სიგარეტს სათოფედ არ გავეყარებით“.

მიშელ ბადრიძე: ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს!

„ბოლო, რასაკვირველია, ჩვენი იქნება, „სიხარული“ მტკიცედ დაიმკვიდრებს ადგილს მეორე ლიგაში და ახლო მომავალში ჩემპიონობის კამპაში მწვერვალებსაც შეეჭიდება“.

მიქელ სოსელია: ტყუილია მაგი, არც „სიხარული“ გახდება ჩემპიონი და არც გედეონ ფოთოლაძე ბიარზოტი!

„მაგალითისათვის შორს წასვლა არ გვინდა. ჩხარაგაულის „სიხარულით“ არც იტალიის ნაკრებისა სჯეროდა ვინმეს, მაგრამ მათ მთელ მსოფლიოს დაუმტკიცეს, რომ ფეხბურთის თამაში მაკარონის ჭამაზე ნაკლებად არ სცოდნიათ“.

ზურაბ რაჭველიშვილი: რა შუაშია ახლა მაკარონი! თუმცა, ეს კორესპონდენტის ფანტაზია იქნება, გედეონ ფოთოლაძე ვერ მოიგონებდა.

„ზოგიერთებს უფროსი მწვრთნელის კომპეტენტურობაში ეჭვი ეპარება, მაგრამ გედეონ ფოთოლაძე გაუფანტავს მათ ამ ეჭვს და საქვეყნოდ დაანახვებს, თუ რა შესძლებია ფეხბურთის ფანატიკურ სიყვარულსა და ალალ შრომას“.

ალადინ ართმელაძე: ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო!

„მართალია, ჯერჯერობით არ არის გამარჯვება, მაგრამ იქნება გამარჯვება! არ არის ქულები, მაგრამ იქნება ქულები!“

მიშელ ბადრიძე: მაინც როდის, პატივცემულო?

„დღეს ან არასოდეს! — ასეთია ჩვენი გადაწყვეტილება“.

ზურაბ რაჭველიშვილი: აღდგომა და ზვალეი! თუმცა, რატომ ზვალ, ამ საღამოს გაირკვევა ყველაფერი.

მართლაც ყველაფერი იმ საღამოს გაირკვა. ჩხარაგაულის „სიხარული“ საკუთარ მოედანზე, საკუთარი მაყურებლებისა და საკუთარი მსაჯის დახმარების მიუხედავად, მაინც მშრალი ანგარიშით დამარცხდა გორდელაურის „მეციტრუსესთან“. დაბოლმილი ხალხი თავის გუნდის უფროს მწვრთნელს გედეონ ფოთოლაძეს მიუხტა გასალაზავად, მაგრამ ამ უკანასკნელმა სვანეთში გაქცევით უშველა თავს. ფეხბურთის გუნდს, ცხადია, იქ ვერ ჩამოაყალიბებდა. უშგულში ცოლის მხრიდან შორეული ნათესავი ჰყავდა და მის კოშკში იმალებოდა თარაშ ემხვარივით, მოუთმენლად ელოდა, სანამ საფეხბურთო ქარიშხალი გადაივლიდა და ბარში რომელიმე გაჭირვებული გუნდის მწვრთნელად დაუძახებდნენ. ჭკუა რომ ჰქონოდა, იმ კოშკიდან სულ არ უნდა გამოსულიყო, წამოწეებოდა არსეინად მხარ-

თეძოზე და ჯიხვის მწვადებით ყელს ჩაიკოკლოზანებდა, მაგრამ ფეხბურთით დაავადებულ კაცს ჭკუა და ფული ვინ მისცა!

გაქცეულ ფოთოლაძეს ერთი ქვა გენო ქავთარაძემაც მიაფოლა. მეორე დღესვე „ჩხარაგაულის ხმაში“ დაბეჭდილი მისი კრიტიკული წერილი ასე მთავრდებოდა.

„მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე, ჩვენი სტადიონის ადგილას ძროხების საძოვარი ტრიალი მინდორი იყო და მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ სპორტული ბაზების მშენებლობაზე არავინ ფიქრობდა. იმ სოციალური უსამართლობის მიუხედავად, მძიმე ფიზიკური სამუშაოდან დაბრუნებული ჩვენი ბაბუები მაინც ნახულობდნენ დროსა და ენერგიას ბურთის სათამაშოდ, თუმცა, ბურთი სად იყო, ეს ღორის ბუშტი გზლდათ! თოხის ვარდა, ჩვენს წინაპრებს არაფერი გააჩნდათ, არც ბურთი და არც ბუცები, მაგრამ მაინც მდიდრები იყვნენ, რადგან თამაში უყვარდათ და, რაც მთავარია, ჟინი ჰქონდათ. სწორედ ამ ჟინმა აგვაშენებინა მათ შვილიშვილებს ეს შესანიშნავი სტადიონი, რომელსაც მალე, ალბათ, გადახვნა მოუწევს, არა, მიწის სიმცირით ეს არ იქნება გამოწვეული! ჩხარაგაულის რაიონს იმდენი ფართობი აქვს, რომ წელიწადის ყველა დროს ჭადსა და ლობიოს უზვად გვაჭმევს. გუშინდელი თამაშის შემდეგ, მხოლოდ „სიხარულმა“ გვაჭამა ნიახური და პირში წყალი გამოგვავლო.

რასაკვირველია, დამნაშავეა მთელი გუნდი, მაგრამ მის უფროს მწვრთნელს გედეონ ფოთოლაძეს ჩხარაგაულში გამოსაჩენი პირი ნამდვილად აღარ აქვს!“

გედეონი ამ წერილის წაუკითხავადაც ვერ გამოჩნდებოდა ჩხარაგაულის რაიონში, მისი გაქცევიდან მეორე დღესვე „სიხარულის“ უფროს მწვრთნელად გერმანე არჩვაძე დანიშნეს. სპორტული განყოფილების გამგე მას საწვრთნელ ბაზაზე ეახლა და გუნდის გასაცნობად მიმავალ გერმანეს ხელი ძველი ნაცნობივით გაუწოდა.

— ტერენტიევიჩ, მოგესალმებით და მოგილოცავთ ამ საპასუხისმგებლო პოსტზე დანიშნვას!

— მე თქვენ არ გიცნობთ! — ცივად მოუჭრა ტერენტიევიჩმა.

ქავთარაძეს იხტიბარი არ გაუტეხია.

— სამაგაეროდ, მე გაცნობთ, უფრო სწორად, აქამდე თქვენს საფეხბურთო შეხედულებებს ვიცნობდი.

— ბოდიშს მოგიხდით, მაგრამ მე დღეს არა მცალია. — გერმანემ აბეზარი მოსაუბრის მოცილება დააპირა, მაგრამ ეს არც თუ ისე იოლი საქმე აღმოჩნდა.

— გენო ვარ მე, ტერენტიევიჩ! — ისე გაღიმებული შეხედა, თითქოს რაც აქამდის უთხრეს, სულ არ სწყენია.

გერმანემ თვალები მოჭუტა.

— აბა, გენო?

— ქავთარაძე, „ჩხარაგაულის ხმის“ სპორტული მიმომხილველი.

უფროსმა მწვრთნელმა მოჭუტული თვალები ისევ ფართოდ გააღო.

— ძალიანაც კარგი! მაშასადამე, თქვენ ბრძანდებით იმ არაპროფესი-

ული წერილების ავტორი?

— როგორ თუ არაპროფესიული? — ერთბაშად დაიბნა აქამდე დაუბნე-
ველი ქავთარაძე.

— ახლავე ავიხსნით. თქვენ ზომ აღწერეთ, როგორ გააფუჭა „სიხარუ-
ლის“ მარცხენა გარემარბმა ჯონდო გობეჩიამ „მეცეიტრუსის“ კარში და-
ნიშნული ორი პენალტი?

— დიახ, აღწერე.

— კეთილი და პატიოსანი!. ახლა რომ შეგეკითხოთ, „როგორ“ კი არა,
„რატომ“ გააფუჭა, რა პასუხს გამცემთ?

— ღარტყმა არ იცის და იმიტომ გააფუჭა...

— ბარემ ისიც მითხარით, რომელი ფეხით დაარტყა გობეჩიამ თერთ-
მეტმეტრიანები?

— რომელით და... — თავი მოიფხანა ქავთარაძემ, — მარცხენა გარე-
მარბი რომელით დაარტყამდა? — რასაკვირველია, მარცხენათი.

— საქმეც ისაა, მარჯვენა ფეხით დაარტყა, იფიქრა, მეკარეს მოვა-
ტყუებო და თვითონ დარჩა მოტყუებული... საერთოდ, გობეჩია ცალფეხა
მოთამაშეა. ამ ნაკლის გამოსასწორებლად სისტემატურად თუ არ ივარჯი-
შა, ვერაფერს მიაღწევს...

გერმანე არჩვამე გატაცებით ჰყვებოდა საფეხბურთო ჭეშმარიტებას,
მაგრამ გენო ქავთარაძე მაინც უნდობლად უყურებდა.

— მაგი ყველაფერი კარგი, მაგრამ არაპროფესიონალი სერიოზულად
მიწოდეთ თუ იხუმრეთ? — ჰკითხა მან.

— სახუმროდ მცალია ახლა მე? თავზე ცეცხლი მეკიდება.

— და ხელსაც იმიტომ ისვამთ ასე ხშირ-ხშირად... თუმცა, ცეცხლი
რას უნდა მოეკიდოს, ერთი ღერი თმაც არ დაგრჩენიათ.

ახალდანიშნულ მწვრთნელს ხურდა ისე სწრაფად და მოსწრებულად
დაუბრუნეს, ამ ფაქტის უარყოფა შეუძლებელი იყო.

— ანგარიში ერთით-ერთია და თუ თანახმა იქნებით, ასე დავშორდეთ
ერთმანეთს. — შესთავაზა გერმანემ.

გენო ქავთარაძემ პროტესტი განაცხადა:

— როგორ თუ დავშორდეთ, გუნდში თქვენს მოსვლას უნდა დავესწრო.

— ბოდიშს მოგიხდით, მაგრამ ჩვენ ისეთი სალაპარაკო გვექნება, გა-
რეშე პირებს ვერ დავისწრებთ.

სპორტული განყოფილების გამგეს სიბრაზისაგან ცხვირი გაუწითლდა.

— მე გარეშე პირი არ გახლავართ! — პრესის იგნორირებას თქვენ
არავინ გაპატიებთ!

— ჯერ გუნდი არ ჩამიბარებია და უკვე იმუქრებით?

— იცოდეთ, მართო მუქარას არ გაკმარებთ!

— მანამდე კეთილი ინებეთ და ბაზის ტერიტორია დატოვეთ! — უბრალოდ მანა გერმანემ.

— ეს ბაზის ტერიტორია არ გასლავთ, მე სახელმწიფო გზაზე ვდგავარ! — „სახელმწიფოს“ ქავთარაძემ ხაზი მკვეთრად გაუსვა.

— იდექით, აბა, რამდენიც გავიხარდებათ! — გერმანემ ჭიშკართან მდგომ ქავთარაძეს ზურგი შეაქცია და ორსართულიანი შენობისაკენ მიმავალ გზას ფეხით გაუყვა. უკან ყველაფრის მომსმენი, მაგრამ გარეგნულად აუღელვებელი სპორტკომიტეტის უფროსი ნაპოლეონ ბაგრატიონი მიჰყვა თავისი შავი „ვოლგითა“ და შავი ფიქრებით. გერმანე არჩვადის მწვრთნელობა რომ ხეირს არ დააყრიდა, ასი პროცენტით იყო დარწმუნებული და სანამ მოხსნიდნენ, პენსიაში გასვლაზე უნდა ეზრუნა.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, სამომავლო ფიქრები იყო, ამჟამად კი გერმანე სპორტული ბაზის წითელ კუთხეში შეკრებილი ფეხბურთელები-სათვის უნდა წარედგინა. თუმცა, რა წარდგენა უნდოდა. გერმანე არჩვადის ასავალ-დასავალი „სიხარულის“ მოთამაშეებმა საკუთარ ბიოგრაფიისათვის იცოდნენ. უცოლო რომ იყო, კიდევ არაფერი, მაგრამ უფულო მწვრთნელი მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდათ, ამან თუ ჩვენს ხარჯზე გაკეთება მოინდომა, ბაწარში უყურიდეთ თავს, ისა სჯობიაო.

გენო ქავთარაძის გარდა, ახალმა მწვრთნელმა მისვლისთანავე გუნდის ადმინისტრატორი გელა ყულეჯიშვილი მოიშორა, რითაც ნაპოლეონ ბაგრატიონს დაბოლმოდ გულში აწალი ლახვარი დაუტრიალდა.

გელა ყულეჯიშვილი ადრე კინოთეატრ „ელესას“ ადმინისტრატორი იყო, ნაპოლეონ ბაგრატიონის ოჯახს ცენტრალურ ლოჯაში ყოველთვის უბილეთოდ უშვებდა. პირადად ნაპოლეონი კინოს მხოლოდ ტელევიზორში უყურებდა, განსაკუთრებით „ილუზიონი“ უყვარდა, მაგრამ ქელენის საათებს ემთხვეოდა, ამიტომ კოლექტიური წერილი მისწერა, უფრო მოსახერხებელი დრო შეარჩიეთო. თხოვნა დაუკმაყოფილეს და „ილუზიონი“ მოგვიანებით გადმოუტანეს, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაიხარა, ნასვამი წამოწევიდა. თუ არა, ტელევიზორი იავნანასავით აძინებდა. რასაკვირველია, ჩვენთვის ეს არ არის მთავარი. ნაპოლეონ ბაგრატიონისათვის კი მთავარი ის იყო, რომ გელა ყულეჯიშვილის ამაგი არ დაივიწყა და ნამთვრალეზე სამსახური შესთავაზა, პატივი მინდა გცე და რამეში გამომიყენეო. ყულეჯიშვილმა მის გამოფხიზლებას კი არ დაუცადა, არამედ პირდაპირ მოსთხოვა, „სიხარულის“ ადმინისტრატორად დამნიშნეო. რაისპორტკომიტეტის უფროსს სახეზე გაკვირვება რომ შეატყო, აუხსნა, კინო და ფეხბურთი ორივე ხელოვნებაა და ფიქრი ნუ გაქვს, სირცხვილს არ გაჭმევო. მართლაც, სულ პურ-მარილებს აჭმევდა, სირცხვილს მხოლოდ ფეხბურ-

თელეები ჭამდნენ, და ამიტომაც იყო, მისმა მწვრთნელმა თავს გაქცევით უშველა.

ჯერი ახლა ადმინისტრატორზე მიდგა, მაგრამ მისი გაუბედურება საკუთარი ცოლ-შვილის გარდა არავის სწყენია. გენო ქავთარაძესთან კონფლიქტი კი ახალ მწვრთნელს გულშემატკივართა უმრავლესობამ არ მოუწონა, პრესა რომ გადაიკიდა, ნამდვილად ვერ ჰქნა კარგი საქმე, ჟურნალისტები, პირიქით, მხარში უნდა ამოეყენებინათ. მხოლოდ ზოგიერთებმა აღიარეს სიძარტლე, გენო ქავთარაძისთანა ჟურნალისტები პრესაში არ უნდა მუშაობდნენო...

სახალწლო მილოცვები აჭარის სიმღერისა და ცეკვის იუბილარ ანსამბლს



60 წლის მწვრთნელი
საბაძეს

ქართული ცეკვის
ამაგდარს,
მოჭირნახულეს,
დიდოსტატს,
თავმდაბლად
მოგესალმებით
და ორმაგ სამოცს
გილოცავთ.



გულნარა
ნოღაიძელს

ზღვაში გადი
„იალქანითა“,
გულით
ახალგაზრდულით,
იმღერე და ჩვენც
გვაბღერე
ჭიბონით და ფანდურიით.



ილია კალანდაძეს

დიპლომით — პედაგოგი,
სულით — ხელოვანი,
პიზით — ფოტოგრაფი.
გიშრავლოს ხელობანი!



თემურ ბოლქვაძეს

კიდევ ბევრჯერ
გაგვასარებ,
ვიცი, ამის ძალა შეგწევს
ქორეოგრაფ
თ. ბოლქვაძეს —
ე. ხაბაძის თანაშემწეს.



ბონდო მესხს

შენ არც ბათუმი
გეთმობა,
არც რაჭის ტურფა
მთა-ბარი,
სად არის ქვეყნად სხვა
რაჭა.
ან სხვა ბათუმი სად
არის!



ბენრი
გოგიბერიძეს

რამდენ წყალს ჩაუვლია,
ტკბილი წამი გასულა..
გაუმარჯოს შენს
გარმონს
და მის კლავიატურას!

გია ბაღოშვილის მეგობრული შარევები
მუსრან კობალაძის ლექსები

გა ს უ ლ ო რ თ ვ ა ზ ი

ბელადის ძეგლი ხულოში

ხულოში გაიხსნა პროლეტარიატის გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომლის ავტორია მოქანდაკე ბ. ავალი-შვილი.

დიდი ბელადის ძეგლის გახსნა სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. პარკში, სადაც ძეგლია აღმართული, მოვიდნენ პარტიის, შრომისა და ომის ვეტერანები, ახალგაზრდობა, რაიონის მოწინავე ადამიანები, სტუმრები ავტონომიური რესპუბლიკის რაიონებიდან.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პაპუნაძეს, რომელმაც შეკრებილთა ტაშის გრიალში გახსნა ძეგლი. დამსწრეთა თვალწინ წარმოჩნდა ყველასათვის სანუკვარი ადამიანის, ოქტომბრის უკვდავი ბელადის მონუმენტური სახე.

ხულოს საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ძეგლი ყვავილებით შეამკეს.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ბამბაჯვების 40 წლისთავის

შესასხვედრად

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში გაიმართა გამარჯვების 40 წლისთავისათვის მომზადებისა და ზეიმის მომწყობი კომისიის სხდომა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში გამარჯვების 40 წლისთავის ზეიმისათვის მზადების ძირითად ღონისძიებათა გეგმა წარმატებით სრულდება. ამასთან საზი გაესვა, რომ საჭიროა იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება, რათა ყოველმხრივ მზად შევზადეთ სახელოვან იუბილეს, სრულყოფილ მშრომელთა, უპირველეს

ყოველისა კი ახალგაზრდობის ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდა.

სხდომაზე დიდი ყურადღება დაეთმო ქალაქად და სოფლად თვალსაჩინო ავტაციის სრულყოფას, დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და იმ მებრძოლთა სპეციალური სტენდების მომზადებას, ვინც სიცოცხლე შესწირა სამშობლოს. კიდევ მეტი მზრუნველობით უნდა მოვემძღვოთ დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

სხდომის შედეგები შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. გუგუნავამ.

ხ. ახვლედიანის საიუბილეო

საღამო

გაიმართა აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის, აჭარის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ნარიტონ ახვლედიანის დაბადების 80 და საზოგადოებრივ-სამეცნიერო მოღვაწეობის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელიც გახსნა აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ბ. მანარაძემ.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება წაიკითხა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. გუგუნავამ.

მოხსენებით გამოვიდა პროფესორი ი. სიხარულიძე.

საშალხო დეპუტატთა ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ჩინჩალაძემ იუბილარს გადასცა ქალაქ ბათუმის საპატიო მოქალაქედ მისი არჩევის დიპლომი.

სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს ასსრ კულტურის მინისტრის მოადგილე

ვ. იაქაშვილი, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრის მოადგილე გ. ლლონტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. ლორთქიფანიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ა. კახიძე, პოეტი ფ. ხალვაში, პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველი მდივანი ნ. გოგიტიძე და სხვები.

სალამოში მონაწილეობდნენ აჭარის თვითმმართველი მხატვრული კოლექტივები.

დასასრულ ს. ახვლედიანმა დიდი მადლობა გადაიხადა მისი ღვაწლის ეხოდნენ დიდი დაფასებისათვის.

ბათუმის მწერლების მონაწილეობით

ხულოს რაიონის კულტურის სახლში გაიმართა ლიტერატურული საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ ბათუმელი მწერლები.

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა ფ. ხალვაშმა ისაუბრა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების საქმიანობაზე.

ქართველი მწერლების ნაწარმოებები დამსწრეთ გააცნო საქართველოს სახალხო არტისტმა მ. შერვაშიძემ. თავიანთი ახალი ნაწარმოებები წაიკითხეს მწერლებმა მ. ვარშანიძემ, შ. ზოიძემ, ჯ. ქათამაძემ, ვ. ახვლედიანმა და ნ. მოღეზაძემ.

ბერლინის ფესტივალზე

ბერლინში გაიმართა თეატრისა და მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობდა მ. ერმოლოვას სახელობის მოსკოვის სახელმწიფო დრამატული თეატრი. სტუმრებმა მაცურებელთა სამსჯავროზე წარმოადგინეს ორი სპექტაკლი, რომელთაგან ერთი ქართველი ავტორის ალექსანდრე ჩხაიძის პიესის „სამიდან ექვსამდე“ მიხედვით შეიქმნა. ეს

სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, რსფსრ სახალხო არტისტმა ვ. ანდრეევმა. ბერლინში გამოსვლამდე თეატრმა ეს სპექტაკლი უჩვენა პოტსდამსა და მაგდებურგში, სადაც მაცურებელთა და პრესის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი“, სახელდობრ, აღნიშნავს: „ქართველი დრამატურგის ალექსანდრე ჩხაიძის შემოქმედებას საკმაოდ კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში. მისი პიესები „ხიდი“ და „თავისუფალი თემა“, რომლებიც მიემდვნა თანამედროვეობის აქტუალურ, მორალურ-ეთიკურ პრობლემებს, იდგმებოდა სტენდალის, როსტოკის, ცაიხის, სხვა ქალაქების თეატრების სცენაზე, ამ პიესაშიც — „სამიდან ექვსამდე“, რომელიც მ. ერმოლოვას სახელობის თეატრმა ჩამოიტანა ბერლინის ფესტივალზე, ალექსანდრე ჩხაიძე ერთგული რჩება თავისი შემოქმედების მთავარი თემისა და გვიჩვენებს მძაფრ, ცხოვრებისეულ საკითხებს, რომლებიც ადამიანებს აღელვებთ არა მარტო ავტორის სამშობლოში, არამედ ჩვენთანაც, რასაც მოწმობს მაცურებლის ცხოველი რეაქცია და სპექტაკლის შესანებ გამოთქმული აზრი“.

ბულგარული ჟურნალის ფურცლებზე

ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სრულიად სახალხო კომიტეტის ყოველთვიური ორგანოს ჟურნალ „ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ნაწევრები ვახტანგ ახვლედიანის წიგნიდან „ორი დიდი დღე“ მწერლის ფოტოსურათით და მოკლე ანოტაციით. მკითხველმა იცის, რომ ეს ნაწარმოები ადრე ჟურნალ „ქორიზის“ ფურცლებზე დაიბეჭდა, ხოლო გ. დიმიტროვის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო დღეებში დასტამბა გამოცემლობა „საბჭოთა აჭარამ“. იგი ბულგარელი ხალხის დიდი შვილის აჭარაში ყოფნას ასახავს.

ვ. ახვლედიანის სახელი უცხო არაა ბულგარელი მკითხველისათვის. ამ ორი-
ოდე წლის წინ აქ დაიბეჭდა მისი რა-
მდენიმე ნოველა. ითარგმნა და მალე
გამოქვეყნდება პოემა — ბალადა „მა-
რიკსტინოვ“.

გ. ახვლედიანის „ორი დიდი დღე“.
მალე ცალკე წიგნადაც გამოიცემა.

„მხატვრები — ბავშვებს“

აჭარის მხატვართა კავშირის საგამო-
ყენო ღარბაშში გაიხსნა მორიგი ვერ-
ნისაუი. მის ექსპონატებს ფუნჯისა და
საჭრეთლის ოსტატები, გრაფიკოსები
ჩვენს მომავალ თაობას — ბავშვებს უძ-
ღვნიან. მნ რუსი, უკრაინელი, ბელო-
რუსი, ლიტველი, ლატვიელი, ესტონელი
მხატვარი ახარებს მათ სხვადასხვა უნ-
რის საინტერესო ნამუშევრებით.

მნახველები გაეცნობიან საბავშვო მო-
თხრობებისა და ზღაპრების ილუსტრა-
ციებს, სათამაშოების მთელ გალერეას.

ახლახან გამოსცა

გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“
მკითხველს მიაწოდა დიდი ქართველი
მწერლისა და საზოგადო მოღვაწის და-
ვით კლდიაშვილის მოგონებათა წიგნი
„ჩემი ცხოვრების გზაზე“.

„ეს მოგონებები იწერება იმ მოსაზრე-
ბით — წერდა დ. კლდიაშვილი (1925 წ.),
— რომ რომელიმე მკვლევარმა ჩვენი
წარსული ცხოვრების სურათის დასა-
ხატავად შეიძლება ამ სტრქონებშიაც
იპოვოს გამოსადეგი რამ მასალა. თუ
ეს ასე იქნება, მაშინ იმის დაწერაც
გამართლებული იქნება და დამწერიც
დიდად დაკმაყოფილებული.“

ნაშრომს კი ფუძღვნი მათ ხსოვნას,
ვინც გული სიყვარულით გამიბო, მა-
სწავლა ადამიანის პატივისცემა და
ნდობა. მოკლე მონაგონებში არაფერი
შეფერადებული არ იქნება. მხოლოდ
სინამდვილე, რომელსაც გადაუნრეხად

ვემსახურებოდი მწერლობის განმავლო-
ბაში“.

* * *

გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამო-
უშვა ბუკლეტი „აჭარის სახელმწიფო
მუზეუმის ოქროს ფონდი“ (ავტორები
ა. დავითაძე და ა. ქათამაძე).

მეცნიერ-სპეციალისტთა და დამთვა-
ლიერებელთა დიდ ინტერესს იწვევს
აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცუ-
ლი ოქროს, ვერცხლისა და სხვა ნაე-
თობათა უნიკალური კოლექციები. მათ-
გან მრავალფეროვნებითა და მხატვრუ-
ლი ღირებულებით გამოირჩევა 1974
წელს გონიოს ციხე-ქალაქთან ნაპოვნი
განძი, რომელშიც 28 ნივთია.

საყურადღებოა ქობულეთ-ფიჭვნარ-
ის არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვ-
ნი ნივთები, რომლებიც ძველი წელ-
თაღრიცხვის მეხუთე საუკუნეს განეკუ-
თვნებიან.

ყოველივე ამის შესახებ ბუკლეტი
ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე
მოუთხრობს მკითხველს. მას ამუშვენებს
მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრუ-
ლებული ფერადი ილუსტრაციები.

ბუკლეტის სპეციალური რედაქტორია
მუზეუმის დირექტორი, ისტორიის მეც-
ნიერებათა კანდიდატი ზ. ახვლედიანი,

* * *

„საბჭოთა აჭარამ“ მკითხველს მიაწო-
და ქსენია მუავიას ლექსების კრებული
„შეყვითლებია ჭადარს ფოთლქი“.

„პირველი ლექსი, — ვკითხულობთ,
ანოტაციაში, — 1945 წელს გამოვა-
ქვეყნე.“

მას შემდეგ ნელ-ნელა მიყვები პოე-
ზიის ილუმინალ ბილიკებს სიხარულით
აუღერებელი თუ სევდით ათრთოლებუ-
ლი ჩანჭით. ორივე ამ გრძნობის სათავე
მშობელი ქვეყნისა და სიცოცხლის ვნე-
ბიანი სიყვარულია.

რა სწრაფად გასულა დრო, კარს მე-
სამოცე გაზაფხული მომდგომია.

წინამდებარე სტრიქონებს — ჩემი
სულის ანაბეჭდებს ცხოვრების ორმო-
ტრიალში დაუზოგავად დახარჯული წლე-

ბისა, რჩეულის სახით ერთად თავმოყ-
რილს, მოკრძალებით და ნდობით ვთა-
ვაზობ მკითხველს“.

წიგნის რედაქტორია ლ. ბეჟანიძე,
მხატვრობა რ. ლომაძეს ეკუთვნის.

გარეკანის 1-ლ გვერდზე — ღადების
იბეღისკი ბათუმში.

გარეკანის მე-2 გვერდზე — „ახალი
წლის ღამე“, მხატვარი ნინო ნიჟარაძე.

გარეკანის მე-3 გვერდზე — პალმე-
ბის ხეივანი ბათუმის სანაპიროზე.

ანზორ ჩანტლაძის ფოტო.

ნომერი გააფორმა ავთანდილ ლომა-
ძემ.

ტექნიკური ხელმძღვანელი შ. დარჩია.



602/10



წაკი 40 კკკ.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИЗДАЕТСЯ 1918